$$R = \sqrt{(x_j - x_i)^2 + (y_j - y_i)^2 + (z_j - z_i)^2} - \text{მანძილი } J \text{ და } I \text{ წერტილებს შორის (ნახ.1).}$$

$g$  სიმძიმის ძალის პროექცია კოორდინატთა ღერძზე მიიღება შემდეგი გამოსახულებიდან:

$$g_x = g \cdot \cos\alpha; \quad g_y = g \cdot \cos\beta; \quad g_z = g \cdot \cos\delta$$

ან [3]-ის თანახმად

$$g_x = fm \cdot \frac{\Delta x}{R^3}; \quad g_y = fm \cdot \frac{\Delta y}{R^3}; \quad g_z = fm \cdot \frac{\Delta z}{R^3}. \tag{2}$$

1-ლი ნახ-ის თანახმად, შვეული ხაზის გადახრის პროექციები  $U_x''$  და  $U_y''$  კოორდინატთა ღერძებზე შეიძლება გამოვთვალოთ ფორმულით:

$$U_x'' = \rho'' \cdot g_x / \gamma; \quad U_y'' = \rho'' \cdot g_y / \gamma$$

ან (2)-ის გათვალისწინებით

$$U_x'' = \frac{m}{\omega} \cdot \frac{\Delta x}{R^3}; \quad U_y'' = \frac{m}{\omega} \cdot \frac{\Delta y}{R^3}, \tag{3}$$


$$\omega = \frac{\gamma}{\rho'' \cdot f}, \tag{4}$$

სადაც  $\gamma = 9.81$  მ/წმ<sup>2</sup> სიმძიმის ძალის აჩქარებაა.

შვეული ხაზის სრული გადახრა გამოითვლება ფორმულით:

$$U'' = \sqrt{U_x''^2 + U_y''^2} = \frac{m \cdot \sin z}{\omega \cdot R^2}, \tag{5}$$

სადაც  $Z$  ზენიტური მანძილია  $J(X_i, Y_i, Z_i)$  წერტილზე.



ნახ. 1

იმ შემთხვევაში, როცა მიზიდულობის ძალის მქონე  $m$  მასას აქვს გარკვეული ზომის და ფორმის სხეული, მაშინ ზემომოყვანილი ფორმულით მიიღება სახეს:

1) ფორმულა (1)

$$g = f \int \frac{dm}{R^2}; \tag{6}$$

2) ფორმულა (2)

$$\left. \begin{aligned} g_x &= f \int \frac{\Delta x}{R^3} \cdot dm, \\ g_y &= f \int \frac{\Delta y}{R^3} \cdot dm, \\ g_z &= f \int \frac{\Delta z}{R^3} \cdot dm; \end{aligned} \right\} \tag{7}$$

3) ფორმულა (3)

$$U_x'' = \frac{1}{\omega} \int \frac{\Delta x}{R^3} \cdot dm; \tag{8}$$

$$U_y'' = \frac{1}{\omega} \int \frac{\Delta y}{R^3} \cdot dm.$$

თუ  $m$  მასის ანომალიურ სხეულს დავეყოთ  $n$  მასის მქონე ბლოკებად, მაშინ (8) ფორმულები მიიღებს სახეს:

$$U_x'' = \frac{dm}{\omega} \left[ \frac{\Delta x}{R^3} \right], \quad U_y'' = \frac{dm}{\omega} \left[ \frac{\Delta y}{R^3} \right]; \tag{9}$$

4) ფორმულა (5)

$$U'' = \sqrt{U_x''^2 + U_y''^2} = \frac{dm}{\omega} \sqrt{\left[ \frac{\Delta x}{R^3} \right]^2 + \left[ \frac{\Delta y}{R^3} \right]^2}$$

ან ისე, როგორც  $d_m = m/n$ , მაშინ

$$U'' = \frac{m}{n \cdot \omega} \sqrt{\left[ \frac{\Delta x}{R^3} \right]^2 + \left[ \frac{\Delta y}{R^3} \right]^2}. \tag{10}$$


შეველის გადახრის მდგენელები საშუალებას გვაძლევს საძიებელ წერტილში გამოვთვალოთ შეველის გადახრის აზიმუტი

$$\Theta = \arctg U_y'' / U_x''. \tag{11}$$

თუ საკმარისი სიზუსტით მოვახდენთ ანომალიური მასის აპროქსიმაციას განსაზღვრული ზომისა და ფორმის გეომეტრიული სხეულებით, მაშინ (6)–(11) ფორმულებით განისაზღვრება სიმძიმის ძალისა და შეველის გადახრის მდგენელების მნიშვნელობები.

[4] ნაშრომი რეკომენდაციას გვაძლევს  $\tau$  ანომალიური მასის აპროქსიმაცია მოვახდინოთ კუბური ფორმის ბლოკებით. ბევრ შემთხვევაში აპროქსიმაციის სიზუსტე დამოკიდებულია ბლოკების ზომებზე. რაც უფრო ნაკლებია მათი ზომები, მით უფრო ზუსტია შედეგი. ამავდროულად, რაც ნაკლებია სააპროქსიმაციო ბლოკების რაოდენობა, მით მარტივია გამოთვლა. ეს წინააღმდეგობა უნდა გადაიტარას აპროქსიმაციის მეთოდის შერჩევით, რომელიც საშუალებას მოგვცემს იტერაციის მეთოდით მოვახდინოთ პარამეტრების გამოთვლა. იტერაციის ყოველი ბიჯის შემდეგ უნდა გაიზარდოს საწყის მოცულობაში  $d_t$  ბლოკების რაოდენობა ისე, რომ მივიღოთ ნებისმიერი ბლოკის მასა და სიმძიმის ცენტრის კოორდინატე-

ბი. პროცესის შეწყვეტის პირობად შეიძლება ჩაითვალოს, შერჩეული პარამეტრის გამოთვლაში, სასურველი სიზუსტის მიღწევა.



ნახ. 2



მაგალითისათვის განვიხილოთ ენგურჰესის მოქმედი წყალსაცავის აპროქსიმაცია (ნახ.2), რომლის კაშხალს ცილინდრული თაღის ფორმა აქვს. [5–7]-ში აღწერილია კრასნოიარსკის ჰესის წყალსაცავის აპროქსიმაცია 125X125X5 მ ზომის პარალელებიპედიტ, რომლის გვერდები კოორდინატთა ღერძების პარალელურია. ნაშრომში დაუსაბუთებელია ბლოკების რაოდენობა, ფორმები და ზომები. ჩვენ მიერ აღწერილ მაგალითში წყალსაცავის ცვალებადი ნაწილის აპროქსიმაცია მრუდხაზოვანი პრიზმებით მიმდინარეობს.

წყალსაცავის აპროქსიმაცია იწყება პრიზმის  $D$  სიგანის განსაზღვრით. პრიზმის ზედა წახნაგს ქმნის წყალსაცავის წყლის საპროექტო მაქსიმალური დონე, ხოლო ქვედა წახნაგს – წყლის საპროექტო მინიმალური დონე. პრიზმის სიგანის შერჩევისადმი მიდგომა სხვადასხვანაირია. მაგრამ, სჯობს პრიზმის სიგანე ადებულ იქნეს პრიზმის სიმაღლის ტოლი ან ჯერადი, რადგან იტერაციის პროცესში ეს საშუალებას მოგვცემს მივიღოთ კუბურ ფორმას მიახლოებული ბლოკები. გარკვეულ საზღვრებში პრიზმის სიგანე შეიძლება ნებისმიერი ავიღოთ. ანომალიური სხეულის შესავსებად ფართო პრიზმის უფრო ნაკლები რაოდენობაა საჭირო, მაგრამ მათი წყალსაცავის ნაპირებთან შეუღლება რთულია და იტერაციის პროცესში იყოფა დიდი



რაოდენობის ბლოკებად. შეიძლება ყველა პრიზმა ავიღოთ ერთნაირი ან სხვადასხვა სიგანის იმის მიხედვით, კაშხლის რომელ ნაწილში ხდება სმ ველის პარამეტრების განსაზღვრა.

გადავიდეთ სხვადასხვა სახის გეოდეზიური გაზომვების შედეგებში შესწორებების გამოთვლის საკითხზე.



ნახ. 3

**1. ტრიანგულაცია.** ვთქვათ,  $P(X,Y,Z)$  წერტილი არის ტრიანგულაციის პუნქტი, რომელზედაც გაზომილია მიმართულებები. გაზომილ მიმართულებებში გრავიტაციული გავლენის გამო გამოწვეული შესწორებების გამოსათვლელად გამოიყენება ცნობილი [3] ფორმულა:

$$V_H'' = (\eta \cdot \cos A_m - \xi \cdot \sin A_m) \cdot ctgz,$$

სადაც  $\xi$  და  $\eta$  შვეულის გადახრის მდგენელებია მერიდიანსა და პირველ ვერტიკალზე;  $A_m$  – შვეულის გადახრის აზიმუტი,  $Z$  – მიმართულების ზენიტური მანძილი. მართკუთხა კოორდინატთა სისტემაზე გადასვლის დროს აქ მიღებული აღნიშვნებით ფორმულა იღებს შემდეგ სახეს:

$$V_H'' = (U_y'' \cdot \cos \Theta_p - U_x'' \cdot \sin \Theta_p) \cdot ctgz. \quad (12)$$

**2. პირდაპირი და შებრუნებული შვეულები.** თუ შვეულის გადახრის მდგენელები განსაზღვრულია პირდაპირი და შებრუნებული შვეულების ამოვლელ ხელსაწყოზე, მაშინ მე-3 ნახის თანახმად, კოორდინატმეტრის სკალაზე აღებული ანათვლების შესწორებები შეიძლება მივიღოთ შემდეგი თანაფარდობებით:

$$V_x = -\frac{U_x''}{\rho''} l; \quad V_y = -\frac{U_y''}{\rho''} l, \quad (13)$$

სადაც  $l$  შვეულის სამუშაო სიგრძეა, მმ.

**3. ნიველირება.** თუ შვეულის გადახრის მდგენელები განსაზღვრულია მაღალი სიზუსტის ნიველირების სელაში, ნიველირის დგომის წერტილზე, მაშინ ერთ სადგურზე გაზომილი აღმატების შესწორება გამოითვლება ფორმულით:

$$V_h = \frac{2L \times U''}{\rho''} \cos(A - \Theta_p), \quad (14)$$

სადაც  $A$  არის  $P$  წერტილში ნიველირების ხაზის აზიმუტი;  $L$  – სადგურზე ნიველირის სხივის სიგრძე მმ-ში;  $\Theta_p$  – წერტილში შვეულის გადახრის აზიმუტი.

თუ აღმატება გაზომილია ნიველირების  $n$  სადგურით, მაშინ შვეულის გადახრის მდგენელები განსაზღვრული უნდა იქნეს სვლის ყოველ სადგურზე. თითოეულ სადგურზე უნდა დაფიქსირდეს  $L_i$  სხივის სიგრძე და  $A_i$  თითოეული სადგურის აზიმუტი, მაშინ (14) ფორმულა მიიღებს სახეს:

$$V_h = -\frac{2}{\rho''} \sum_{i=1}^n L_i \cdot U_i'' \cos(A_i - \Theta_i). \quad (15)$$

**3. დასკვნა**

მოცემული მეთოდი ეფუძნება წყალსაცავის ანომალური სხეულის აპროქსიმაციას, რის სა-

შუალეობითაც, იტერაციის მეთოდის გამოყენებით, ხდება სიმძიმის ძალის ველის ვარიაციის პარამეტრების გამოთვლა. პოტენციალთა თეორიის პირდაპირი ამოცანის გადაწყვეტი საშუალება მოგვცა მიგველო სათანადო ფორმულები, რათა ყველა სახის გეოდეზიურ განაზომში შევიტანოთ სიმძიმის ძალის ველის ცვალებადობით და შედეგების გადახრებით გამოწვეული შესწორებები. რაც ჩვენი საბოლოო მიზანია.

### ლიტერატურა

1. Карлсон А.А.. Руководство по натурным наблюдениям за деформациями гидротехнических сооружений и их оснований геодезическими методами. М.: Энергия, 1980.- 194с.
2. Юзевич А.П., Огородова Л.В., Гравиметрия. М.: Недра,1980.- 318с.
3. Закатов П.С. Курс высшей геодезии. М.: Недра, 1976.
4. Тевзадзе М.Н., Пиралишвили С.Х., Садунишвили М.А. Об учёте вариации поля силы тяжести на крупных гидроэлектростанциях // Горный журнал, №1(16), 2001, с.26-27.
5. Вовк И.Г., Канушин В.Ф., Ральченко В.Ф. Неприливные вариации силы тяжести в районе водохранилища. - В.кн. Повторные гравитационные наблюдения."ВНИИ геофизики", 1980,с.78-85.
6. Вовк И.Г. Оценка неприливых вариаций потенциала притяжения при изменениях уровня водохранилища. - В.кн. Повторные гравитационные наблюдения."ВНИИ геофизики", 1980,с.38-41.
7. Вовк И.Г. Вариации гравитационного поля при изменении уровня водохранилища // Геодезия и картография, №9, 1982, с.12-15.

UDC 519.242

## ON THE SOLUTION OF THE DIRECT PROBLEM OF POTENTIAL THEORY AT WATER RESERVOIR LEVEL CHANGE

S. Piralishvili, M. Sadunishvili

Department of engineering geodesy and geoinformation, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There are given the exact formulas for calculation of the change of plumb-line deviation at water reservoir level change on hydro power stations. The procedure of anomalous body approximation allowing to use iterative method of gravity field parameters are substantiated. The technique and formulas for account of anomalous body mass change in the process of geodetic works are presented.

**Key words:** deflection of the vertical; approximation; anomalous body; iterative method; cube; sphere; the block; change of the gravitational field; eventhandler part of reservoir.

УДК 519.242

## РЕШЕНИЕ ПРЯМОЙ ЗАДАЧИ ТЕОРИИ ПОТЕНЦИАЛА ПРИ ИЗМЕНЕНИИ УРОВНЯ ВОДОХРАНИЛИЩА

Пиралишвили С.Х., Садунишвили М.А.

Департамент инженерной геодезии и геоинформатики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Приведены видоизменённые формулы для вычисления изменения уклонения отвесной линии при изменении уровня водохранилища. Даны методика и формулы для учёта изменения массы аномального тела в процессе ведения геодезических работ. Рассмотрены вопросы введения поправок из-за вариаций поля

силы тяжести в измеренные направления, в отсчеты по прямым и обратным отвесам и в измеренные методом геометрического нивелирования превышения.

**Ключевые слова:** уклонение отвесов; аппроксимация; аномальное тело; итерационный метод; куб; сфера; блок; изменение гравитационного поля; срабатываемая часть водохранилища.

*მიღებულია დასაბუჯდად 22.01.13*

**შპს 519.242**

**ენგურჰესის წყალსაცავში წყლის დონისა და კაშხლის დახრის მონაცემთა დროითი რიგების ანალიზი**

**მ. მესხი\*, გ. აბაშიძე, გ. ჭიაურელი, მ. სადუნიშვილი, თ. პაპავა**

საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: murman.meskhi@gtu.ge

**რეზიუმე:** მოცემულია ენგურჰესის წყალსაცავში წყლის დონისა და კაშხლის დახრის მონაცემთა დროითი რიგების ანალიზი. მიღებულია აღნიშნული დროითი რიგების დისკრეტული, ავტორეგრესიული მოდელები, რომლებიც გამოიყენება რიგის მომავალ წევრთა პროგნოზირებისათვის წყალსაცავში წყლის დონის რეგულირების მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** ავტორეგრესია; ავტოკოვარიაცია; ავტოკორელაცია; იდენტიფიკაცია; ადეკვატურობა; დიაგნოსტიკური გასინჯვა; „თეთრი ხმაური“; პროგნოზირება; ნარჩენი შეცდომა; პროგნოზის შეცდომა.

## 1. შესავალი

ტექნიკური სისტემის ფუნქციონირების მათემატიკური აღწერისათვის მოდელის გამოყენების იდეა საყოველთაოდაა მიღებული. მოდელმა რომ ზუსტად აღწეროს სისტემაში მიმდინარე პროცესები, იგი დეტერმინირებული უნდა იყოს. მაგრამ, მრავალი ფიზიკური ობიექტისათვის, რომელთა ფუნქციონირება დროის ფაქტორთანაა დაკავშირებული, შეუძლებელია ასეთი მოდელის შექმნა.

ამ დროს ალტერნატიულია ისეთი მოდელის მიღება, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოთვალეთ იმის ალბათობა, რომ დროითი რიგის მომავალი წევრები განსაზღვრულ ინტერვალში მოთავსდება. ამის შესაძლებლობას იძლევა პერიოდული დროითი რიგების ანალიზის მეთოდი. ალბათობის თეორიის კანონების თანახმად, დროში განვითარებული სტატისტიკური მოვლენა სტოქასტიკური პროცესის სახელითაა ცნობილი, ამიტომ ასეთ მოდელს სტოქასტიკური, ალბათური ან სტატისტიკური ჰქვია [1].

დროითი რიგების ანალიზისათვის მიღებული პარამეტრული და არაპარამეტრული მეთოდებიდან პარამეტრული გაცილებით ეფექტურია, რადგან ამ დროს დროითი რიგის წევრები ნაკლები რაოდენობის პარამეტრების შეფასებასა და დაზუსტებაზე იხარჯება.

ამოცანა მდგომარეობს საანალიზო პერიოდული დროითი რიგებისათვის ადეკვატური მოდელის იდენტიფიკაციაში ანუ მათი სახის შერჩევასა და მორგებაში, პარამეტრების დაზუსტების მეთოდის შერჩევასა და მოდელის ადეკვატურობაზე დიაგნოსტიკურ გასინჯვაში სხვადასხვა კრიტერიუმით, რათა მოდელმა შეასრულოს პროგნოზირებისა და რეგულირების ფუნქცია.

ზოგადად, ასეთი მოდელის მიღების პროცესი შრომატევადი და იტერაციულია ანუ ეს არის ევოლუციისა და ადაპტაციის, იგივე ცდისა და შეცდომის პროცესი.

სტატისტიკური მეთოდების უმრავლესობა იყენებს მოდელებს, რომლებშიც დაკვირვებები დამოუკიდებელია. მაგრამ, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, სხვადასხვა სახის მონაცემი ტექნიკასა და ეკონომიკაში ყალიბდება დროითი რიგების სახით, რომლის წევრები ურთიერთდამოკიდებულია [2].

შერჩეულმა მოდელმა ზედმიწევნით ზუსტად უნდა აღწეროს პერიოდული დროითი რიგი, რაც ნიშნავს, რომ მოდელით გამოთვლილ სიდიდეთა ფაქტიურიდან გადახრების (ნარჩენი შეცდომების) კვადრატების ჯამი მინიმალური უნდა იყოს. მოდელის შერჩევისას საქმე გვაქვს დისკრეტულ დროით რიგთან, სადაც მონაცემები დროის განსაზღვრული ინტერვალებით აიღება (ინტერვალის სიდიდე ოპტიმიზაციის ამოცანაა და დადგენას საჭიროებს).

როდესაც მოდელის მიღების საბოლოო მიზანი დროითი რიგის მომავალი წევრების პროგნოზირებაა, ეს სიდიდეები მიიღება რეკურენტული გამოთვლებით რიგის წარსული წევრებისა და წინა პროგნოზირებული სიდიდეებისაგან. მოდელის საშუალებით ჩვენ უნდა შეგვეძლოს განვსაზღვროთ პროგნოზირებული სიდიდეების შეცდომების დისპერსია და ის ზღვრები, რომლებშიც მოცემული ალბათობით მოთავსდება რიგის მომავალი წევრები.

## 2. ძირითადი ნაწილი

მონაცემთა ერთობლიობიდან დისკრეტულად ამორჩეული პერიოდული დროითი რიგის ანალიზი მოიცავს მოდელის იდენტიფიკაციის, მორგებისა და დიაგნოსტიკური გასინჯვის ეტაპებს. ამის შემდეგ მიღებულ ადეკვატურ მოდელს უნდა შეეძლოს: აღწეროს ფაქტიური დისკრეტული რიგი; მომავალ წევრთა პერიოდულობის პროგნოზირება; წარმოდგენა მოგვცეს ერთიანი დინამიკური რიგის თვისებებზე.

ტექნიკასა და ეკონომიკაში, სადაც დროითი რიგის პროგნოზირებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ხშირად ეს რიგები არასტაციონარული სახით გვევლინება, რომელშიც ტრენდი და სხვა მახასიათებლები (რომლებიც შეიძლება დროში იცვლებოდეს) განიხილება, როგორც სტატისტიკური და არადეტერმინირებული მოვლენები [3]. ზოგადად, სეზონური პერიოდულობის მქონე დროით

რიგებს ახასიათებს პერიოდული არასტაციონარულობა.

ნაშრომი ეხება ენგურჰესის მაღლივი კაშხლის წყალსაცავში წყლის დონის ცვალებადობას და მისგან განპირობებული კაშხლის სხეულის მოძრაობის პერიოდული დროითი რიგების ანალიზს და შედეგად მიღებული ალბათური მოდელების პროგნოზირებისა და რეგულირების მიზნით გამოყენებას. შერჩეული მოდელი სასურველია იყოს მაქსიმალურად მარტივი, ჰქონდეს პარამეტრების მინიმალური რაოდენობა და იყოს დროითი რიგის ადეკვატური.

ქვემოთ (ცხრ.1 და ნახ.1) მოცემულია ენგურჰესის წყალსაცავში წყლის დონისა ( $H, m$ ) და კაშხლის გადახრის ( $X, კუთხ. წმ$ ) დისკრეტული, პერიოდული (სეზონური), დროითი რიგები და შესაბამისი გრაფიკული გამოსახულებანი (ნახაზზე უწყვეტი ხაზი). ისინი ერთიანი, ხანგრძლივი დინამიკური რიგის მონაკვეთია 2000–2011 წლების ყოველთვიურ მონაცემთა სახით. კაშხლის გადახრის მაჩვენებლები აღებულია მე-12 სექციაში 402 მ ჰორიზონტზე დაყენებულ დახრმზომზე (დახრმზომის მაჩვენებლები გაზრდილია 20 წმ-ით უარყოფითი რიცხვებისაგან გათავისუფლების მიზნით) [4].

ცხრილიდან და, განსაკუთრებით, გრაფიკებიდან ნათლად ჩანს დროითი რიგების აშკარად გამოხატული სეზონური პერიოდულობა. წყალსაცავის შევსების პერიოდი ემთხვევა ზაფხულის ბოლო თვეებს, ხოლო დაცლისა – გაზაფხულის საწყის თვეებს მცირეოდენი გადახრებით.

დროითი რიგის სტრუქტურა ნათლად აჩვენებს (ცხრ.), რომ საქმე გვაქვს დროის ორ ინტერვალთან - თვე და წელი. კონკრეტულად, არსებობს ერთი და იმავე წლის სხვადასხვა თვის მონაცემთა და სხვადასხვა წლის ერთი და იმავე თვის მონაცემთა განსაზღვრული თანაფარდობები. აღნიშნული ორგვარი სახის პერიოდულობა უნდა აისახოს შემუშავებულ სტატისტიკურ მოდელში და აუცილებლად უნდა ფლობდეს პერიოდულობის პროგნოზირების უნარს. თუ ამ თვალსაზრისით მიუვადებით ცხრილის მონაცემებს, პერიოდული ეფექტი მასში შემდეგი სახით უნდა გამოვლინდეს: რომელიმე წლის ნებისმიერი თვის მონაცემები დაკავშირებულია წინა წლის იმავე თვის მონაცემებთან, ასევე კავშირი აქვს ერთი და იმავე წლის სხვადასხვა თვის მონაცემს. აღნიშნული იდეა საფუძვლად უნდა დაედოს დროითი რიგების მოდელების შემუშავებას.

პერიოდულ დროით რიგებთან არის დაკავშირებული ის ფუნდამენტური ფაქტი, რომ  $S$  ინტერვალით (თორმეტი თვე) დაშორებული რიგის წევრები მსგავსია. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თვიური მოდელი ზოგადად შემდეგი სახით წარმოგვიდგება:


$$\Phi(B^s)\nabla_s Z_t = \alpha_t, \quad (1)$$

სადაც  $Z_t$  არის  $t$  ინტერვალით (1 თვე) დაშორე-

ბული დროითი რიგის წევრები;  $S$  - პერიოდი (12 თვე);  $B$  - დროითი რიგის წევრთა უკან ძვრის ოპერატორი,  $BZ_t = Z_{t-1}, B^2Z_t = Z_{t-2}, \dots, B^sZ_t = Z_{t-s}$ ;  $\nabla = 1 - B$  - რიგის წევრთა სხვაობითი ოპერატორი,  $\nabla Z_t = (1 - B)Z_t = Z_t - Z_{t-1}$ ;  $\nabla_s Z_t = (1 - B^s)Z_t = Z_t - Z_{t-s}$ ;  $\Phi(B^s) - B^s$  ხარისხის პოლინომი  $\Phi$  პარამეტრებით;  $\alpha_t$  - მოდელის ნარჩენი შეცდომები.

**წყალსაცავში წყლის დონისა და კაშხლის გადახრის დროითი რიგი 2000–2011 წლებში**

წელი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
2000	H	456,0	426,5	412,5	423,4	434,7	467,8	494,5	509,1	501,1	488,5	459,9
	X	37,8	52,2	55,4	49,4	43,4	31,2	16,6	17,4	24,4	35,0	53,2
2001	H	422,1	408,3	402,5	423,0	427,4	464,4	502,4	509,8	506,4	500,2	480,1
	X	72,6	81,2	85,8	74,6	75,2	54,0	31,4	41,0	46,2	51,6	67,8
2002	H	435,1	418,5	420,1	412,9	428,0	466,2	496,2	510,3	510,4	503,6	496,2
	X	84,6	90,4	84,8	83,0	78,6	54,8	42,2	43,8	44,1	50,0	54,4
2003	H	438,2	415,7	411,1	417,2	438,4	471,1	481,5	504,9	506,3	490,2	496,1
	X	76,0	84,0	84,2	77,4	69,4	46,2	33,6	7,8	12,8	26,4	22,8
2004	H	433,8	413,1	414,8	421,4	440,9	469,5	495,9	510,0	507,4	495,4	483,6
	X	81,8	96,2	97,0	97,2	81,3	58,4	28,4	6,3	8,8	24,7	34,2
2005	H	448,5	417,0	416,0	425,4	427,9	470,0	503,0	509,7	502,9	487,3	501,6
	X	58,0	78,4	82,0	81,0	77,0	47,8	16,2	13,4	20,6	36,0	19,4
2006	H	478,9	449,9	421,4	393,6	390,0	408,9	462,1	504,7	507,0	501,6	508,9
	X	34,2	55,4	78,8	92,2	94,0	93,6	62,6	25,0	15,0	21,2	8,4
2007	H	482,8	458,8	429,4	419,8	436,6	481,3	505,4	510,0	509,6	505,8	509,6
	X	29,6	51,0	69,0	77,0	69,4	39,2	11,0	10,8	14,2	17,4	12,8
2008	H	487,7	458,8	443,3	453,7	468,4	490,0	506,8	508,3	508,7	508,7	502,6
	X	30,6	51,5	65,0	62,5	50,0	39,0	24,5	21,0	24,0	23,5	28,5
2009	H	484,0	468,2	440,3	413,7	442,6	480,0	504,2	508,0	504,8	505,4	503,0
	X	41,0	56,2	77,1	93,0	79,0	48,0	22,5	18,0	24,0	24,0	32,0
2010	H	483,7	461,4	456,6	431,6	456,2	492,4	506,3	508,9	507,0	509,3	498,6
	X	25,0	41,1	47,1	50,0	44,5	37,0	36,9	34,4	34,8	29,8	31,0
2011	H	461,0	431,4	412,0	413,1	440,9	484,3	506,0	507,8	500,6	505,2	497,7
	X	26,9	39,0	41,9	42,1	37,7	31,6	27,3	18,9	27,6	29,3	30,5



ნახ. 1. წყალსაცავში წყლის დონისა ( $H_t$ ) და კაშხლის სხეულის გადახრის ( $X_t$ ) პერიოდული დროითი რიგები: უწყვეტი ხაზი - ფაქტიური დროითი რიგები (2000–2011 წლები); წყვეტილი ხაზი - მოდელზე გამოთვლილი დროითი რიგები (2000–2007 წლები); წერტილოვანი ხაზი - პროგნოზირებული სიდიდეები (2008–2009 წლები,  $t=97-120$ ) (2010–2011 წლები,  $t=121-144$ )



სავარაუდოდ, ყველა თვისათვის  $\Phi$  პარამეტრები დაახლოებით ტოლი უნდა იყოს. ასეთი მოდელის  $\alpha_i$  ნარჩენი შეცდომები აუცილებელი არ არის არაკორელირებული იყოს.

წლიური პერიოდულობის გათვალისწინებით, მოდელს შეიძლება აქონდეს სახე:

$$\phi(B)\nabla\alpha_i = a_i, \quad (2)$$

სადაც  $\phi(B)$  არის  $B$  ხარისხის პოლინომი;  $\nabla = 1 - B$  – სხვაობითი ოპერატორი, ხოლო  $a_i$  – ე.წ. "თეთრი ხმაური".

(2) ტოლობაში თუ შევიტანთ  $\alpha_i$  მნიშვნელობას (1) ტოლობიდან, მივიღებთ პერიოდული დროითი რიგის ერთიან მოდელს:

$$\phi(B)\Phi(B^s)\nabla\nabla_s Z_t = a_t, \quad (3)$$

სადაც  $a_t$  "თეთრი ხმაურის" იმპულსების სერიას, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს სისტემა. იგი შედგება თანამიმდევრული, უპირატესად, არაკორელირებული შემთხვევითი სიდიდეებისგან, რომელთაც ნულოვანი საშუალო და მუდმივი დისპერსია აქვს. დროითი რიგები, რომლებშიც თანამიმდევრული სიდიდეები დამოკიდებულია, მიზანშეწონილია განვიხილოთ, როგორც  $a_t$  დამოუკიდებელი იმპულსებით გენერირებული. ეს იმპულსები ფიქსირებული განაწილების მქონე  $a_t, a_{t-1}, a_{t-2}, \dots$  შემთხვევითი სიდიდეების რეალიზაციას წარმოადგენს და ტექნიკურ ლიტერატურაში "თეთრი ხმაურის" სახელით არის ცნობილი [1].

წყალსაცავში წყლის დონისა ( $H_t$ ) და კაშხლის გადახრის ( $X_t$ ) პერიოდული დროითი რიგების იდენტიფიცირებას ვახდენთ ავტოკორელაციური ფუნქციის დახმარებით. ამისათვის ვიყენებთ შემდეგ ფორმულებს:

$$1) \text{ დროითი რიგის საშუალო } \bar{Z}_i = \frac{1}{N} \sum_{i=1}^N Z_i; \quad (4)$$

2) დროითი რიგის დისპერსია და საშუალო კვადრატული შეცდომა (სკშ), იგივე სტანდარტი

$$\sigma_z^2 = \frac{1}{N} \sum_{i=1}^N (Z_i - \bar{Z}_i)^2, \\ \sigma_z = \left[ \frac{1}{N} \sum_{i=1}^N (Z_i - \bar{Z}_i)^2 \right]^{1/2}; \quad (5)$$

3) დროითი რიგის წვერთა ავტოკორელაციები  $k$  დაყოვნებით


$$C_k = \frac{1}{N} \sum_{i=1}^{N-k} (Z_i - \bar{Z}_i)(Z_{i+k} - \bar{Z}_i), \quad C_0 = \sigma_z^2; \quad (6)$$

4) დროითი რიგის წვერთა ავტოკორელაციები  $k$  დაყოვნებით

$$r_k = C_k / C_0 = C_k / \sigma_z^2. \quad (7)$$

ზემოთ მოცემულ ფორმულებში  $N$  არის დროითი რიგის წვერთა რიცხვი, საანალიზოდ აღებულია  $N=120$ ;  $k$ –დაყოვნება, თვეობით;  $k = 1, 2, \dots, N/4$ . ავტოკორელაციების განსაზღვრის სტანდარტული შეცდომა დაახლოებით  $\sigma(r_k) \approx (1/N)^{1/2} \approx 0,09$  ტოლია.

ანალიზისათვის განკუთვნილი დროითი რიგები არასტაციონარულია არა მარტო ყოველთვიური მაჩვენებლებით, არამედ მრავალწლიანი საშუალოთვიური და საშუალოწლიური მაჩვენებლებითაც. ზოგადად, სადავო სიტუაციებში უპირატესობას ანიჭებენ არასტაციონარულ მოდელებს, განსაკუთრებით პროგნოზირებისა და რეგულირების დროს.




ნახ. 2. წყლის დონეთა ( $\bar{H}$ ) ავტოკორელაციები

დროითი რიგების ანალიზისათვის აღებული გვაქვს ათწლიანი პერიოდის (2000–2009 წლები) ყოველთვიური მონაცემები ( $N=120$ ).

წყლის დონისა ( $H_t$ ) და დახრამზომის მონაცემთა ( $X_t$ ) დროითი რიგების წვერთა ავტოკორელაციები მოცემულია მე-2 და მე-3 ნახაზებზე, საიდანაც კარგად ჩანს რიგების ავტოკორელაციების პერიოდულობა 12-თვიანი პერიოდით,



აგრეთვე ისიც, რომ ავტოკორელაციები მნიშვნელოვანი სიდიდეებით და არამიღვევადობით გამოირჩევა დიდი წინსწორების დროსაც.



ნახ.3. კაშხლის გადახრის ( $\bar{X}$ ) ავტოკორელაციები

მოდულების პარამეტრების საწყის მნიშვნელობებად შესაძლებელია ავიღოთ ავტოკორელაციების მაქსიმალური სიდიდეები  $r_1$  და  $r_{12}$ .

მოდულების ავტორეგრესიული სახე და მათი პარამეტრები იდენტიფიცირებულია ავტოკორელაციური ფუნქციებით, ხოლო პარამეტრების სიდიდეები დაზუსტებულია უმცირეს კვადრატთა მეთოდით.

(3) ფორმულის მიხედვით მოდულების საერთო სახეა

$$(1 - \phi B)(1 - \Phi B^{12})Z_t = a_t,$$

აქედან

$$(1 - \phi B - \Phi B^{12} + \phi\Phi B^{13})Z_t = a_t,$$

საიდანაც საბოლოოდ

$$Z_t = \phi Z_{t-1} + \Phi Z_{t-12} - \phi\Phi Z_{t-13} + a_t. \tag{8}$$

$\phi$  და  $\Phi$  პარამეტრების მიახლოებითი სიდიდეები აღებულია ავტოკორელაციური ფუნქციებიდან ( $r_1$  და  $r_{12}$ ). შემდეგ მათი სიდიდეები დაზუსტდა უმცირეს კვადრატთა მეთოდით და საბოლოოდ მიღებულია წყლის დონისა და დახრმზომის მონაცემთა შემდეგი ავტორეგრესიული მოდელები:

წყლის დონისათვის

$$H_t = 0,52H_{t-1} + 0,89H_{t-12} - 0,35H_{t-13} - 24,6 + a_t; \tag{9}$$


დახრმზომის მონაცემებისათვის

$$X_t = 0,74X_{t-1} + X_{t-12} - 0,78X_{t-13} + 5,15 + a_t. \tag{10}$$


მოდულებში თავისუფალი წევრების არსებობა მიანიშნებს სისტემატური პოლინომური ტრენდის არსებობაზე.

1-ლ ნახ-ზე უწყვეტი ხაზებით მოცემულია წყლის დონისა და დახრმზომის მონაცემთა ფაქტიური სიდიდეები, ხოლო წყვეტილით – (9) და (10) მოდელებით გამოთვლილი სიდიდეები. მათ შორის სხვაობები ნარჩენი შეცდომებია ( $a_t$ ).

ნარჩენი შეცდომების ავტოკორელაციები  $K=48$  დაყოვნებით, ორმაგი სტანდარტული შეცდომების ( $2\sigma_{a_t}$ ) ზღვრებით მოცემულია მე-4 და მე-5 ნახაზებზე.



ნახ. 4. წყლის დონეთა მოდულის ნარჩენი შეცდომების ავტოკორელაციები



ნახ. 5. კაშხლის გადახრათა მოდელის ნარჩენი შეცდომების ავტოკორელაციები

როგორც ნახაზებიდან ჩანს, ნარჩენი შეცდომების ავტოკორელაციები მცირე სიდიდებია ორივე დროითი რიგისათვის და, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, თავსდება ორმაგი სტანდარტის ზღვრებში, რაც მოდელის ადეკვატურობის მაჩვენებელია. მოდელის ადეკვატურობის დიაგნოსტიკური გასინჯვისათვის იყენებენ აგრეთვე  $\chi^2$  კრიტერიუმს, რომლის დროს  $Q$  და  $\nu$  სიდიდებით შესაბამის ცხრილში ვიგებთ იმის  $P$  ალბათობას, რომ სიდიდე, რომელსაც აქვს  $\chi^2$  განაწილება  $\nu$  თავისუფლების ხარისხით მეტია გაანგარიშებულ  $Q$  სიდიდეზე, რომელიც ტოლია:

$$Q = N \sum_{k=1}^K r_k^2(a), \quad (11)$$

სადაც  $k$  არის რიგითი დაყოვნების სიდიდე,  $K$  – მაქსიმალური დაყოვნება ( $> 20$ );  $r_k(a)$  – ნარჩენი შეცდომების ავტოკორელაციები  $k$  დაყოვნებით;  $\nu = K - n$  – თავისუფლების ხარისხი, სადაც  $n$  მოდელში პარამეტრების რაოდენობაა. ამ კრიტერიუმით  $K=24$  დაყოვნებით აღებული ავტოკორელაციებმა მოგვცა  $Q_H \approx 38$ ,  $Q_X \approx 42$ ,  $\nu \approx 21$  სიდიდეები, ხოლო  $\chi^2$  კრიტერიუმზე გასინჯვამ არ აჩვენა მოდელის არაადეკვატურობა.

(9) და (10) პერიოდული დროითი რიგების ავტორეგრესიული მოდელის შეგვიძლია გამოვიყენოთ დროითი რიგების მომავალი წევრების პროგნოზირებისათვის. პროგნოზირების ფუნქციაში უცნობი წევრები შეიცვლება მათი პროგნოზებით, ხოლო ნარჩენი შეცდომების უცნობი სიდიდეები – ნულებით. საერთოდ,  $a_t$  ნარჩენი

შეცდომა ამ დროს ტოლია ერთი ბიჯით წინ გაკეთებული პროგნოზის  $e_t$  შეცდომისა

$$a_{t+1} = Z_{t+1} - \hat{Z}_t(1) = e_t(1), \quad (12)$$

სადაც  $Z_{t+1}$  არის დროითი რიგის  $t+1$  წევრის ფაქტიური სიდიდე;  $\hat{Z}_t(1)$  –  $t$  მომენტში  $\ell=1$  ბიჯით წინ პროგნოზირებული სიდიდე;  $a_{t+1}$  – ნარჩენი შეცდომა  $t+1$  მომენტში, ხოლო  $e_t(1)$  –  $t$  მომენტში 1 ბიჯით წინ გაკეთებული პროგნოზის შეცდომა.

ამრიგად,  $a_t$  ნარჩენი შეცდომები, რომლებსაც აქამდე “თეთრი ხმაურის” სახელით ვიცნობდით ერთი ბიჯით წინ გაკეთებული პროგნოზების შეცდომებია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ბიჯით წინ პროგნოზი ფაქტიურთან შედარებით მეტი ან მცირეა, ერთ ბიჯზე მეტად დაშორებულ პროგნოზებს ასევე გაზრდის ან შემცირების ტენდენცია აქვს. გარდა ამისა, ერთი და იგივე მომენტისათვის სხვადასხვა წინსწრებით გაკეთებული პროგნოზების შეცდომები ურთიერთკორელირებულია, მაშინ, როდესაც ერთი ბიჯით წინ გაკეთებული პროგნოზირების შეცდომები არ უნდა იყოს კორელირებული.

რაიმე პროცესის დროითი რიგის მომავალ წევრთა პროგნოზირების მიმართ მიდგომა მდგომარეობს ჯერ დროით რიგზე მოდელის იდენტიფიცირებასა და მორგებაში, ხოლო შემდგომ, ამ მოდელის დახმარებით, რიგის მომავალი წევრების პროგნოზირების ოპტიმალური მეთოდის შემუშავებაში, რომელიც საბოლოოდ რეკურენტულ გამოთვლებზე დაიყვანება.

ზოგადი სახით პროგნოზირების ფუნქციას წყლის დონისა და კაშხლის დახრის დროითი რიგებისათვის შემდეგი სახე აქვს:

$$\hat{Z}_{t+\ell} = \phi Z_{t+\ell-1} + \Phi Z_{t+\ell-2} - \phi\Phi Z_{t+\ell-3} + \mu + a_{t+\ell}, \quad (13)$$

სადაც  $\hat{Z}_{t+\ell}$  არის  $t$  მომენტში  $\ell$  წინსწრებით ( $\ell=1,2,\dots$ ) პროგნოზირებული დროითი რიგის წევრი;  $\ell$  – წინსწრების ბიჯი, თვეობით;  $\mu$  – მოდელის თავისუფალი წევრი, ხოლო  $\phi, \Phi$  – მოდელის პარამეტრები.

კონკრეტულად, წყლის დონის ( $H_t$ ) დროითი რიგისათვის პროგნოზირების ფუნქცია (9) მოდელის მიხედვით იქნება:

$$\hat{H}_{t+\ell} = 0,52H_{t+\ell-1} + 0,89H_{t+\ell-2} - 0,35H_{t+\ell-3} - 24,6 + a_{t+\ell}. \quad (14)$$

ამ ტოლობის მიხედვით პროგნოზირების გამოსათვლელი რეკურენტული ტოლობები შემდეგია:

$$\begin{aligned} \hat{H}_{t+1} &= 0,52H_t + 0,89H_{t-1} - 0,35H_{t-2} - 24,6, \\ \hat{H}_{t+2} &= 0,52\hat{H}_{t+1} + 0,89H_{t-10} - 0,35H_{t-11} - 24,6, \\ &\dots \\ \hat{H}_{t+14} &= 0,52\hat{H}_{t+13} + 0,89\hat{H}_{t+2} - 0,35\hat{H}_{t+1} - 24,6, \\ &\dots \end{aligned}$$

კაშხლის დახრის დროითი რიგისათვის შესაბამისი პროგნოზირების ფუნქცია (10) მოდელის მიხედვით იქნება:

$$\hat{X}_{t+\ell} = 0,74X_{t+\ell-1} + X_{t+\ell-2} - 0,78X_{t+\ell-3} + 5,15 + a_{t+\ell}. \quad (15)$$

ამ ტოლობის მიხედვით პროგნოზების გამოსათვლელი რეკურენტული ტოლობებია:

$$\begin{aligned} \hat{X}_{t+1} &= 0,74X_t + X_{t-1} - 0,78X_{t-2} + 5,15, \\ \hat{X}_{t+2} &= 0,74\hat{X}_{t+1} + X_{t-10} - 0,78X_{t-11} + 5,15, \\ &\dots \\ \hat{X}_{t+14} &= 0,74\hat{X}_{t+13} + \hat{X}_{t+2} - 0,78\hat{X}_{t+1} + 5,15, \\ &\dots \end{aligned}$$

ამრიგად, დროითი რიგის მომავალი წევრების პროგნოზის გამოთვლა დაიყვანება წინა წევრებისა და უკვე პროგნოზირებული სიდიდეების აღგებრულ ჯამზე.

$H_t$  და  $X_t$  პროგნოზირებული სიდიდეები ფაქტიურთან ერთად წარმოდგენილია 1-ლ ნახ-ზე.

წყლის დონის პროგნოზები დაწყებულია 2008 წლის იანვარში ( $t=97$ ),  $\ell=1,2,\dots,24$  წინსწრებით (2-წლიანი პერიოდი). შემდგომი პროგნოზი დაწყებულია 2010 წლის იანვარში ( $t=121$ ) ისევე 2-წლიანი პერიოდით (2010–2011 წწ.). კაშხლის გადახრის მანქანებლებისათვის პროგნოზი დაიწყო 2008 წლის იანვარში ( $t=97$ ) ორწლიანი პერიოდით. 2010–2011 წლებისათვის პროგნოზი არ გაკეთებულა (შესაბამის მონაცემთა უქონლობის გამო). პროგნოზები წარმოდგენილია 1-ლ ნახ-ზე (წერტილოვანი ხაზი). როგორც ნახაზიდან ჩანს, პროგნოზები საკმაოდ ახლოსაა ფაქტიურ სიდიდეებთან და, რაც მთავარია, მოდელის რეაგირებას დროითი რიგების პერიოდულობაზე და საკმაოდ იდენტურად აღიწერება. დროითი რიგების პროგნოზის სტანდარტული შეცდომებია:  $\sigma_{e_H} = 12.9$  (2008–2009წწ.),  $\sigma_{e_H} = 15.8$  (2010–2011წწ.) და  $\sigma_{e_X} = 9.4$  (2008–2009წწ.).  $\ell$  წინსწრების გაზრდა ლოგიკურად იწვევს პროგნოზების შეცდომების გაზრდას.

პროგნოზის შეცდომის დისპერსია

$$\sigma_{e_t(\ell)}^2 = \left( \sum_{i=1}^{\ell-1} \Psi_i^2 + 1 \right) \sigma_a^2, \quad (16)$$

სადაც  $e_t(\ell)$  არის  $\ell$  წინსწრებით გაკეთებული პროგნოზის შეცდომა;  $\Psi_i$  – პროგნოზის შესასწორებელი წონითი კოეფიციენტები, რომლებიც მოდელის პარამეტრების დახმარებით გამოითვლება;  $\sigma_a^2$  – ნარჩენი შეცდომების დისპერსია (წყლის დონის დროითი რიგის სკშ  $\sigma_{e_H} = 13.1$ , ხოლო დახრის დროითი რიგის –  $\sigma_{e_X} = 10.7$ ).

დროითი რიგების პროგნოზებისათვის აღბათური ზღვრები

$$Z_{t+\ell}(\pm) = \hat{Z}_t(\ell) \pm U_{\varepsilon/2} \sigma(\ell), \quad (17)$$

სადაც  $U_{\varepsilon/2}$  არის ნორმალური განაწილების  $1-\varepsilon/2$  დონის კვანტილი და 50%-იანი ზღვრებისთვის  $U_{\varepsilon/2} = 0,674$  ტოლია; 90%-იანი ზღვრებისთვის –  $U_{\varepsilon/2} = 1,65$ ; 95%-იანი ზღვრებისთვის –  $U_{\varepsilon/2} = 1,96$ ; 99%-იანი ზღვრებისთვის –  $U_{\varepsilon/2} = 2,58$ .

მაგალითად, წყლის დონის ( $H_t$ ) 1 ბიჯით წინ პროგნოზირებისას  $\pm 50\%$ -იანი ზღვრებია  $\hat{Z}_t(1) \pm 8,8$ , ხოლო 95%-იანი –  $\hat{Z}_t(1) \pm 25,7$ ; 2

ბიჯით წინ პროგნოზირებისას იგივე ზღვრები იქნება  $\hat{Z}_t(2) \pm 9,9$  და  $\hat{Z}_t(2) \pm 28,9$  და ა.შ.

(14) და (15) მოდელებით განისაზღვრება, როგორ იცვლება პროგნოზირებული სიდიდეები - წრფივად, ექსპონენციალურად, პერიოდულად თუ სხვა სახით.

### 3. დასკვნა

ამრიგად, წყალსაცავში წყლის დონისა და კაშხლის გადახრების მონაცემთა დროითი რიგების ანალიზისა და სათანადო პროცედურების (იდენტიფიკაცია, მორგება, დაზუსტება, დიაგნოსტიკური გასინჯვა) შედეგად მიღებული ალბათური ავტორეგრესიული მოდელები შეიძლება გამოვიყენოთ დისკრეტული დროითი რიგების მომავალი წევრების პროგნოზირებისათვის, ტექ-

ნიკურ სისტემაში მიმდინარე პროცესების რეგულირებისა და სტაბილიზაციის მიზნით.

### ლიტერატურა

1. Дж. Бокс, Г.Дженкинс. Анализ временных рядов. Вып.1. Прогноз и управление. М.: Мир, 1974.
2. Э.Хеннан. Анализ временных рядов. М.: Наука, 1964.
3. Месхи М.А. Прогнозирование технико-экономических показателей добычных участков с применением анализа временных рядов // Труды ГТУ „Процессы горных работ“ 1987. №7, გვ.5-8.
4. ვ. აბაშიძე, თ. ჭელიძე, თ. ცაგურიძე, თ. კობახიძე. ენგურის თაღოვან კაშხალზე დახრ-მზომებით ჩატარებული დაკვირვებების შედეგები // ენერჯია, №1 (45), 2008, გვ. 20-26.

UDC 519.242

## THE ANALYSIS OF TEMPORARY ROWS OF THE DATA OF WATER LEVEL IN THE RESERVOIR AND TILT INDICATOR OF ENGURI HYDRO ELECTRIC PLANT DAM

M. Meskhi, V. Abashidze, G. Chiaureli, M. Sadunishvili, T. Papava

Department of engineering geodesy and geoinformatics, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is described the analysis of temporary rows of the indices of water level in the reservoir and tilt indicator of Enguri hydro electric plant dam.

There are obtained the discrete autoregressive models of the mentioned temporary rows for prognostication of the future row members with the aim of regulating and stabilizing water level in the reservoir.

**Key words:** autoregression; autocovarization; autocorrelation; identification; adequacy; diagnostic check; “white noise”; prognostication; residue error; prognosis error.

УДК 519.242

## АНАЛИЗ ВРЕМЕННЫХ РЯДОВ ДАННЫХ УРОВНЯ ВОДЫ В ВОДОХРАНИЛИЩЕ И НАКЛОНОМЕРА ПЛОТИНЫ ИНГУРИГЭС

Месхи М.А., Абашидзе В.Г., Чиаурели Г.Г., Садунишвили М.А., Папава Т.Г.

Департамент инженерной геодезии и геоинформатики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Изложен анализ временных рядов данных уровня воды в водохранилище ИнгуриГЭС и наклона плотины.

Получены дискретные авторегрессионные модели упомянутых временных рядов для прогнозирования будущих членов рядов с целью регулирования уровня воды в водохранилище.

**Ключевые слова:** авторегрессия; автоковариация; автокорреляция; идентификация; адекватность; диагностическая проверка; "белый шум"; прогнозирование; остаточная ошибка; ошибка прогноза.

მიღებულია დასაბუთებად 26.11.12

შპს 519.242

## ენგურჰესის კაშხლის დინამიკური პროცესის მოდელირება გადაამცემი ფუნქციით

მ. მესხი\*, ვ. აბაშიძე, გ. ჭიაურელი, თ. პაპავა

საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: murman.meskhi@gtu.ge

**რეზიუმე:** მოცემულია ენგურჰესის კაშხლის დინამიკური პროცესის გადაამცემი ფუნქციის იდენტიფიკაცია დროითი რიგების ანალიზის საფუძველზე. მიღებულია შემავალ-გამომავალი პროცესის გადაამცემი ფუნქცია, რომელიც გამოყენებულია კაშხლის დახრის სიდიდეთა პროგნოზირებისათვის პროცესის რეგულირების მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** შემავალი პროცესი; გამომავალი პროცესი; გადაამცემი ფუნქცია; ურთიერთკორელაცია; შეშფოთება; ნარჩენი შეცდომა; პროგნოზის შეცდომა.

### 1. შესავალი

ენგურჰესის ერთიან ტექნიკურ სისტემაში "წყლის დონე - კაშხლის დახრა" წყლის დონის ცვლილება (წყალსაცავის ავსება-დაცლა) შემავალი პროცესია, ხოლო კაშხლის მოძრაობა (გადახრა ქვედა და ზედა ბიეფებისკენ) – გამომავალი. სისტემის ინერციულობის გამო, შემავალი პროცესის ცვლადობა მყის გაელენას არ ახდენს გამომავალ პროცესზე, არამედ იწვევს დაგვიანებულ რეაქციას, რომელიც უნდა აღწეროს გადაამცემი ფუნქციამ, როგორც სისტემის ინერციულმა მახასიათებელმა. სისტემის რეჟიმს გან-

საზღვრავს შემავალი პროცესი – წყლის დონის ცვლილება, რომელსაც მაიქულელებელი ფუნქცია ეწოდება [1].

ზოგჯერ არსებობს გამომავალი პროცესის დაგვიანების საწყისი ინტერვალი ანუ ფუჭი დრო. იგი შემავალზე რეაქციის ანუ სისტემის გამოდახილის დაგვიანების დროა ( $b$ ). მისი სიდიდე სხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია დროითი რიგის წევრთა შორის დისკრეტულ დროის მონაკვეთზე. რაც უფრო მცირეა ეს ინტერვალი, მით მეტია რეაქციის დრო და, პირიქით, დიდ ინტერვალზე რეაქცია ხანმოკლეა.

სასურველია სისტემა იყოს მდგრადი, რაც ნიშნავს, რომ შემავლის სასრული ნაზარდი იწვევს გამომავლის სასრულ ზრდას. სისტემის მახასიათებელია ერთეულ იმპულსზე გამოდახილი ანუ იმპულსური გამოდახილი ( $\nu_j$ ), რომელთა წონების ჯამი სისტემის გაწონასწორებულ მნიშვნელობას ( $g$ ) იძლევა, ე.ი.  $\sum_{j=0}^{\infty} \nu_j = g$ . ამრიგად,

მდგრადი სისტემისათვის ერთეულ იმპულსებზე (გარკვეულ დროში გარკვეული სიმაღლით წყლის დონის მატება) ფუნქციის გამოდახილთა ჯამი უნდა იძლეოდეს გამომავლის დამყარებულ (გაწონასწორებულ) სიდიდეს.

სისტემაზე დაკვირვებები წარმოებს დროის ტოლი ინტერვალებით (სათური), შესაბამისად



გადამცემი მოდელი დისკრეტულია. ასეთი მოდელის მნიშვნელობა სისტემაზე კონტროლსა და გააზრებულ მართვაში მდგომარეობს.

ზედმიწვევით კონტროლირებად პირობებშიც კი სისტემის გამომავალზე გავლენას ახდენს არა მარტო შემავალი პროცესი, არამედ შემთხვევითი ფაქტორებიც. ასეთ შემთხვევაში კომბინირებულ ეფექტს შეშფოთება ანუ სისტემის ხმაურიც ემატება. რეალურ მონაცემებზე აგებულმა გადამცემმა მოდელმა უნდა გაითვალისწინოს არა მარტო შემავალ-გამომავალ პროცესებს შორის დინამიკური დამოკიდებულება, არამედ სისტემაში არსებული ხმაურიც, რომლის გამომწვევი მიზეზი შემთხვევითი, ალბათური პროცესია.

გადამცემი ფუნქციის მიხედვით დროითი რიგის დისკრეტულ მონაცემებზე ხდება იდენტიფიკაციის, პარამეტრების შეფასებისა და მონაცემებთან ადეკვატურობაზე დიაგნოსტიკური გასინჯვის სათანადო პროცედურებით.

იდენტიფიკაცია სრულდება ავტოკორელაციური და ურთიერთკორელაციური ფუნქციების დახმარებით. მოდელის პარამეტრების შეფასება ხდება უმცირეს კვადრატთა მეთოდით. დიაგნოსტიკური გასინჯვისათვის გამოიყენება მოდელის ნარჩენი შეცდომების ავტოკორელაციური ფუნქცია,  $\chi^2$  კრიტერიუმი, აგრეთვე პროგნოზების მიმართული შეცდომები.

სასურველია, გადამცემი ფუნქციის წრფივი მოდელი გამოირჩეოდეს პარამეტრიზაციის ეკონომიურობით, მონაცემებთან ადეკვატურობით და პროგნოზისათვის გამოსადეგობით [2].

## 2. ძირითადი ნაწილი

დისკრეტული გადამცემი სისტემის მოდელი წრფივი, სხვაობითი განტოლების სახით წარმოგვიდგება:

$$\begin{aligned} (1 - \delta_1 B - \delta_2 B^2 - \dots - \delta_r B^r) X_t = \\ = (\omega_0 - \omega_1 B - \omega_2 B^2 - \dots - \omega_s B^s) H_{t-b}, \end{aligned} \quad (1)$$

სადაც  $X_t$  – კაშხლის დახრის დროითი რიგი არის სისტემის გამომავალი პროცესი;  $H_t$  – წყალსაცავში წყლის დონის დროითი რიგი – სისტემის შემავალი პროცესი;  $b$  – სისტემის გამომდახილის (რეაქციის) დაგვიანების დრო;  $B$  – დროით რიგში უკან ძვრის ოპერატორი,  $BX_t = X_{t-1}$ ,  $B^2 X_t = X_{t-2}$ , ...,  $B^r X_t = X_{t-r}$ ;  $\delta_1, \delta_2, \dots, \delta_r$  და  $\omega_0, \omega_1, \omega_2, \dots, \omega_s$  – გადამცემი ფუნქციის მოდელის უმცირეს კვადრატთა მეთოდით დასადგენი

პარამეტრები;  $r$  და  $s$  – შესაბამისად, გამომავალ და შემავალ პროცესებში პარამეტრების რაოდენობა.

(1) ტოლობა მოკლედ ასე ჩაიწერება:

$$\delta(B) X_t = \omega(B) H_{t-b}. \quad (2)$$

ეს უკანასკნელი შეიძლება ასეთი სახითაც წარმოვადგინოთ:

$$X_t = \delta^{-1}(B) \omega(B) H_{t-b} = \nu(B) H_{t-b}, \quad (3)$$

სადაც  $\nu(B)$ -ს ეწოდება ფილტრის გადამცემი ფუნქცია.

პრაქტიკაში (2) სახით წარმოდგენილ მოდელს დაემატება ნორმალური პროცესის თანმხლები შეშფოთება (ხმაური) და მოდელი მიიღებს სახეს:

$$\delta(B) X_t = \omega(B) H_{t-b} + a_t, \quad (4)$$

სადაც  $a_t$  არის სისტემის შეშფოთება ანუ ხმაური.

როდესაც სისტემაში ხმაურის გავლენა მცირეა, გადამცემი ფუნქციაში შემავალი პროცესი აირჩევა იმპულსების, ნახტომების, სინუსოიდების ან სხვა სახით. მნიშვნელოვანი ხმაურის შემთხვევაში კი გადამცემი ფუნქციის შეფასებისათვის იყენებენ სტატისტიკურ მეთოდებს, კერძოდ უმცირეს კვადრატთა მეთოდს.

გადამცემი ფუნქციის მოდელის იდენტიფიცირებისათვის ვიყენებთ სისტემაში შემავალი პროცესების ურთიერთკორელაციურ ფუნქციას. ამ მიზნით ჯერ განისაზღვრება ურთიერთკორელაციის კოეფიციენტები შემავალ ( $H_t$ ) და გამომავალ ( $X_t$ ) პროცესებს შორის  $K$  დაყოვნებით

$$\begin{aligned} C_{HX}(k) = 1/N (H_t - \bar{H}_t)(X_{t+k} - \bar{X}), \\ k = 1, 2, \dots, K, \end{aligned} \quad (5)$$

სადაც  $N$  არის შემავალი და გამომავალი დროითი რიგების საანალიზოდ გამოყენებული წვერთა რაოდენობა ( $N=120$ );  $\bar{H}_t$  და  $\bar{X}_t$  – დროითი რიგების საშუალო სიდიდეები;  $k$  – დაყოვნების რიგითი ნომერი;  $K$  – დაყოვნების საბოლოო სიდიდე,  $K \approx N/5$ .

დროითი რიგების მონაცემთა  $N$  წვერები წყლის დონისა ( $H_t$ ) და კაშხლის გადახრის ( $X_t$ ) ყოველთვიური მაჩვენებლებია 2000 წლის იანვრიდან ( $t=1$ ) 2009 წლის დეკემბრის ჩათვლით ( $t=120$ ).



(5) ტოლობის გამოყენებით განისაზღვრება ურთიერთკორელაციური ფუნქცია

$$r_{HX}(k) = C_{HX}(k) / \sigma_H \sigma_X, \quad k = 1, 2, \dots, K, \quad (6)$$

სადაც  $\sigma_H$  არის წყლის დონეთა დროითი რიგის საშუალო კვადრატული შეცდომა (სკშ), იგივე სტანდარტული შეცდომა და ტოლია:

$$\sigma_H = \left[ \frac{1}{N} \sum_{t=1}^N (H_t - \bar{H}_t)^2 \right]^{1/2}, \quad (7)$$

ხოლო  $\sigma_X$  არის კაშხლის გადახრების დროითი რიგის სკშ (სტანდარტი) და ტოლია:

$$\sigma_X = \left[ \frac{1}{N} \sum_{t=1}^N (X_t - \bar{X}_t)^2 \right]^{1/2}. \quad (8)$$

საანალიზოდ აღებული დროითი რიგებისათვის ეს მაჩვენებლები ტოლია:  $\sigma_H \approx 22.44$  და  $\sigma_X \approx 19.57$  კუთხ. წმ.

ზოგადად  $r_{HX}(k)$  არ უდრის  $r_{HX}(-k)$ , ამიტომ ურთიერთკორელაციური ფუნქცია, ავტორეკლაციურისგან განსხვავებით,  $k=0$  მიმართ არასიმეტრიულია.


ურთიერთკორელაციური ფუნქციის დისპერსიის საანგარიშოდ იყენებენ ბარტლემის გამარტივებულ ფორმულას [1] -  $\sigma_r^2 \approx 1/N - k$ , ხოლო სტანდარტული შეცდომა იქნება  $(N - k)^{-1/2}$ .

დროითი რიგების მონაცემებით გამოთვლილი ურთიერთკორელაციები  $k$  დაყოფებით ( $k = 1, 2, \dots, 15$ ) წარმოდგენილია 1-ლ ნახ-ზე, რომელზეც კარგად ჩანს ურთიერთკორელაციური ფუნქციის პერიოდულობა (12-თვიანი) და მნიშვნელოვანი საწყისი სიდიდეები. აღნიშნული მეტყველებს დაყოფების არარსებობაზე ( $b=0$ ). გარდა ამისა, რადგან ურთიერთკორელაციები არამილევადია, საქმე გვაქვს არასტაციონარულ პროცესთან [3].

როდესაც შემავალ პროცესზე არ გვაქვს მყისი რეაქცია, იმპულსური გამოძახილის ( $v_k$ ) ერთი ან რამდენიმე საწყისი სიდიდე ( $v_0, v_1, v_2, \dots$ ) ნულის ტოლია, ხოლო  $b$  დაგვიანება არ უდრის ნულს. ჩვენ შემთხვევაში პირიქითაა, რადგან  $v_k$  სიდიდეები, რომლებიც შემდეგი ფორმულით გამოთვლება:  $v_k \approx r_{HX}(k) \cdot \sigma_X / \sigma_H$ , ტოლია  $v_0 = 0.87$ ,

$v_1 = -0.66$ ,  $v_2 = -0.36$  და ა.შ., მიგვანიშნებს, რომ  $b$  დაყოფებს არ აქვს ადგილი ( $b=0$ ), ამიტომ (4) ფორმულის ნაცვლად გვექნება:

$$\delta(B)X_t = \omega(B)H_t + a_t. \quad (9)$$



ნახ.1. „წყლის დონე - კაშხლის დახრა“ სისტემის ურთიერთკორელაციური ფუნქცია

იდენტიფიკაციის პროცედურის მიზანია (1) გადამცემი მოდელის მარცხენა და მარჯვენა ოპერატორებში  $r$  და  $s$  პარამეტრების რაოდენობისა და  $\delta, \omega$  პარამეტრების მიახლოებითი მნიშვნელობების დადგენა. პროცედურა შედგება შემდეგი ოპერაციებისგან: 1) იმპულსური გამოძახილის ( $v_j$ ) წონების მიახლოებითი სიდიდეების დადგენა; 2)  $v_j$  შეფასებებით  $r$  და  $s$  რაოდენობისა და  $b$  პარამეტრის სიდიდის დადგენა ( $r \approx 3, s \approx 3, b = 0$ ); 3)  $\delta$  და  $\omega$  პარამეტრების საწყისი შეფასებების მიახლოებითი განსაზღვრა, რისთვისაც ვიყენებთ შემდეგ ფაქტებს -  $v_j$  წონები შედგება:  $b$  რაოდენობის საწყისი ნულოვანი სიდიდეებისაგან (რაც ჩვენ შემთხვევაში არ არის);  $s - r + 1$  რაოდენობის  $v_j$  იმპულსური გამოძახილებისგან;  $j > (s - r + 1)$ -თვის  $v_j$  სიდიდეები მიიღება რეკურენტული გზით, რაც დაგვეხმარება  $\delta$  და  $\omega$  პარამეტრების მიახლოებითი სიდიდეების დადგენაში.

ურთიერთკორელაციებით და დროითი რიგების სტანდარტული შეცდომებით მიღებული იმპულსური გამოძახილების წონები მიახლოებითი და ხშირად არაეფექტურია. მათი გამოყენება ყოველთვის არ იძლევა შედეგს, მაგრამ შეუძლია მიგვანიშნოს მოდელის სახეზე. მაგალითად,  $v_1, v_2$  და  $v_{13}$  სიდიდეები, ისევე, როგორც  $r_1, r_{12}$  და  $r_{13}$ , მიგვანიშნებს, რომ მოდელს შეიძლება ჰქონდეს სახე:

$$(1 - \delta_1 B - \delta_2 B^{12} - \delta_3 B^{13})X_t =$$

$$= (\omega_0 - \omega_1 B - \omega_2 B^{12} - \omega_3 B^{13}) H_t + a_t. \quad (10)$$

გადამცემი მოდელის პარამეტრების ეფექტური შეფასება შესაძლებელია იმ ვარაუდით, რომ მოდელის სახე ცნობილია.  $v_k$  იმპულსური გამომავლის წონების სიდიდეები იდენტიფიკაციის მხოლოდ საწყის ეტაპზე გამოიყენება, რომელიც შემდეგ უნდა დაზუსტდეს უმცირეს კვადრატთა მეთოდით. აღნიშნული მეთოდით დადგენილი პარამეტრების მნიშვნელობებია:


$$\delta_1 = 0.67; \delta_2 = 0.78; \delta_3 = -0.53; \omega_0 = -0.86;$$

$$\omega_1 = -0.40; \omega_2 = -0.65; \omega_3 = 0.18.$$

სისტემის გადამცემი მოდელის საბოლოო სახეა:

$$X_t = 0.67X_{t-1} + 0.78X_{t-12} - 0.53X_{t-13} - 0.86H_t + 0.40H_{t-1} + 0.65H_{t-12} - 0.18H_{t-13} + a_t. \quad (11)$$

(11) მოდელით გამოთვლილი სიდიდეები მოცემულია მე-2 ნახ-ზე წყვეტილი ხაზით. როგორც ნახაზიდან ჩანს, მოდელი საკმაოდ სიზუსტით აღწერს სისტემის გამომავალი პროცესის ანუ კაშხლის დინამიკური პროცესის პერიოდულობას.




ნახ.2. გადამცემი ფუნქცია-ფაქტიური (უწყვეტი ხაზი), გამოთვლილი (წყვეტილი) და პროგნოზირებული (წერტილოვანი) სიდიდეებით

გადამცემი ფუნქციის იდენტიფიცირებული (11) მოდელის ადეკვატურობა შეიძლება შემოწმებულ იქნეს მოდელის ნარჩენი შეცდომების ( $a_t = X_{t,obs} - X_{t,est}$ ) ავტოკორელაციებით ( $r_{aa}(k)$ ), რომელიც მე-3 ნახაზზეა მოცემული. რადგან  $r_{aa}(k)$  ( $K = 48$ ) სიდიდეები ნაკლებია ორმაგ სტანდარტულ შეცდომაზე, ეს მეტყველებს მოდელის ადეკვატურობაზე. ნარჩენი შეცდომების ავტოკორელაციების გარდა, მოდელის ვარგისობა შეიძლება შემოწმდეს  $Q$  და  $\nu$  პარამეტრების  $\chi^2$  კრიტერიუმით.

$$\left. \begin{aligned} Q &= N \sum_{k=1}^K r_{aa}^2(k), \\ \nu &= k - p, \end{aligned} \right\} \quad (12)$$

სადაც  $r_{aa}(k)$  არის ნარჩენი შეცდომების ავტოკორელაციები  $k$  დაყოვნებით:  $\nu$  - თავისუფლების ხარისხი;  $p$  - მოდელში პარამეტრების რაოდენობა.

$Q$  და  $\nu$  სიდიდეების  $\chi^2$  კრიტერიუმის ცხრილურ მონაცემებთან შედარებამ არ დაადასტურა მოდელის არაადეკვატურობის ჰიპოთეზა.



ნახ.3. გადამცემი ფუნქციის ნარჩენი შეცდომების ავტოკორელაციები

გადამცემი ფუნქციის გამომავალი პროცესის ( $X_t$ ) დროითი რიგის მომავალი წევრების პროგნოზირებისათვის  $\ell$  წინსწრებით ვიყენებთ (11) მოდელს და პროგნოზებს გამოვთვლით შემდეგი ტოლობით:

$$\hat{X}_{t+\ell} = 0.67X_{t+\ell-1} + 0.78X_{t+\ell-12} - 0.53X_{t+\ell-13} - 0.86H_{t+\ell} + 0.40H_{t+\ell-1} + 0.65H_{t+\ell-12} - 0.18H_{t+\ell-13} + a_t \quad (13)$$

$\hat{X}_t(\ell)$  პროგნოზი  $\ell$  წინსწრებით  $t$  მომენტში განისაზღვრება, როგორც  $X_{t+\ell}$  სიდიდის პირობითი მათემატიკური ლოდინი  $t$  მომენტში.

გადამცემი ფუნქციით მომავალი წევრების პროგნოზირებისას მხედველობაში ვღებულობთ, რომ

$$\left. \begin{aligned} \hat{X}_{t+j} &= \begin{cases} X_{t+j}, & j \leq 0 \quad (X_t, X_{t-1}, X_{t-2}, \dots); \\ \hat{X}_{t(j)}, & j > 0 \quad (\hat{X}_t(1), \hat{X}_t(2), \hat{X}_t(3), \dots); \end{cases} \\ \hat{H}_{t+j} &= \begin{cases} H_{t+j}, & j \leq 0 \quad (H_t, H_{t-1}, H_{t-2}, \dots); \\ \hat{H}_{t(j)}, & j > 0 \quad (\hat{H}_t(1), \hat{H}_t(2), \hat{H}_t(3), \dots); \end{cases} \\ a_{t+j} &= \begin{cases} a_{t+j}, & j \leq 0 \quad (a_t, a_{t-1}, a_{t-2}, \dots); \\ 0, & j > 0 \quad (a_{t+1}, a_{t+2}, a_{t+3}, \dots). \end{cases} \end{aligned} \right\} \quad (14)$$

რადგან ნარჩენი შეცდომა ერთი ბიჯით წინ ( $\ell = 1$ ) გაკეთებული პროგნოზის შეცდომაა, ამიტომ

$$a_t = X_t - \hat{X}_{t-1}(1). \quad (15)$$

(13) გადამცემი ფუნქციის მოდელით პროგნოზები გამოითვლება რეკურენტული ხერხით:

$$\hat{X}_{t+1} = 0.67X_t + 0.78X_{t-11} - 0.53X_{t-12} -$$

$$-0.86\hat{H}_{t+1} + 0.40H_t + 0.65H_{t-11} - 0.18H_{t-12},$$

$$\hat{X}_{t+2} = 0.67\hat{X}_{t+1} + 0.78X_{t-10} - 0.53X_{t-11} -$$

$$-0.86\hat{H}_{t+2} + 0.40\hat{H}_{t+1} + 0.65H_{t-10} - 0.18H_{t-11},$$

$$\dots \dots \dots \quad (16)$$

$$\hat{X}_{t+4} = 0.67\hat{X}_{t+3} + 0.78\hat{X}_{t+2} - 0.53\hat{X}_{t+1} -$$

$$-0.86\hat{H}_{t+4} + 0.40\hat{H}_{t+3} + 0.65\hat{H}_{t+2} - 0.18\hat{H}_{t+1},$$

$$\dots \dots \dots$$

როგორც (16) ტოლობებიდან ჩანს, გადამცემი ფუნქციით  $\hat{X}_t(\ell)$  პროგნოზირებისათვის გვჭირდება შემავალი პროცესის ( $H_t$ ) დროითი რიგის არა მარტო წევრები, არამედ მათი პროგნოზებიც, რისთვისაც ვიყენებთ  $H_t$ , როგორც "წინსწრები ინდიკატორის" ადრე იდენტიფიცირებულ, ავტორეგრესიულ მოდელს (იხ. ამავე ჟურნალში წინა სტატია).

$$\hat{H}_{t+\ell} = 0.52H_{t+\ell-1} + 0.89H_{t+\ell-12} - 0.35H_{t+\ell-13} - 24.6 + a_t \quad (17)$$

(17) მოდელით პროგნოზირებულ  $\hat{H}_t(\ell)$  სიდიდეებს ვიყენებთ (16) რეკურენტულ ტოლობებში  $\hat{X}_t(\ell)$  პროგნოზების გამოსათვლელად.  $t=97$ -დან დაწყებული პროგნოზები  $t=120$  ჩათვლით (ორი წლის პროგნოზი თვიური ინტერვალებით) მოცემულია მე-2 ნახ-ზე წერტილოვანი ხაზით. გადამცემი ფუნქციით პროგნოზირებული სიდიდეების სკშ შეადგენს  $\sigma_e = 7.6''$ , ხოლო ნარჩენი შეცდომებისა -  $\sigma_a = 7.1''$ . ამ მონაცემებით და  $\Psi_t$  წონითი კოეფიციენტებით, რომელთა დადგენა მოდელის პარამეტრებითაა შესაძლებელი, ვპოულობთ პროგნოზის შეცდომის დისპერსიას და 50 და 95%-იან ალბათურ ზღვრებს, რომლებშიც პროგნოზი თავსდება.

როგორც (16) ტოლობებიდან ჩანს, სისტემის გადამცემი ფუნქციით პროგნოზირებისათვის საჭიროა გვექონდეს რამდენიმე საწყისი მნიშვნელობა ანუ დროითი რიგის წინაისტორია. თუ არ გვაქვს, ე.ი. დროითი რიგის წევრები მთლიანად დახარჯულია მოდელის მისაღებად, მაშინ წინა წევრების ნაცვლად უნდა გამოვიყენოთ გადამცემ ფუნქციაში შემავალი პროცესების დროითი რიგების საშუალო სიდიდეები.

### 3. დასკვნა

ენგურის კაშხლის წყალსაცავში წყლის დონეთა და კაშხლის დინამიკური პროცესის პერიოდული დროითი რიგების ანალიზის საფუძ-

ველზე მიღებულია შემავალი (წყლის დონე) და გამომავალი (კაშხლის მოძრაობა) პროცესების გადამცემი ფუნქცია, რომლის გამოყენება შესაძლებელია პროცესის პროგნოზირებისათვის მისი რეგულირებისა და სტაბილიზაციის მიზნით.

### ლიტერატურა

1. Дж. Бокс, Г.Дженкинс. Анализ временных рядов. Вып.1 Прогноз и управление. М.: Мир, 1974.
2. Р.Фишер. Статистические методы для исследователей. М.: Госстатиздат, 1958.
3. А. Хальд. Математическая статистика с техническими приложениями. М.: УИП, 1956.

UDC 519.242

## MODELLING OF ENGURI DAM DYNAMIC PROCESS BY TRANSMISSION FUNCTION

M. Meskhi, V. Abashidze, G. Chiaureli, T. Papava

Department of engineering geodesy and geoinformation, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is described the identification of Enguri dam dynamic movement by transmission function on the basis of analysis of temporary rows. There is obtained the model of transmission function of intake-output process for prognostication of the dam slope indices with the aim of regulating the process.

**Key words:** intake process; output process; transmission function; mutual correlation; perturbation; residue error; prognosis error.

УДК 519.242

## МОДЕЛИРОВАНИЕ ДИНАМИЧЕСКОГО ПРОЦЕССА ИНГУРСКОЙ ПЛОТИНЫ ПЕРЕДАТОЧНОЙ ФУНКЦИЕЙ

Месхи М.А., Абашидзе ВТ., Чиаурели Г.Г., Папава Т.Г.

Департамент геодезии и геоинформатики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Изложена идентификация динамического процесса Ингурской плотины передаточной функцией на основе анализа временных рядов. Получена модель передаточной функции процесса вход-выход для прогнозирования показателей наклона плотины с целью регулирования процесса.

**Ключевые слова:** входной процесс; выходной процесс; передаточная функция; взаимная корреляция; возмущение; остаточная ошибка; ошибка прогноза.

*მიღებულია დასაბუჯდად 07.02.13*

**შპს 624.191.2****დიდგანივკვეთიანი გვირაბების მშენებლობა სუსტ ქანებში****ი. გუჯაბიძე\*, ზ. ლებანიძე\*\*, ა. გონილეიშვილი, რ. მუჯანაძე**

სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: i.k.gujabidze@gmail.com, zlebanidze@mail.ru

**რეზიუმე:** მოცემულია საქართველოს საავტომობილო და სარკინიგზო გვირაბების ჩამონათვალი, რომელთა მშენებლობა და რეაბილიტაცია განხორციელდა ბოლო წლებში. მოკლედ აღწერილია ასევე გამოყენებული მეთოდები. დეტალურად არის განხილული „ძველი ავსტრიული“, „ახალი ავსტრიული“, „ნორვეგიული“ და „ადეკოს“ მეთოდები. ნაშრომში აღნიშნულია, რომ დღეისათვის სუსტ ქანებში დიდი განივკვეთის გვირაბების გაყვანისათვის ძირითადად გამოიყენება „ახალი ავსტრიული“ და „ნორვეგიული“ მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს გაყვანის სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოებას და მნიშვნელოვნად ამცირებს მშენებლობის ვადებს და დანახარჯებს.

**საკვანძო სიტყვები:** დიდგანივკვეთიანი გვირაბების მშენებლობა; საავტომობილო და სარკინიგზო გვირაბები; ძველი ავსტრიული; ახალი ავსტრიული (NATM) და ნორვეგიული (NTM) მეთოდები; „ადეკოს“ მეთოდი; სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოება; მშენებლობის ვადები და დანახარჯები.

**1. შესავალი**

სატრანსპორტო დანიშნულების დიდგანივკვეთიანი გვირაბების მშენებლობამ საქართველოში დიდი აქტუალობა შეიძინა, რაც დაკავშირებულია არსებული სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციასა და ახლის გაყვანასთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის შემოსავლელი ახალი სარკინიგზო ხაზის, თბილისი-სენაკი-ღესეღიძის, ქობულეთისა და ბათუმის შემოსავლელი საავტომობილო გზების მშენებლობა, 2010 წელს სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის 89-ე კმ-ზე მშენებარე 657 მ სიგრძის ორი ცალმხრივი მოძრაობისათვის განკუთვნილი საავტომობილო გვირაბი, 2011 წელს დასრულდა თბილისი-სენაკი-ღესეღიძის საავტომობილო გზის სვენეთ-რუისის მონაკვეთზე მშენებარე 783 და 771 მ სიგრძის ორი ცალმხრივი მოძრაობისათვის განკუთვნილი საავტომობილო გვირაბი, ამავე წელს დასრულდა

1750 მ სიგრძის რიკოთის საუღელტეხილო საავტომობილო გვირაბის რეაბილიტაცია. აღნიშნული გვირაბები აღჭურვილია ვენტილაციის, განათების, ტრანსპორტის მოძრაობის მართვის, რეგულირებისა და უსაფრთხოების თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი მოწყობილობებით და აპარატურით. ქობულეთისა და ბათუმის შემოსავლელი გზების პროექტებით გათვალისწინებულია 6 ახალი გვირაბის მშენებლობა. დასრულებული და მშენებარე გვირაბების პროექტების შედგენასა და განხორციელებაში ქართულ კომპანიებსა და სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობდნენ გერმანული, შვეიცარიული, იტალიური, ესპანური, სამხრეთ-კორეული, ჩინური, იაპონური, თურქული, ფრანგული და სხვა ქვეყნების საპროექტო კომპანიები და სპეციალისტები. შესაბამისად, პროექტების დამუშავებისას გამოყენებულია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების თანამედროვე მიღწევები გვირაბების მშენებლობის საქმეში.

**2. ძირითადი ნაწილი**

გვირაბები სვენეთ-რუისის მონაკვეთზე აშენდა ახალი ავსტრიული მეთოდით (NATM), რომელიც განკუთვნილია გვირაბების გასაყვანად სუსტ, ნაკლებად მდგრად ქანებში. ამ მეთოდით არის დაგეგმილი ახალი გვირაბების გაყვანა ქობულეთისა და ბათუმის შემოვლითი საავტომობილო გზების მშენებლობის პროექტებით. ამავე მეთოდით იქნა გაყვანილი გვირაბები თბილისის შემოსავლელ ახალ სარკინიგზო მაგისტრალზე. მეთოდის თანახმად, გამონამუშევარს თავდაპირველად ამაგრებენ ჩაკეტილი კონტურის მქონე ლითონის არმატურის ბადეებით დაარმატურებული ნაშხებეტონის პირველადი სამაგრი, რომლის გაძლიერება, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება თვითმბურღავი ანკერებით და ლითონის სხვადასხვა (ორტესებრი, შველერი და სხვა) ძელისგან დამზადებული ჩარჩოებით. სამთო წნევის და გვირაბის კონტურის დეფორმაციების სტაბილიზირების შემდეგ ამოჰყავთ ბეტონის ან რკინაბეტონის მუდმივი სამაგრი. პირველად და მუდმივ სამაგრს შორის აწყობენ ჰიდროსაიზოლაციო მემბრანას,



რომელიც გამორიცხავს გვირაბში გრუნტის წყლის შემოდინებას.

ახალმა ავსტრიულმა მეთოდმა (NATM) დასახელება, როგორც [1] ნაშრომშია აღნიშნული, მიიღო ძველი ავსტრიული მეთოდის ნაცვლად, რომელიც გასული საუკუნის 60-ანი წლების ლიტერატურაში იყო აღწერილი და გამოიყენებოდა გვირაბების გასაყვანად სუსტ, არამდგრად ქანებში. მოგვიანებით მას უწოდეს გვირაბების სრული კვეთით გაყვანის მეთოდი. ძველი ავსტრიული მეთოდით გვირაბების მშენებლობისას, ისევე, როგორც ახალი ავსტრიული მეთოდის გამოყენებისას, სანგრევის გახსნა და ქანის დამუშავება ხდებოდა ეტაპობრივად, საფეხურებად, რომელთა სანგრევის თაღისა და გვერდების გამაგრება თავდაპირველად ხდებოდა მარაოსებრი ხის ჩარჩოებით, ხოლო მოგვიანებით ამოჰყავდათ ბეტონის მონოლითური სამაგრი მთელ კონტურზე. ახალი ავსტრიული მეთოდით გვირაბების მშენებლობისას, ძველისგან განსხვავებით, გამოიყენება დამთმობი დროებითი სამაგრი, რომელიც ეწეობა ლითონის ბადეებით დაარმატურებულ ნაშხეფბეტონისაგან, რომლის გაძლიერება საჭიროებისამებრ ხდება ლითონის სხვადასხვა პროფილისაგან დამზადებული ჩარჩოებისა და ანკურების დახმარებით, იმავდროულად მიმდინარეობს დროებითი სამაგრის და გარემომცველი მასივის დაძაბული მდგომარეობის და დეფორმაციების სისტემატური ინსტრუმენტული დაკვირვებები, რომელთა საფუძველზე ხდება დროებითი სამაგრის კონსტრუქციის კორექტირება.

ამჟამად დიდგანიკვეთიანი სატრანსპორტო გვირაბების მშენებლობისას ნახევრად კლდოვან და სუსტ ქანებში ფართო გამოყენება პოვა ნორვეგიულმა მეთოდმა (NTM), რომელიც თავდაპირველად დამუშავებული იყო გვირაბების გასაყვანად ძლიერ დაბზარულ, მაგარ კლდოვან ქანებში [1, 2, 3]. ამ შემთხვევაშიც დამთმობი დროებითი სამაგრი ეწეობა ლითონის ბადეებით დაარმატურებული სხვადასხვა სისქის ნაშხეფბეტონისაგან. გასული საუკუნის ბოლოს ამ მეთოდის გამოყენება წარმატებით დაიწყო გვირაბების მშენებლობისას სუსტ არამდგრად ქანებში, რასაც ხელი შეუწყო ფოლადის ფიბრით დაარმატურებული ნაშხეფბეტონის დანერგვამ. ამ უკანასკნელმა მნიშვნელოვნად შეამცირა დაარმატურებული პირველადი ნაშხეფბეტონის სამაგრის მოწყობის ხანგრძლივობა, რადგან, ამ შემთხვევაში, საჭირო აღარ არის ფოლადის არმატურის ბადეების მო-


წყობა. გვირაბების მშენებლობის ნორვეგიულ ხერხს საფუძველად უდევს Q ტესტირების მეთოდი, რაც გულისხმობს ასაშენებელი გვირაბის გარემომცველ ქანთა მასივის გეოლოგიური და გეოტექნიკური მახასიათებლების ზედმიწევნით ზუსტ კლასიფიკაციას RQD (Rock Quality Determination) ანუ ქანთა მასივის მდგომარეობის ზუსტ შეფასებას და შესაბამისი სამაგრი კონსტრუქციის შერჩევას. ნორვეგიის გეოტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერების მიერ მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობის მრავალრიცხოვანი მონაცემების ანალიზისა და სტატისტიკური დამუშავების შედეგად შედგენილი იქნა ნორვეგიული მეთოდის Q სისტემის ნომოგრამა (ნახ.1). RQD კლასიფიკაციის თანახმად, ქანთა მასივის ხარისხის შეფასება ხდება ამ უკანასკნელში გაზურდილი კერნების გამოსავალი რაოდენობის მიხედვით – რაც მეტია კერნის გამოსავალი, მით ნაკლებია ბზარები, რღვევები და სიცარიელები ქანთა მასივში. ქანთა მასივის მდგრადობის შესაფასებლად RQD-ს გარდა საჭიროა განისაზღვროს ქანების მასივის ბზარიანობის ხარისხის მაჩვენებელი (Jn), ბზარების შემავსებელი მასალის მახასიათებელი (Jr), ქანების მასივის და სამაგრის კონტაქტზე შეუკავშირებელი ქანების მახასიათებელი (Ja), ქანების მასივის გაწყლოვანების და წყლის წნევის მახასიათებელი (Jw) და მასივის საწყისი დაძაბული მდგომარეობის მახასიათებელი (SRE). ჩამოთვლილი მახასიათებლებით განისაზღვრება Q სიდიდე

$$Q = \frac{RQD}{J_n} \times \frac{J_r}{J_a} \times \frac{J_w}{SRE}$$

Q მნიშვნელობა იცვლება საკმაოდ დიდ დიაპაზონში: 0.001-დან (განსაკუთრებით სუსტი ქანებისათვის) 1000-მდე (მაგარი, კლდოვანი, დაუბზარავი ქანებისათვის).

გვირაბის სამაგრის კონსტრუქციის დაზუსტებისას გვირაბის სივანის ან სიმაღლის კორექტირება ხდება SRE სიდიდეზე გაყოფით. ამ უკანასკნელის რიცხვითი მნიშვნელობის სიდიდე დამოკიდებულია მიწისქვეშა ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დონეზე და შეადგენს: მიწისქვეშა ატომური ელექტროსადგურებისათვის, რკინიგზის სადგურებისა და გაზის მაგისტრალური მილსადენებისათვის – 0.5–0.8; მაგისტრალურ ტრასებზე ასაშენებელი სარკინიგზო და საავტომობილო გვირაბებისათვის – 0.9–1.1 და მეორეხარისხოვანი გზებისა და დამხმარე გვირაბებისათვის – 1.2–1.3.







ნახ.1. ნორვეგიული მეთოდის Q სისტემის ნომოგრამა

1-გამაგრების გარეშე; 2-ანკურები (მცირე რაოდენობით); 3-ანკურების სისტემა; 4-ანკურების სისტემა და ნაშუფბეტონი; 5-7-ანკურების სისტემა და ფოლადის ფიბრით დაარმატურებული ნაშუფბეტონი; 8-ანკურების სისტემა, ფოლადის ფიბრით დაარმატურებული ნაშუფბეტონი და არმატურისგან დამზადებული თაღოვანი სამაგრი ჩარჩოები; 9-სანგრევის წინმსწრები სამაგრი მარგილები, ანკურების სისტემა, ფოლადის ფიბრით დაარმატურებული ნაშუფბეტონი და არმატურისგან დამზადებული თაღოვანი სამაგრი ჩარჩოები

ნორვეგიული მეთოდის გამოყენებისას, როგორც მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, მნიშვნელოვნად იზრდება გვირაბების მშენებლობის ტემპი და, შესაბამისად, მცირდება ფინანსური დანახარჯები. მეთოდი, რომელიც ფართოდ გამოიყენება იტალიაში დიდგანიგვეთიანი სატრანსპორტო გვირაბების მშენებლობისათვის მთლიანი კვეთით სუსტ ქანებში ე.წ. „ადეკოს“ მეთოდი დაფუძნებულია გვირაბების გარემომცველი ქანების დეფორმაციებისა და დაძაბულობების თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შედეგებზე [4]. გვირაბის გარემომცველი ქანების დეფორმაციები იწყება გვირაბის სანგრევის ხაზზე, ვრცელდება მასივის სიღრმეში და მოიცავს ექსტრუზიას, პრეკონვერგენციას და კონვერგენციას (ნახ.2).




ნახ.2. გვირაბის გარემომცველ ქანთა მასივის დეფორმაცია 1 – ექსტრუზია (ε), 2 – პრეკონვერგენცია (δ) და კონვერგენცია (υ)



ნახ.3. გვირაბის სანგრევის სიახლოვეს მიმდებარე სუსტი ქანების გაძლიერება ფოლადის მარგილებით და ანკურებით



ნახ. 4. გვირაბის სანგრევის მინაბოჭკოვანი ანკურებით გაძლიერება



ნახ. 5. სუსტი გრუნტების გაძლიერება ჭავლური ცემენტაციით (Jet-grouting)

გვირაბის სანგრევის შუა ნაწილის დეფორმაციულ მახასიათებლებს (ექსტრუზია, პრეკონვერგენცია) და ქანთა მასივის დეფორმაციულ მახასიათებლებს (კონვერგენცია) შორის, მეთოდის დამუშავებულთა აზრით, პირდაპირი კავშირია ანუ უკანასკნელი გავლენას ახდენს პირველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, გარემომცველი მასივის დეფორმაციული სურათის შეფასება ხდება სანგრევის ხაზზე ქანების დეფორმაციის (ექსტრუზია, პრეკონვერგენცია) მონიტორინგის შედეგების მიხედვით. ავტორთა აზრით, გვირაბების მშენებლობისას სუსტ ქანებში, რომლებიც ხასიათდება ქანთა მასივის მეტად რთული დაძაბული მდგომარეობით, კონვერგენცია დეფორმაციის ბოლო საფეხურია. ამდენად იგი შედარებით უკონტროლო მოვლენაა. რაც შეეხება ექსტრუზიას, ის ახასიათებს დეფორმაციის პირველ საფეხურს. შესაბამისად, მისი კონტროლისა და სათანადო პრევენციული ღონისძიებების გატარების შემთხვევაში შესაძლებელია განვითარდეს, ძირითადად, პრეკონვერგენციული პროცესები და არა გვირაბის ჩამოქცევა. ექსტრუ-

ზიის დროს შესაძლებელია პრევენციული ღონისძიებების გატარება ანუ „ადეკოს“ მეთოდის თანახმად, სანგრევის ხაზზე ქანების გაძლიერებით შესაძლებელია გარემომცველი ქანების არასასურველი დეფორმაციების აღკვეთა. სანგრევის ხაზზე ქანების გაძლიერება სხვადასხვა ხერხით ხდება: ფოლადის მარგილების ან მინაბოჭკოვანი ანკერებით, ჭავლური ცემენტაციით და სხვა (ნახ. 3, ნახ. 4 და ნახ. 5).

### 3. დასკვნა

დიდგანიგვეთიანი გვირაბების მშენებლობისას, ზემოთ განხილული მეთოდებიდან, დღეისათვის ყველაზე ხშირად გამოიყენება ახალი ავსტრიული და ნორვეგიული მეთოდები, რომლებიც ზრდის სატრანსპორტო გვირაბების გაყვანის სამუშაოების უსაფრთხოებას და მნიშვნელოვნად ამცირებს მშენებლობის ხანგრძლივობას და გაწეულ დანახარჯებს.

### ლიტერატურა

1. Фролов Ю.С., Мордвинов Ю.А. Современные методы сооружения тоннелей горным способом в слабых скальных и полускальных грунтах // Метро и тоннели, №2, 2006.
2. Barton, N., Lien, R. and Lunde, J. "Engineering Classification Of Rock Masses For The Design Of Tunnel Support", 1974.
3. Grimstad, E. and Barton, N. "Updating Of The Q System For NATM", 1993.
4. Lunardi, P The Bologna to Florence high speed rail connection. Design and construction aspects of the underground works. Gallerie Grandi Opere in Soterraneo, no.54. Florence to Bologna at high speed, Tunnels and Tunnelling International, April 1999.

## UDC 624.191.2

### CONSTRUCTION OF TUNNELS WITH A LARGE CROSS-SECTION IN THE SOFT ROCKS

I. Gujabidze, Z. Lebanidze, A. Gocholeishvili, R. Mzhavanadze

Department of mining technologies, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is given the list of road and railway tunnels, that were constructed and rehabilitated in Georgia in the last years, also the brief description of applied methods. There is reviewed in detail "Old Austrian", "New Austrian" and "Norwegian" methods, as well as method "Adeco". There is noted, that at present mainly "New Austrian" and "Norwegian" methods are used for the construction of tunnels with a large cross - section in the soft rocks, that ensure safe implementation of tunneling works and substantially reduce the construction time and costs.

**Key words:** construction of tunnels with a large cross-section; road and railway tunnels; “Old Austrian”; “New Austrian” (NATM) and “Norwegian” (NTM) methods; method “Adeco”; ensure safe implementation of tunneling works; the construction time and costs.

УДК 624.191.2

## СТРОИТЕЛЬСТВО ТОННЕЛЕЙ С БОЛЬШИМ ПОПЕРЕЧНЫМ СЕЧЕНИЕМ В СЛАБЫХ ПОРОДАХ

**Гуджабидзе И.К., Лебанидзе З.Т., Гочолеишвили А.Т., Мжаванадзе Р.В.**

Департамент горных технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Приведен перечень построенных и реабилитированных в последние годы автодорожных и железнодорожных тоннелей в Грузии, также дано краткое описание применяемых методов строительства. Более подробно рассмотрены «староавстрийский», «новоавстрийский» и «норвежский» методы, а также метод «адеко», применяемые при строительстве тоннелей с большим поперечным сечением в слабых породах. В работе отмечено, что на сегодняшний день для сооружения тоннелей с большим поперечным сечением в слабых породах в основном применяются «новоавстрийский» и «норвежский» методы, которые увеличивают безопасность проведения проходческих работ и значительно сокращают сроки и расходы строительства.

**Ключевые слова:** строительство тоннелей с большим поперечным сечением; автодорожные и железнодорожные тоннели; «староавстрийский»; «новоавстрийский» и «норвежский» методы; метод «адеко»; безопасность проведения проходческих работ; сроки и расходы строительства.

*მიღებულია დასაბუჯდად 15.01.13*

შპს 627

### ჭიათურმანგანუმის საწარმოებში მომსახურე პერსონალის უსაფრთხოების დაცვის გზები და საშუალებები

**ნ. კიკნაძე, ნ. მექვაბიშვილი**

შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: n.kiknadze@alltours.ge

**რეზიუმე:** განხილულია ჭიათურმანგანუმის საწარმოებში მომსახურე პერსონალის უსაფრთხოების დაცვის გზები და საშუალებები, პროფესიული დაავადებების აღმოსაფხვრელად სამთო საწარმოებში უსაფრთხოების წესების დაცვის მეთოდები.

**საკვანძო სიტყვები:** ანთროპოგენური; სომატური; ემანაცია.

### 1. შესავალი

თანამედროვე პირობებში ეკოლოგიური პრობლემებისა და პროფესიული საქმიანობისას ადამიანის ორგანიზმზე მოქმედებს საწარმო გარემოს მრავალფეროვან ფაქტორთა კომპლექსი. ცნობილია, რომ ადამიანის შრომისუნარიანობა ძირითადად დამოკიდებულია მის ჯანმრთელობაზე, გარემო პირობებზე. ამავე დროს შრო-

მის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუშაობისა და დასვენების რეჟიმსაც.

შრომის პიგიენის ძირითადი ამოცანაა, მომსახურე პერსონალის პირობების გაუმჯობესების მიზნით, იმ მნიშვნელოვანი ღონისძიებების შემუშავება, რომლებიც წარმოების პირობებში მაქსიმალურად შეამცირებს პროფესიულ დაავადებებს. უნდა აღინიშნოს, რომ ჯანმრთელი ადამიანისათვის შრომა ფიზიკური და სულიერი მოთხოვნისაა. დადგენილია, რომ სამუშაო დღის განმავლობაში ადამიანის შრომისუნარიანობა ერთნაირი არ არის. როცა ადამიანი შედის მუშაობის რიტმში, მისი შრომის ნაყოფიერება თანდათან მატულობს და მაქსიმუმს აღწევს. მაქსიმალური შრომის ნაყოფიერების ხანგრძლივობა გრძელდება რამდენიმე საათს, რის შედეგადაც დადლა იწყება. მუშაობის პროცესში წარმოშობილი დადლა შეიძლება შემცირებულ იქნეს პერიოდული შესვენებით. არსებული გამოკვლევების თანახმად, მაღალი შრომის მწარმოებლობის შესანარჩუნებლად აუცილებელია მუშაობაში თანდათანობით ჩაბმა, მუშაობის რიტმულობა.

## 2. ძირითადი ნაწილი

მსოფლიოში ტექნოლოგიური და ანთროპოგენური ფაქტორების გავლენის გამო, ინტენსიურად მიმდინარეობს გარემოს რადიაციული დაზიანება. ამ და სხვა მავნე ფაქტორებითაა შექმნილი ის გარემოება, რომ მნიშვნელოვნად იმატა ონკოლოგიურმა დაავადებებმა.

რადიოაქტიური დასხივება ორგანიზმში იწვევს სისხლწარმოქმნელი ორგანოების ფუნქციის მოშლას, ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითებას. რადიოაქტიური ეფექტი შეიძლება იყოს სომატური და გენეტიკური. სომატური ეფექტი ვლინდება სხივური დაავადებების, სისხლის გათეთრების – ლეიკოზის, ავთვისებიანი წარმონაქმნის სახით. გენეტიკური ეფექტი კი ვლინდება შემდგომ თაობებში. რადიაციის ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებულია იმ ვითარებაზე, ადამიანი დასხივდა გარემოდან თუ რადიოაქტიურმა ნივთიერებამ ორგანიზმში შეაღწია ჩასუნთქული ჰაერის მეშვეობით. ზოგიერთი ნივთიერება გროვდება ადამიანის ორგანიზმში, რაც ზრდის რადიაციის დონეს და მისი გამოყვანა ორგანიზმიდან რთულია. ორგანიზმი სხვადასხვანაირად ითვისებს რადიოაქტიურ ქიმიურ ელემენტებს. მაგალითად, Ra 226

ელემენტს, კალციუმს, რადონს, ფოსფორს ითვისებს ადამიანის ძვლოვანი სისტემა, იოდს კი – ფარისებრი ჯირფლები. ეს უკანასკნელი შთანთქავს არარადიოაქტიურ იოდს სრულ გაჯერებამდე. განსაკუთრებით საშიშია Rn 222-ის მოქმედება სასუნთქ ორგანოებზე. მაღაროში მუშაობის დროს მნიშვნელოვანია მომსახურე პერსონალის მიერ ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენება, ასევე ვენტილაციის რეჟიმი. წყლებსა და ჰაერში ემანაციის შემცველობის შესწავლა. ყოველივე ამისათვის ჭიათურმანგანუმის საწარმოებში მოვახდინეთ: 1. ქიმიური და რადიოაქტიური ანალიზისათვის წყლის ნიმუშების აღება და ანალიზი. 2. ნაბურღიდან ქანების ნიმუშების აღება; 3. ბურღვის დროს მაღაროს ჰაერში მტერის ნაკადის რადიოაქტიურობის განსაზღვრა. უნდა აღინიშნოს, რომ ზედაპირის გაზრდის დროს მინერალში წარმოშობილი რადონის ნაწილი აღწევს კაპილარებსა და ფორებში, ჰაერთან და წყალთან კონტაქტისას, როდესაც ქანი შიშვლდება, არსებული საუკუნეობრივი წონასწორობის მდგომარეობა ირღვევა. მაღაროში სამთო სამუშაოების გაფართოებასთან ერთად Rn 222-ის რაოდენობა იზრდება.

წლების განმავლობაში ჭიათურმანგანუმის საბადოზე მუშაობდნენ საქ. გეოლოგიური სამმართველოს, გეოფიზიკის ინსტიტუტის და პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები. მათი მონაცემების თანახმად, საბადოში აქტიურობა არ აღემატება 7–8 გამას. გამონაკლისია ქვიშოვანი დანალექი ქანები, რომელთა აქტიურობა 20–25 გამას აღწევს. მაღაროს ცალკეულ წერტილებში საველე სამუშაოების შესრულებისას გეოფიზიკის ინსტიტუტის და ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლები ერთად ზომავდნენ ჰაერის ტემპერატურას, ტენიანობას, Ra 226-ის და Rn 222-ის შემცველობას. საწარმოებში სამუშაოების გადიდებასა და გაშიშვლებული ზედაპირის გაფართოებასთან ერთად ხდება რადონის დებიტის გაზრდა. ამავე დროს არ არის გამორიცხული ახლო მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება. დასხივებისადმი ყველაზე მგრძობიარეა უჯრედები, რომლებიც იმყოფება დაყოფის პროცესში.

ქრომოსომების დაზიანება და მათში ცვლილებების გამოწვევა ხდება დასხივების მეტად მცირე დოზის დროსაც კი. უმნიშვნელო ცვლი-



ლებებიც კი გამოუსწორებელია და, ზოგ შემთხვევაში, უჯრედის სიცოცხლესთან შეუთავსებელი. ჩასუნთქული დოზის გაანგარიშებისას მხედველობაშია მისაღები: ა) ორგანიზმში მოხვედრილი იზოტოპების რაოდენობა; ბ) მათი რაოდენობა; გ) დასხივებული ქსოვილის მოცულობა.

რისკის შესამცირებლად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შემდეგი პროფილაქტიკური ზომები:

1) ჭიათურმანგანუმის საწარმოებში უნდა ხდებოდეს მომსახურე პერსონალის რეგულარული სამედიცინო შემოწმება;

2) ავტომატიზაცია და რობოტების გამოყენება;

3) ტექნიკური პროცესის სრული ავტომატიზაცია;

4) ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებების გამოყენება;

5) საშიშროების გამაფრთხილებელი ნიშნები;

6) სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური და სისტემური დაკვირვება მომსახურე პერსონალზე;

7) მომსახურე პერსონალის რეგულარული და მუდმივი ზედამხედველობა, მწარმოებელი მოწყობილობების და სამუშაო ადგილების შემოწმება;

8) უზრუნველყოფა, რომ მუშები მოწყობილობების სპეციფიკურ ნაწილებს უსაფრთხოების პროცედურების შესაბამისად იყენებდნენ;

9) მოწყობილობების ყველა ნაწილის რეგულარული გასუფთავება და შეკეთება;

10) საკმარისი სივრცის უზრუნველყოფა მუშების იოლი გადაადგილებისათვის;

11) დასასვენებელი ადგილების მოწყობა;

12) სამკურნალო პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება.

ვინაიდან რადონი და მისი დაშლის ხანმოკლე პროდუქტები უმთავრესი ტოქსიკური რადიოაქტიური ელემენტებია, რომელთა მომატებული კონცენტრაცია ჭიათურმანგანუმის საწარმოებში მეტად საზიანოა მომუშავე პერსონალისათვის, საჭიროა წარმოების ატმოსფეროში სამუშაო პირობების შესაქმნელად მტვერსაწინააღმდეგო და რადონსაწინააღმდეგო ღონისძიებათა სისტემატური განხორციელება. მტვერსაწინააღმდეგო ღონისძიებები უნდა იქნეს განხორციელებული იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც რადონის კონცენტრაცია მოსალოდნელი არ არის.

ვინაიდან საწარმოებში მტვრის წარმოშობის მთავარი წყარო ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოებია, ამიტომ უნდა დაინერგოს დამუშავების ის სისტემები, რომლებიც მოითხოვს ნაკლებ ბურღვით სამუშაოებს. სამუშაო ისე უნდა წარიმართოს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ეფექტური ვენტილაცია, რისთვისაც საჭიროა მაღაროში შემოვიდეს სუფთა ჰაერის ისეთი რაოდენობა, რომელიც მტვრის კონცენტრაციას გააიშვიათებს.

### 3. დასკვნა

განხილულია ჭიათურმანგანუმის საწარმოებში მომსახურე პერსონალის უსაფრთხოების დაცვის გზები და მათი დაცვა საწარმოში არსებული სხვადასხვა მომწამვლელი ნივთიერებისაგან.

სამთო საწარმოებში უსაფრთხოების წესების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული დაავადებების აღმოსაფხვრელად.

ჩატარებული გამოკვლევების ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნა აუცილებელია საწარმოში ნორმალური სამუშაო პირობების შესაქმნელად.

### ლიტერატურა

1. ნ. მექვაბიშვილი და სხვები. მშენებლობა და გარემო. I და II ნაწილი. თბილისი: სტუ, 2006 წ.
2. დ. თევზაძე, ნ. მექვაბიშვილი, ნ. რაზმაძე. შრომის დაცვა. თბილისი: სტუ, 2006 წ.
3. ლ. ჩხეიძე და სხვები. ზოგადი და სამშენებლო ეკოლოგიის საფუძვლები. თბილისი: სტუ, 2005 წ.
4. ლ. ჩხეიძე, ნ. ჯვარელია. შრომის დაცვა. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2011 წ.
5. ე. მექმარიაშვილი. საინჟინრო-სამშენებლო ხელოვნების სპეციალური ზოგადი კურსი. თბილისი: საქართველოს სამხედრო-საინჟინრო აკადემია, 2005 წ.
6. ნ. მაჭავარიანი, ა. ნევეროვი, მ. ჯიქია. საგანგებო სიტუაციები. თბილისი: სტუ, 2008 წ.

---

**UDC 627****WAYS AND MEANS FOR DEFENCE OF THE SERVICE PERSONNELS SAFETY AT THE CHIATURMANGANES ENTERPRISES****N. Kiknadze, N. Mekvabishvili**

Department of management of labour safety and extraordinary situations, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is described ways and means for defence of service personnels safety at the Chiaturmanganes enterprises. There are given methods of protection the rules of the safety at the mining enterprises for the eradication of professional diseases

**Key words:** anthropogenic; somatic; emanation.

---

**УДК 627****ПУТИ И СРЕДСТВА ЗАЩИТЫ БЕЗОПАСНОСТИ ПЕРСОНАЛА, РАБОТАЮЩЕГО НА ПРЕДПРИЯТИЯХ “ЧИАТУРМАРГАНЦА”****Кикнадзе Н. Т. , Меквабишвили Н. З.**

Департамент управления чрезвычайными ситуациями и безопасности труда, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Рассмотрены пути защиты на горных производствах “Чиатурмарганца” обслуживающего персонала от воздействия различных отравляющих веществ.

В результате проведенного анализа на производстве созданы нормальные условия для обеспечения в чрезвычайной ситуации безопасности рабочих с целью предупреждения возможных профессиональных заболеваний.

**Ключевые слова:** антропогенный; соматический; эманация.

---

*მიღებულია დასაბუჯდად 17.01.13*



# ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის სექცია

შპს 577.15.1.158

რქმშავას ბარდაქმნა მეორეულ სპირტულ დუღილში

ს. კობალეიშვილი, მ. ძეკონსკაია

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: sofo\_s@yahoo.com

**რეზიუმე:** მეორეული სპირტული დუღილის პროცესში საფუერების საწარმოო შტამ Saccharomyces 39-ის მიერ შეითვისება და ნაწილობრივ გარდაიქმნება სადულარ არეში არსებული რქმშავა.  $1^{14}C$  რქმშავას ბიოტრანსფორმაციის პროდუქტები იდენტიფიცირებულია საფუარში, ღვინის ამინომჟავებსა და ორგანულ მჟავებში. შამპანიზაციის პროცესში რქმშავას ნახშირბადოვანი ჩონჩხი ნაწილობრივ ნახშირორჟანგამდე იჟანგება.

**საკვანძო სიტყვები:** საფუერები; რქმშავა; ამინომჟავები; ორგანული მჟავები.

## 1. შესავალი

მეორეული სპირტული დუღილის პროცესში საფუერების საწარმოო შტამ Saccharomyces 39-ის მიერ შეითვისება და ნაწილობრივ გარდაიქმნება სადულარ არეში არსებული რქმშავა.  $1^{14}C$  რქმშავას ბიოტრანსფორმაციის პროდუქტები იდენტიფიცირებულია საფუარში, ღვინის ამინომჟავებსა და ორგანულ მჟავებში. შამპანიზაციის პროცესში რქმშავას ნახშირბადოვანი ჩონჩხი ნაწილობრივ ნახშირორჟანგამდე იჟანგება.

## 2. ძირითადი ნაწილი

სპირტული დუღილისას ყოველთვის წარმოიქმნება რქმშავა. დადუღებადი შაქრის დაახლოებით 0.5% იხარჯება რქმშავას წარმოქმნაზე. რქმშავა არის ნორმალური სპირტული დუღილის მეორეული პროდუქტი და მიიღება 0.7 – 1.0მლ რაოდენობით. მისი წარმოშობის წყარო შაქარი და ვაშლის მჟავაა [1, 2]. რქმშავას წარმოქმნაზე გავლენას ახდენს დუღილის პირობები და გამოყენებული საფუერის შტამებიც [3]. ამავდროს ნახევრები, რომ რქმშავას ნახშირბადო-

ვანი ჩონჩხი მონაწილეობს საფუერის ნივთიერებათა ბიოსინთეზში, ყურძნის წველის სპირტული დუღილის დროს [3].

წარმოდგენილი სამუშაოს მიზანს შეადგენდა საფუერების მიერ რქმშავას გარდაქმნის შესაძლებლობათა გამოვლენა მეორეული სპირტული დუღილის პირობებში.

მეორეული სპირტული დუღილისათვის გამოყენებული იყო საფუერის საწარმოო შტამ Saccharomyces Vini 39-ის 48-საათიანი კულტურა, რომელიც კოლონიებს იძლევა და წარმოქმნის მარცვლოვან ნაღვეს.  $1^{14}C$  რქმშავა სატირაჟე ნაზავში შეიტანებოდა 23.1მგ-ის რადიოაქტიურობით 1 ლ ღვინომასალაზე. დუღილი მიმდინარეობდა  $14^{\circ}C - 16^{\circ}C$ -ის პირობებში. საფუერისა და ღვინის კომპონენტების ანალიზი ტარდებოდა ქრომატოგრაფიული, ავტორადიოგრაფიული და ქიმიური მეთოდების გამოყენებით [2,4]. იდენტიფიცირებული ნაერთების რადიოაქტიურობა განისაზღვრა LKB ტიპის სცინტილაციურ Rackbeta სპექტროფოტომეტრზე.

ჩვენ მიერ მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ არეში შეტანილი  $1^{14}C$  რქმშავას რადიოაქტიურობის 1/3 საფუერების მიერ შეითვისება და გარდაიქმნება მეორეულ სპირტულ დუღილში. დუღილის ბოლოს საფუერის ბიომასაში რჩება შეთვისებული და გარდაქმნილი რქმშავას რადიოაქტიურობის 2.5%, ხოლო რადიოაქტიური ლაქტატის 8.5 %  $CO_2$ -ის სახით გამოიყოფა. რქმშავას ტრანსპორტის მაქსიმალური სიჩქარე დამოკიდებულია pH-ის რაოდენობაზე. არადისოცირებული რქმშავა უჯრედში აღწევს მარტივი დიფუზიის გზით, პლაზმური მემბრანის საშუალებით.

ბიომასაში ჩართული რქმშავა აქტიურად ერთვება ამინომჟავათა ცვლაში და მონაწილეობს საფუერის ცილისა და თავისუფალი ამინომჟავების

სინთეზში (ცხრილი 1).  $^{14}\text{C}$  რქმეშავას შეთვისებ-  
სა და გარდაქმნის შედეგად საფუვრის ცილების  
ჯამურ ფრაქციაში რადიოაქტიური აღმონდა 7

ამინომეშავა, მათ შორის ძირითადი – სერინი, ას-  
პარაგინის მეშავა და ალანინი. თავისუფალ ამი-  
ნომეშავაში კი – ალანინი და ვალინი.

ცხრილი 1

**რადიოაქტიურობის განაწილება საფუვრის ამინომეშავებში  $^{14}\text{C}$  რქმეშავას  
ბიოტრანსფორმაციის დროს**

იდენტიფიცირებულ ამინომეშავათა რადიოაქტიურობა ფრაქციის საერთო აქტიურობიდან, %			
ცილის ამინომეშავები 87.3 %		თავისუფალი ამინომეშავები 12.7%	
სერინი	35.3	ალანინი	45.2
ასპარაგინის მეშავა	31.0	ვალინი	36.6
ალანინი	18.2	მეთიონინი	7.3
გლუტამინის მეშავა	4.3	პროლინი	3.8
ვალინი	2.7	X	2.6
ლეიცინი	1.1		

მეორეული სპირტული დუდილის პროცესში  
საფუვრების მიერ შეთვისებული რქმეშავას  
გარდაქმნის პროდუქტების ნაწილი ექსტრაქტულ

ნაერთებში გეხვდება. შამპანიზაციის ბოლოს  
დვინოში იდენტიფიცირებულია ძირითადი ორგა-  
ნული მეშავები და ამინომეშავები (ცხრილი 2).

ცხრილი 2

**რადიოაქტიურობის განაწილება დვინის ამინომეშავებსა და ორგანულ მეშავებში  $^{14}\text{C}$   
რქმეშავას ბიოტრანსფორმაციის დროს**

იდენტიფიცირებული ნაერთების რადიოაქტიურობა ფრაქციის საერთო აქტიურობიდან, %			
ორგანული მეშავები 89.5 %		ამინომეშავები 10.5 %	
ვაშლის მეშავა	70.1	ვალინი	76.8
გლიკოლის მეშავა	14.2	ალანინი	23.2
ფუმარის მეშავა	7.8		
ქარვის მეშავა	6.3		
მეაუნმეშავა	0.9		
X	0.7		

მათ ჯამურ ფრაქციებს შორის რადიოაქტი-  
ურობა არათანაბრად ნაწილდება: ამინომეშავები-  
დან იდენტიფიცირებულია მხოლოდ ვალინი და

ალანინი. ორგანული მეშავების ჯამური აქტი-  
ურობის ძირითადი ნაწილი ვაშლისა და გლი-  
კოლის მეშავებზე მოდის.

**3. დასკვნა**

რძემჟავას კარბოქსილური ნახშირბადი მონაწილეობს აგრეთვე აღდგენილების წარმოქმნაში.  $^{14}\text{C}$  რძემჟავას გარდაქმნის შედეგად რადიოაქტიური აღმოჩნდა ეთილის სპირტიც. თუ ამ გარდაქმნის რაოდენობრივ მხარეს წარმოვიდგენთ, მიახლოებით გაანგარიშებით მივიღებთ, რომ მეორეული სპირტული დუღილის პროცესში 290.8 მგ საფუარი ღვინოში არსებული და შეტანილი რადიოაქტიური ლაქტატის ჯამიდან დაახლოებით 130 მგ რძემჟავას გარდაქმნის. საფუარისა და ღვინოში იდენტიფიცირებული ნაერთების საბოლოო ანალიზი გვიჩვენებს, რომ ინტენსიურ გარდაქმნებს რძემჟავა შაქრის ძირითადი ნაწილის დაშლის შემდეგ განიცდის. ამ გარდაქმნებ-

ში მონაწილეობს რძემჟავას, როგორც ტრიოზას ყველა ნახშირბადი დეკარბოქსილირებით მიღებულ ნახშირორჟანგთან ერთად.

**ლიტერატურა**

1. Дурмишидзе С. В. Биохимия. Тбилиси: Ганат-леба, 1977 г., с. 308-319.
2. Рылкин С.С. Микробиология. Москва: Просвещение, 1990 г., с. 209-215.
3. Мацек К. Хроматография на бумаге. Москва: Мир, 1990 г., с. 123-132.
4. Файель Ф. Капельный анализ органических веществ. Москва: Мир, 1989 г. 119-140.

UDC 577.15.1.158

**CONVERSION OF LACTIC ACID DURING SECONDARY ALCOHOLIC FERMENTATION****S. Kopaleishvili, M. Dzekonskaia**

Department of chemical and biological technologies, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** During secondary alcoholic fermentation *Saccharomyces vini* - 39 yeast streams assimilate and convert  $^{14}\text{C}$  - lactic acid. Carbon atoms of lactate are mainly involved in the synthesis of protein amino acids of yeasts and wine organic acids.

Conversion of lactic acid is accompanied by release of carbon dioxide.

**Key words:** yeast; lactic acid; amino acids; organic acids.

УДК 577.15.1.158

**ПРЕОБРАЗОВАНИЕ МОЛОЧНОЙ КИСЛОТЫ ПРИ ВТОРИЧНОМ СПИРТОВОМ БРОЖЕНИИ****Копалеишвили С. Г., Дзеконская М. Л.**

Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** В процессе вторичного спиртового брожения дрожжи *Saccharomyces vini* - 39 усваивают и преобразовывают  $^{14}\text{C}$  - молочную кислоту. Углеводородные атомы лактата, в основном, включаются в синтезе аминокислот белков дрожжей и органических кислот вина.

Преобразование молочной кислоты сопровождается выделением углекислого газа.

**Ключевые слова:** дрожжи; молочная кислота; аминокислоты; органические кислоты.

*მიღებულია დასაბუჯდად 27.12.12*

**შპს 577.151./158**

**ლიმონმჟავას ბარდაქმნა საფუვერების მიერ მიორეულ სპირტულ დუღილში**

**ს. კობაღეიშვილი\*, მ. ძეკონსკაია**

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: sofo\_s@yahoo.com

**რეზიუმე:** მეორეული სპირტული დუღილის პროცესში საფუვერების საწარმოო შტამი Saccharomyces vini – 39 აქტიურად ითვისებს ეგზოგენურ ციტრატს. საფუვერების მიერ შეთვისებული ლიმონმჟავას კარბოქსილური ნახშირბადის უპირატესი ნაწილი ნახშირორჟანგამდე იჟანგება. დუღილის ბოლოს ღვინოში გროვდება გარდაქმნის ძირითადი პროდუქტები: ქარვისა და გლიოქსალის მჟავები, აგრეთვე ორი ამინომჟავა – გლუტამინი და თრეონინი.

**საკვანძო სიტყვები:** საფუარი; ლიმონმჟავა; ორგანული მჟავები; ამინომჟავები.

**1. შესავალი**

მეორეული სპირტული დუღილის პროცესში საფუვერების საწარმოო შტამი Saccharomyces vini – 39 აქტიურად ითვისებს ეგზოგენურ ციტრატს. საფუვერების მიერ შეთვისებული ლიმონმჟავას

კარბოქსილური ნახშირბადის უპირატესი ნაწილი ნახშირორჟანგამდე იჟანგება. დუღილის ბოლოს ღვინოში გროვდება გარდაქმნის ძირითადი პროდუქტები: ქარვისა და გლიოქსალის მჟავები, აგრეთვე ორი ამინომჟავა – გლუტამინი და თრეონინი.

**2. ძირითადი ნაწილი**

შამპანურის ღვინომასალის მჟავიანობის შემცირებისას რეკომენდებულია ლიმონმჟავას შეტანა 1 გრამამდე ლიტრში. ამავე დროს ნაჩვენებია, რომ ღვინის საფუვერები კარგავს ლიმონმჟავას, ძმარმჟავას, პიროყურძენმჟავას, ქარვის მჟავას და ვაშლის მჟავასთან ერთად ერთ ორგანულ მჟავას სხვა მჟავად გარდაქმნის [6]. ამასთან, ციტრატი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პასტერის ეფექტის, ე. ი. მადუღარი აქტიურობის სუნთქვით დათრგუნვის გამოვლინებაში, რადგან ლიმონმჟავა ფოსფორფურქტოკინაზის ალოსტერიული ინჰიბიტორია [1, 4, 5].

ცხრილი 1

**რადიოაქტიურობის განაწილება საფუვერის ამინომჟავებში <sup>14</sup>C ლიმონმჟავას გარდაქმნისას**

იდენტიფიცირებულ ამინომჟავათა რადიოაქტიურობა ფრაქციის საერთო აქტიურობიდან, %			
ცილის ამინომჟავები 89.7 %		თავისუფალი ამინომჟავები 10.3 %	
ვალინი	84.1	ვალინი	90.7
გლუტამინის მჟავა	7.8	გლუტამინის მჟავა	6.1
პროლინი	5.7	ასპარაგინის მჟავა	3.1
გლიცინი	2.4	სერინი	0.1

სრულიად განსხვავებული სურათი მიიღება ღვინის კომპონენტების ანალიზით. <sup>14</sup>C ლიმონმჟავას გარდაქმნის პროდუქტების უპირატესი

ნაწილი თითქმის თანაბრად ნაწილდება ღვინის ორგანულ მჟავებსა და ამინომჟავებს შორის (ცხრილი 2).

**რადიოაქტიურობის განაწილება ღვინის ამინომჟავებსა და ორგანულ მჟავებში  $^{14}\text{C}$  ლიმონმჟავას გარდაქმნისას**

იდენტიფიცირებული ნაერთების რადიოაქტიურობა ფრაქციის საერთო აქტიურობიდან, %			
ამინომჟავები 43.2 %		ორგანული მჟავები 56.8 %	
გლუტამინის მჟავა	41.2	ქარვის მჟავა	39.7
ორნიტინი	16.7	გლიოქსალატის მჟავა	39.5
ლეიცინი	10.8	ფუმარის მჟავა	13.9
ასპარაგინის მჟავა	9.8	გლიკოლის მჟავა	3.6
ჰისტიდინი	7.7	მჟაუნმჟავა	0.5
ალანინი	5.2	X	2.5
ვალინი	3.6		
მეთიონინი	3.1		
სერინი	1.9		

მაღულარ აგენტად გამოყენებული იყო საფუერის საწარმოო შტამი *Saccharomyces vini* – 39.

$^{14}\text{C}$  ლიმონმჟავა სატირაჟე ნაზავში შეტანილი იყო 23.1 მბკ რადიოაქტიურობის 1 ლიტრ ღვინო-მასალაზე. დუღილი მიმდინარეობდა პერმანენტულად დახურულ 0.8 ლ ბოთლებში  $14^0 - 16^0\text{C}$  ტემპერატურის პირობებში. საფუერისა და ღვინის კომპონენტების ანალიზი ტარდებოდა ძირითადი დუღილის დამთავრებისთანავე ქრომატოგრაფიული, ავტორადიოგრაფიული და ქიმიური მეთოდების გამოყენებით [4,5]. ღვინის ცალკეულ ამინომჟავათა იდენტიფიცირება არარადიოაქტიურ საკონტროლო ნიმუშებში ხდებოდა მაღალი წნევის თხევადი ქრომატოგრაფიის მეთოდის გამოყენებით. იდენტიფიცირებული ნაერთების რადიოაქტიურობა განისაზღვრებოდა LKB - ის ტიპის სცინტილაციურ Rackbeta სპექტროფოტომეტრზე.

ექსპერიმენტული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მეორეული სპირტული დუღილის პირობებში ლიმონმჟავა დაჟანგვის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. რადიოაქტიური ციტრატის ნახევარზე მეტი  $^{14}\text{C}$  ნახშირორჟანგის სახით გამოიყოფა. დუღილის ბოლოს საფუარში შეთვისებული და გარდაქმნილი  $^{14}\text{C}$  ლიმონმჟავას

მხოლოდ 2.0 – 2.5 % გამოიყოფა. ციტრატის კარბოქსილური ნახშირბადის მონაწილეობით წარმოქმნილი საფუერის ამინომჟავური შედეგნილობა მეტად შეზღუდულია და ჯამური ფრაქციის მთელი რადიოაქტიურობის ძირითადი ნაწილი მხოლოდ ვალინზე მოდის (ცხრილი 1).

დუღილის დამთავრების შემდეგ ღვინოში აღმოჩნდა რადიოაქტიური ციტრატთან სინთეზირებული ცხრა ამინომჟავა, რომელთა ნახევარზე მეტი გლუტამინსა და თრეონინზე მოდის. ღვინის ორგანულ მჟავებში ქარვის მჟავას შემცველობა მაღალია. როგორც ჩანს, ჩვენს პირობებში სუქცინატის გაძლიერებულ სინთეზს იზოციტრატლიაზას აქტიურობის გაზრდა განაპირობებს, რაც შეინიშნება ეთანოლისა და აცეტატის თანაობისას მეორეულ სპირტულ დუღილში [2].

### 3. დასკვნა

ღვინის შამპანიზაციის პირობებში ეგზოგენური ციტრატის ნახშირბადოვანი ჩონჩხი რთულ ცვლილებებს განიცდის. საფუერის ციტოპლაზმური და მიტოქონდრიული ფერმენტული სისტემების ფუნქციონირების შედეგად არეში გროვდება როგორც დისიმილაციის, ასევე ასიმილაციის პროდუქტები, რომელთა შემდგომი გარ-

დაქმნა ცქრიალა ღვინის ფორმირების მომდევნო ტექნოლოგიურ სტადიებზე მიმდინარეობს.

### ლიტერატურა

1. Киртадзе Э.Г. Сообщения АН ГССР // Ганатлеба, № 3, Тбилиси, 1971 г.
2. Мацек К. Хроматография на бумаге. М.: Мир, 1990 г., с., 123-132.
3. Файель Ф. Кинетический анализ органических веществ, Москва: Мир, 1989 г., с. 119-140.
4. Безбородов А.М. Биохимические основы макробиологического синтеза. Москва: Просвещение, 1989 г., с. 101-110.
5. Глазугова Л.Н., Филогенова Т.В. Цикл трикарбонных кислот и механизмы его регуляции, Москва: Просвещение, 1995 г., с. 54-68.

UDC 577.151./158

## CONVERSION OF CITRIC ACID BY YEASTS DURING SECONDARY ALCOHOLIC FERMENTATION

S. Kopaleishvili, M. Dzekonskaia

Department of chemical and biological technologies, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** During secondary alcoholic fermentation *Saccharomyces vini* – 39 yeasts intensively assimilate citric acid. The great part of assimilated  $L1^{14}C$  - citrate is isolated as  $^{14}C$   $CO_2$ . owing to the conversion of exogenous citric acid by the end of fermentation there are mainly found out succinwte, glyoxylate, glutaminic acid and threonine in the medium.

**Key words:** yeast; citric acid; organic acids; amino acids.

УДК 577.151./158

## ПРЕОБРАЗОВАНИЕ ЛИМОННОЙ КИСЛОТЫ ДРОЖЖАМИ ПРИ ВТОРИЧНОМ СПИРТОВОМ БРОЖЕНИИ

Копалеишвили С.Г., Дзеконская М.Л

Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** В процессе вторичного спиртового брожения дрожжами *Saccharomyces vini* – 39 интенсивно усваивается лимонная кислота. Большая часть усвоенного  $L1^{14}C$  - цитрата поглощается в виде  $^{14}C$   $CO_2$ . За счёт превращения экзогенной лимонной кислоты к концу брожения в среде обнаруживаются главным образом сукцинат, глиоксилат, глютаминовая кислота и треонин.

**Ключевые слова:** дрожжи; лимонная кислота; органические кислоты; аминокислоты.

მიღებულია დასაბუჯდად 27.12.12



УДК 621.791.755

## ВОЗМОЖНОСТИ ИНТЕНСИФИКАЦИИ ОХЛАЖДЕНИЯ СОПЛА ПЛАЗМАТРОНА

З. В. Сабашвили\*, Д. Д. Тавхелидзе, З. Т. Мchedlishvili

Департамент металлургии, материаловедения и обработки металлов, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

E-mail: z\_sabashvili@gtu.ge

**Резюме:** Интенсивное развитие и внедрение плазменных технологий в разных отраслях промышленности требует проведения научных исследований для увеличения ресурса работы плазматронов. В предлагаемой работе рассмотрена и теоретически обоснована возможность применения дополнительного мероприятия, для интенсификации охлаждения сопла плазматрона. В частности, для интенсификации теплообмена между охлаждаемой жидкостью и наружной стенкой сопла предлагается ее поверхность сделать шероховатой, с целью создания специальных турбулизаторов в пограничном слое. Помимо этого, целесообразно, дополнительно к основному охлаждению, использовать пленочное охлаждение с внутренней стороны сопла.

**Ключевые слова:** плазматрон; сопло; турбулизация; ламинарный пограничный слой; шероховатость; пленочное охлаждение; число Рейнольдса; конвективный тепловой поток.

## 1. ВВЕДЕНИЕ

Использование плазменных технологий в разных отраслях промышленности растет с каждым днем. Это связано с теплофизическими свойствами плазменной дуги. Помимо ряда положительных свойств, существует и ряд недостатков, одним из которых является недостаточный ресурс работы плазменных генераторов плазматронов. В плазматронах большой тепловой нагрузке подвергаются катод и сопло, которые, как правило, охлаждаются водой. Например, в плазматронах прямого действия ресурс работы сопла составляет около трех часов, а в плазматронах косвенного действия еще меньше.

## 2. ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

В плазматронах для охлаждения применяется проточное наружное охлаждение сопла. Известно, что интенсивность теплообмена между стенкой сопла и водой зависит от характера движения в пограничном слое. При турбулентном пограничном слое теплота

переносится мощным механизмом - турбулентным обменом. Однако теплоперенос ограничивается образованием ламинарного подслоя на стенке сопла. При этом, с усилением турбулентности, например, при увеличении скорости потока, ламинарный подслоя становится тоньше, его термическое сопротивление уменьшается и теплообмен резко усиливается. Однако чрезмерное увеличение скорости потока ограничено, поскольку при этом увеличивается гидравлическое сопротивление охлаждающего тракта.

Для интенсификации теплообмена целесообразно создать искусственную турбулизацию потока в охлаждающем тракте путем создания специальных турбулизаторов в пограничном слое. Для этого необходимо поверхность наружной стенки сопла сделать шероховатой, для чего на стенке надо создать чередующиеся невысокие выступы различной формы. При обтекании таких выступов возникают местные отрывные течения с образованием местных вихревых зон. При этом пограничный слой сильно турбулизируется, в нем происходит разрушение ламинарного подслоя, снижается термическое сопротивление пограничного слоя и интенсифицируется теплообмен. Интенсификация теплообмена определяется особенностями течения вблизи шероховатой поверхности, которые зависят от относительного шага между выступами  $s/h$ , где  $s$  - расстояние между выступами,  $h$  - их высота. Известно, что при малом значении  $s/h$  в промежутке между выступами образуется одновихревое движение (рис. 1).




Рис. 1. Схематическая картина обтекания потоком шероховатой поверхности

При больших значениях  $S/h$  образуется сложное движение с двумя вихревыми зонами (рис. 2). Вихри располагаются вблизи граней выступов и затрагивают только часть течения, а в середине находится область турбулизированного потока, где вновь формируется разрушенный перед этим ламинарный подслой. При чрезмерном увеличении  $S/h$  интенсивность теплообмена падает, что объясняется тем, что вся поверхность обтекается невозмущенным потоком. Оптимальным значением относительного шага между бугорками можно считать  $S/h=12-14$ . При рационально выбранной шероховатости интенсивность теплообмена можно увеличить в 2 раза.




Рис. 2. Схематическая картина обтекания потоком шероховатой поверхности

Для максимального увеличения ресурса работы сопла, помимо того, что следует сделать поверхность наружной стенки сопла шероховатой, нами также предлагается, дополнительно к основному охлаждению, использовать пленочное охлаждение с внутренней стороны сопла (рис. 3).




Рис. 3. 1 – Сопло. 2 – Катод. 3- Отверстия для подачи воды в сопло. 4 - Плазменная дуга

Надо отметить, что разрушение в основном происходит в канале сопла, где стабилизируется дуга. Интерес представляет расчет тепловых потоков при

взаимодействии плазменной дуги с водой и длины участка, вдоль которого вода нагревается и испаряется.

При впрыске жидкости на внутреннюю поверхность стенки сопла образуется движущаяся по ней пленка жидкости (воды). В начале участка на расстоянии  $L_{ж}$  вода в результате теплообменных процессов постепенно подогрывается и испаряется. Теплообменные процессы между плазменной дугой и водяной пленкой происходят путем конвективного и лучистого теплообмена, а также диффузией элементарных частиц. Ускорению процесса испарения также способствует частичное разбрызгивание воды, возникающее вследствие гидродинамической неустойчивости течения водяной пленки по стенке сопла и ее взаимодействия с газовым потоком, обтекающим плазменную дугу. Завеса на лучистый поток не оказывает существенного влияния, поскольку на участке испарения завеса имеет малую толщину и ее можно считать прозрачной, не ослабляя лучистый поток. На следующем участке лучистый поток слабеет, т.к. продуктами испарения являются недостаточно прозрачные многоатомные газы.

Наибольшее воздействие на завесу оказывает конвективный тепловой поток, действующий на внутреннюю стенку сопла, при этом на участке испарения жидкой пленки тепловой поток практически отсутствует. Это можно объяснить тем, что температура жидкости не превышает температуру кипения. На следующем участке конвективный тепловой поток определяется температурой и составом газообразных продуктов возле стенки сопла.

Длина участка испарения слоя воды определяется с помощью баланса теплоты. Количество тепла, передваемого при конвективной теплоотдаче, расходуется на подогрев водяной пленки до температуры кипения, испарения и диссоциации.

$$L_{ж} = \eta G_B / \pi D [c_B(T_K - T_0) / \alpha_K(T_{Г0} - T_{СТ}) + Q_B / \alpha_K(T_{Г0} - T_0)]. \quad (1)$$

Здесь  $\eta$  - коэффициент, учитывающий частичное разбрызгивание слоя на капли;

$G_B$  - расход воды;  $c_B$  - теплоемкость воды при средней температуре ( $T_{CP} = 0,5 \times (T_K + T_0)$ );

$T_0, T_K$  - начальная температура и температура кипения воды;

$T_{Г0}$  - температура газа в пристеночном слое;

$T_{СТ}$  - температура стенки при отсутствии завесы.

$\alpha_K$  - коэффициент конвективной теплоотдачи, который без учета завесы ( $q_{k0}$ ) вычисляется выражением

$$\alpha_K = q_{k0} / (T_{Г0} - T_{СТ}). \quad (2)$$

Кoeffიციენტი  $\eta$  დამოკიდებულია გიდროდინამიკის თვისებებისა და რეინოლდსის რიცხვისა:

$$Re = \rho_B V_B \delta_B / \mu_B, \quad (3)$$


სადა  $\rho_B$  და  $\mu_B$  – სიმკვრივე და სიბლანდობა წყლის ფენაში;

$V_B$  და  $\delta_B$  – საშუალო სიჩქარე წყლის მოძრაობისა და ფენის სისქი.

ყველაფერს გათვალისწინებულ შემთხვევაში, მივიღებთ

$$Re = G_B / \pi D V_B. \quad (4)$$

რეინოლდსის რიცხვის მატებასთან ერთად სტაბილურობა სითხის ფენის, რადგან ზრდის ტურბულენტური შეთხრის ხარისხი. რის. 4-ში წარმოდგენილია კოეფიციენტის დამოკიდებულების გრაფიკი, რომელიც ითვალისწინებს ნივთიერების წვეთების დაშლის რაოდენობის ცვლილებას რეინოლდსის რიცხვის მიხედვით.



რის. 4. გრაფიკი კოეფიციენტის დამოკიდებულების შესახებ ნივთიერების წვეთების დაშლის რაოდენობის ცვლილების მიხედვით რეინოლდსის რიცხვის მიხედვით

რისკების მიზნების მისაღწევად უნდა გამოვიყენოთ შემდეგი რიგობა:

1. განსაზღვრავთ კონვექციური სითხის მიერ ნივთიერების დაშლის რაოდენობის (q<sub>კ0</sub>).

2. მიხედვით გეომეტრიკული მონაცემების კონკრეტული ნივთიერების, უნდა დავაინტერესდეთ დადგინებული სიგრძის ნივთიერების დაშლის რაოდენობით.

3. გრაფიკის დამოკიდებულების კოეფიციენტის, ითვალისწინებთ ნივთიერების დაშლის რაოდენობის ცვლილებას რეინოლდსის რიცხვის მიხედვით (რის. 4).

4. განსაზღვრავთ წყლის დანახავს (G<sub>B</sub>).

### 3. ЗАКЛЮЧЕНИЕ

მიხედვით ზემოთაღებული შედეგებისა და შედეგების, რომლებიც მიზნების მიზნების მისაღწევად გამოვიყენეთ რეინოლდსის რიცხვის მიხედვით:

1. მიზნების მისაღწევად უნდა გამოვიყენოთ შემდეგი რიგობა: კონვექციური სითხის მიერ ნივთიერების დაშლის რაოდენობის (q<sub>კ0</sub>) და ნივთიერების დაშლის რაოდენობის ცვლილების მიხედვით რეინოლდსის რიცხვის მიხედვით.

2. მიხედვით ზემოთაღებული შედეგებისა და შედეგების, რომლებიც მიზნების მიზნების მისაღწევად გამოვიყენეთ რეინოლდსის რიცხვის მიხედვით:

### ЛИТЕРАТУРА

1. Васильев А. П., Кудрявцев В. М. и др. Основы теории расчета жидкостных ракетных двигателей. М.: Высшая школа, 1983 г.
2. Иевлев В. П. Турбулентное движение высокотемпературных сплошных сред. М., 1975 г.
3. Тепловые характеристики плазменной дуги водяного пара // Сборник докладов IV Республиканской научно-технической конференции "Развитие процессов и технологии сварки в народном хозяйстве Грузии". Батуми, 1992 г.

შპს 621.791.755

## პლაზმატრონის საქმენის ბაზისების ინტენსიფიკაციის შესაძლებლობები

**ზ. სებასტიანი, დ. თაყაიშვილი, ზ. მჭედლიძე**

მეტალურგიის, მასალათმცოდნეობის და ლითონების დამუშავების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

**რეზიუმე:** პლაზმური ტექნოლოგიების ინტენსიური განვითარება და დანერგვა მრეწველობის სხვადასხვა დარგში მოითხოვს, პლაზმატრონის მუშაობის რესურსის გაზრდის მეთოდების შემუშავების მიზნით, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებას. განხილულია და თეორიულად დასაბუთებულია პლაზმატრონის საქმენის ბაზისების ინტენსიფიკაციისათვის დამატებითი ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობები. კერძოდ, მაცხებელ სითხესა და საქმენის გარე კედელს შორის თბოცვლის პროცესის ინტენსიფიკაციისათვის შემოთავაზებულია საქმენის ხორკლიანი ზედაპირის დამზადება, რაც სასარგებლო შერევა უზრუნველყოფს სპეციალური ტურბულიზატორების

შექმნას. ასევე, მიზანშეწონილია, ძირითად გაცივებასთან ერთად, დამატებით გამოვიყენოთ საქმუნის შიგა კედლის აფსკური გაცივება.

**საკვანძო სიტყვები:** პლაზმატრონი; საქმენი; ტურბულიზაცია; ლამინარული სასაზღვრო შრე; ხორკლიანობა; აფსკური გაცივება; რეინოლდსის რიცხვი; კონვექციური თბური ნაკადი.

**UDC 621.791.755**

## **THE POSSIBILITIES OF PLASMATRON NOZZLE COOLING INTENSIFICATION**

**Z. Sabashvili, D. Tavkheldize, Z. Mchedlishvili**

Department of metallurgy, material science and metal working, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** Intensive development and introduction of plasmatic technologies in different branches of industry needs scientific investigations for the development of the methods to increase plasmatron operation resource. The given work studies and theoretically substantiates the possibility of using additional measures for intensification of plasmatron nozzle cooling. In particular, for intensification of heat exchange between cooling liquid and outer wall of the nozzle it is proposed to make its surface rough, for creation of special turbulizers in interface. Besides, it is advisable to use in addition to the principal cooling the filmy cooling from the internal side of nozzle.

**Key words:** plasmatron; nozzle; turbulization; laminar interface; roughness; filmy cooling; Reynolds number; convective heat flux.

*მიღებულია დასაბუჯდად 31.01.13*

**УДК 541.1-16; 666. 293**

## **ПРИРОДА ВЗАИМОДЕЙСТВИЯ БЕЗБОРНОЙ, БЕСФТОРИСТОЙ ЭМАЛИ С ПОВЕРХНОСТЬЮ СТАЛИ**

**И.Г. Зедгенидзе, А.В. Саруханишвили, М.Б. Капанадзе\*, М.Дж. Мшвиладзе**

Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

E-mail: m.kapanadze@gtu.ge

**Резюме:** Проведенное исследование позволило установить идентичность явлений, протекающих в процессе сцепления безборных, бесфтористых эмалей и стали, и аналогичных результатов, полученных в теории и практике эмалирования. Кроме того, оно показало прямую зависимость интенсивности этих явлений от состава эмалей и ингредиентов, входящих в исходную

композицию, в частности от диоксида титана и хлорида натрия, а также высказать предположение о том, что  $TiO_2$  улучшает степень сцепления в условиях трансляции валентных связей и активации кислородных ионов, вызываемых хлоридом натрия.

**Ключевые слова:** эмаль; сталь; грунт; композит; хлорид натрия; стеклоэмаль; сцепление; диоксид титана.

### 1. ВВЕДЕНИЕ

В теории и практике эмалирования стальных изделий используются эмали, выполняющие роль буфера между стеклом и поверхностью стекла (грунт) и характеризующиеся вполне определенным набором оксидов. В состав грунта практически всегда входят  $V_2O_5$  и фториды, вводимые в исходную композицию посредством буры, борной кислоты, природных боросодержащих пород, простых и сложных фторидов.

Необходимость наличия  $V_2O_5$  и фторидов объясняется в основном их способностью снижать температуру плавления и склонность к кристаллизации, а также улучшать смачиваемость и растекаемость расплавов по поверхности стали, что, помимо иных положительных свойств, приобретаемых грунтом, способствует улучшению сцепления стекла с поверхностью стали. Однако введение в состав грунта  $V_2O_5$  и фторидов имеет свои отрицательные стороны. Наиболее существенными из них являются растущий дефицит боросодержащего сырья и фторидов и их токсичность, а также пролонгированная во времени бора и воздействующая на окружающую среду фторидов при приготовлении исходных композиций.

Анализ доступных нам источников информации, например [1-3], показал, что в создании отдельно безборных и бесфтористых эмалей достигнуты определенные успехи, тогда как практически отсутствует информация, касающаяся эмалей, не содержащих ни  $V_2O_5$ , ни фторидов.

### 2. ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Нами были получены безборные, бесфтористые грунты путем применения в качестве основного сырья материалов техногенного происхождения – отходов горнообогатительной и стекольной промышленности вместе с другими ингредиентами исходной композиции. Они полностью соответствовали требованиям, предъявляемым к грунтовым покрытиям по стали. Однако невыясненным оставался вопрос о природе повышения сцепления грунта с поверхностью стали в результате ввода в исходную композицию хлорида натрия и диоксида титана.

Результаты проведенного систематического исследования нескольких десятков составов представлены в настоящей работе на примере трех из них (см. табл.).

Индекс грунта	Состав											
	SiO <sub>2</sub>	TiO <sub>2</sub>	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	MnO	CaO	MgO+K <sub>2</sub> O	Li <sub>2</sub> O	CoO	NiO	Σ	Ce
GG-26	54,9	0,1	7,9	1,3	6,9	8,2	17,9	-	0,5	1,5	100,00	-
GGT-55	52,4	10,0	2,8	0,7	2,9	6,6	19,9	2,0	0,5	1,5	100,00	-
GGTS-75	51,7	9,8	2,7	0,7	2,8	6,4	21,2	2,0	0,5	1,5	100,00	1,6


Указанные в таблице составы эмалей и эмалевые покрытия были получены в идентичных условиях варки, фриттования, составления шликеров, температур и длительности обжига покрытий.

Величина сцепления грунта со сталью определялась путем применения относительного количественного метода системы баллов, предложенного Институтом им. М. Планка, а исследование границы раздела опытных грунтовых эмалей и стали проводилось растровым электронным микроскопом «Нанолаб-7», оснащенный рентгеновским микроанализатором системы «Link», и с применением микрорентгеноспектрального анализа, проведенного с помощью электронного зонда типа «Самеса-М-46».

Комплексный анализ результатов определения прочности сцепления и характера разрушения стали под воздействием грунтов (рис. 1) показал, что и при низких значениях индекса сцепления протекают про-

цессы электромеханической коррозии, что согласуется с данными Л. Свирского [3] о многочисленности причин, вызывающих окислительно-восстановительные процессы на границе соприкосновения фаз.

Введение TiO<sub>2</sub> приводит к усилению взаимодействия грунта со сталью, что выражается в увеличении глубины разрушения металла и, соответственно, индекса сцепления (рис. 1, б). Однако следует обратить внимание на то, что усиление коррозии металла и «прораствание» расплава в металл не носит равномерного характера – грунт лишь местами проникает вглубь поверхности металла. Это может быть следствием микрогенности грунта или неполного (недостаточного) распределения грунта по поверхности металла в процессе обжига. Вполне возможно, что неравномерность коррозии связана с обеими указанными причинами.



Прочность сцепления, Н	Баллы
18	~1
30	4-5
41	5

Рис.1. а) Г-Б (TiO<sub>2</sub>- 0,1%), б) ГГ-5 (TiO<sub>2</sub>-10%), в) ГГ – (TiO<sub>2</sub>-10%, NaCl-3%)

Появление в составе исходной композиции хлорида натрия приводит к дальнейшему усилению и одновременному выравниванию корродирующего взаимодействия расплава грунта. Индекс сцепления достигает максимального значения (рис. 1, в).

Электронно-растровые микрофотографии (рис. 2) обнаруживают три зоны контакта грунта с поверхностью стали, одна из которых может быть охарактеризована как переходная. Эта зона определялась глубиной покрытия, где колебание интенсивности кремния было постоянным.

Ввиду того, что в составах грунта имеется одинаковое содержание оксидов сцепления (CoO, NiO), а кроме того условия синтеза эмалей идентичны, то, по видимому, по ширине переходной зоны можно судить о влиянии состава грунтов на процессы, протекающие между поверхностью стали и приконтактным слоем грунта.

Как обнаружилось, ширина переходной зоны в случае эмали, не содержащей TiO<sub>2</sub> и NaCl, равна 13-14 мкм (рис. 2, а), тогда как титаносодержащий грунт доводит ее до 20 мкм, а введение в эмаль TiO<sub>2</sub> и NaCl – до 23-24 мкм (рис. 2, б и в).



Сравнение ширины переходной зоны с данными относительно прочности сцепления исследуемых грунтовых эмалей позволяет предположить возможность их взаимосвязи, что находится в соответствии с работой [4].

Анализ распределения отдельных элементов в промежуточном слое в различных переходных слоях позволил выявить резкие колебания интенсивности Si и Fe, а также повышение содержания Si и уменьшение Fe по мере продвижения от металла в слой покрытия.

Распределение Ni и Co в промежуточном слое в основном подтверждает существующие сведения о роли оксидов этих металлов в обеспечении сцепления между грунтом и сталью [3, 5, 6].

Исследование особенностей распределения Ni и Co в промежуточном слое показало, что колебание их интенсивности изменяется в зависимости от индекса сцепления (Н), увеличиваясь от грунта, не содержащего TiO<sub>2</sub> и NaCl, до грунта с этими соединениями.

Учитывая то, что интенсивность колебания элемента определяется локализацией данного элемента в конкретной области, а также величиной кристаллического включения, то по характеру всплесков интенсивности Ni и Co в промежуточном слое можно предположить образование участков с их повышенной концентрацией по схемам:



Именно они образуют твердые растворы с железом, залегая в виде прослойки на границе раздела эмаль – металл.

Судя по местонахождению всплесков интенсивности Ni и Co, допустима концентрация основного количества



Co на границе раздела, тогда как Ni, кроме такой концентрации, обнаруживается и в покрытии. По всей видимости, это обстоятельство связано с тем, что ввиду небольшого различия потенциалов Fe и Co, восстано-

вление Co происходит на поверхности стали под воздействием металлического железа, тогда как Ni может быть восстановлен в двухвалентном железе, перешедшем в расплав.




Рис. 2. Распределение элементов в промежуточных (переходных) слоях сталь-эмаль: а) GG-26, б) GGT-55, в) GGTS-75

В общем, приведенные здесь рассуждения не противоречат существующим взглядам о механизме сцепления, но никак не объясняют причину малого воздействия CoO и NiO в отсутствие TiO<sub>2</sub> и NaCl.

Не объясняет этого явления и разная интенсивность и характер колебаний Ca, особенно при сравнении покрытий GG26 и GG155 с GGTS. В последнем случае

явно прослеживается всплеск колебаний недалеко от начала переходного слоя (на рис. 2, б «0»).

Существует мнение, что ион Ca<sup>2+</sup> влияет на изменение заряда двойного электрического слоя (ДЭС), возникающего на поверхности раздела фаз за счет появления контактной разности потенциалов [6]. Учитывая то обстоятельство, что ДЭС вносит существ-

венный вклад в силу сцепления и работы адгезии, можно предположить, что указанный всплеск связан именно с этим явлением.

По характеру всплесков интенсивности Ti можно судить о возможности образования участков с повышенной концентрацией этого элемента или его соединений с железом типа ферротитаната, как на это обращается внимание в работах [3, 5].

Исходя из результатов проведенного исследования, наиболее обоснованным нам представляется второе предположение, особенно в случае покрытия, полученного в композиции, содержащей NaCl. Именно в этом случае проявляется своеобразный характер всплеска интенсивности Ti.

Все указывает на то, что в улучшении индекса сцепления немалую роль выполняют TiO<sub>2</sub> и не только в силу того, что образуется соединение, которое общим анионом может связать два разнородных материала. TiO<sub>2</sub>, по-видимому, выполняет и иную функцию – функцию плавня, способствующего воздействовать на структуру грунта.

Но основным «виновником» повышения индекса сцепления является хлорид натрия.

Известна особая роль кислорода в образовании связи эмаль – металл [3-5]. В частности, согласно гипотезе относительно химической связи металла и эмали, образуется слой атомов кислорода, в результате чего между входящими в композит ингредиентами начинается «борьба» за обладание кислородом. Помимо сказанного, для протекания окислительно-восстановительного процесса с достаточной скоростью на границе фаз необходим приток деполяризаторов к катодным участкам. В роли деполяризаторов могут также выступать ионы кислорода. Молекулярный кислород может попасть на границу раздела фаз через эмаль путем его прямой диффузии. Это диффузия за счет трансляции валентных связей, т.к. энергия активации трансляции гораздо меньше энергии активации разрыва связи. Из этих рассуждений следует, что активность кислородных ионов в стекле и трансляция связи для каждого конкретного состава будут определяться числом немостиковых связей, структурным

состоянием каркаса и степенью дифференциации структуры стекла.

Введение в состав безборных, бесфтористых грунтов приводит к уменьшению мостиковых связей, а также к деполимеризации кремнекислородного каркаса за счет возникновения дискретных силикатных цепочек типа Si – O – R – Cl и Si – O – Na.

Следовательно, роль NaCl, по-видимому, состоит в улучшении трансляции валентных связей и активации кислородных ионов в стекле, что довольно значительно воздействует на улучшение процессов, протекающих на границе раздела сталь-эмаль.

### 3. ЗАКЛЮЧЕНИЕ

Таким образом, исследование особенностей взаимодействия безборной, бесфтористой эмали с поверхностью стали подтвердило аналогичность данного процесса результатам, полученным в теории и практике эмалирования.

В ходе опытов была выявлена прямая зависимость интенсивности этого процесса от состава эмалей и ингредиентов исходной композиции, в частности от диоксида титана и хлорида натрия. Можно предположить, что TiO<sub>2</sub> улучшает степень сцепления в условиях трансляции валентных связей и активации кислородных ионов кислорода, вызываемых хлоридом натрия.

### ЛИТЕРАТУРА

1. Technical papers of XX International Enamellers Congress. Istanbul. Turkey, 15-19 May, 2005.
2. Technical papers of XX International Enamellers Congress. Shanghai. China, 18-22 May, 2008.
3. Брагина Л.Л. и др. Технология эмали и защитных покрытий. Харьков, НТУ: «ХПИ», 2003.
4. Petzold A. Die Natur und Haftung des Grundmetalls – theoretische Interpretation und praktische Aspekte // Silikat-technik, 1983, s. 327-331.
5. Петцольд А., Пешман Г. Эмаль и эмалирование. М.: Металлургия, 1990.
6. Литвинова Е. Металл для эмалирования. М.: Металлургия, 1975.

შპპ 541.1-16; 666. 293

**უბორო, უფთორო მინანქრების ფოლადის ზედაპირთან შეჭიდულობის ბუნება**

**ი. ზედგენიძე, ა. სარუხანიშვილი, მ. კაპანაძე, მ. მშვილდაძე**

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

**რეზიუმე:** ჩატარებულმა კვლევებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა უბორო, უფთორო მინანქრებისა და ფოლადის შეჭიდულობისას მიმდინარე პროცესების იდენტურობა ანალოგიურ შედეგებთან, რომლებიც მიღებულ იქნა მომინანქრების თეორიასა და პრაქტიკაში. გარდა ამისა, კვლევებმა გვიჩვენა ამ მოვლენების ინტენსიურობის პირდაპირი დამოკიდებულება მინანქრების შედგენილობასა და საწყის კომპოზიციაში შემავალ ინგრედიენტებს, კერძოდ, ტიტანის დიოქსიდსა და ნატრიუმის ქლორიდს შორის. ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ  $TiO_2$  აუმჯობესებს ნატრიუმის ქლორიდით გამოწვეულ შეჭიდულობის ხარისხს ვალენტური კავშირების ტრანსლაციისა და ჟანგბადის იონების აქტივიზაციის პირობებში.

**საკვანძო სიტყვები:** მინანქარი; ფოლადი; გრუნტი; კომპოზიტი; ნატრიუმის ქლორიდი; მინანქარი; შეჭიდულობა; ტიტანის დიოქსიდი.

UDC 541.1-16; 666. 293

**INTERACTION OF BORONLESS AND FLUORINELESS ENAMELS TO THE STEEL SURFACE**

**I. Zedgenidze, A. Sarukhanishvili, M. Kapanadze, M. Mshvildadze**

Department of chemical and biological technologies, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** On the basis of the carried out research, the identity of the essence of the occurrences, which occur during the process of cohesion between boronless and fluorineless enamels and steel is established by the similar enamelling in the practice and theory. The direct dependence of intensity of the given occurrences at the content of enamels and ingredients composing in the initial composition, in particular sodium chloride and titanium dioxide are shown. There is assumed, that  $TiO_2$  improves the quality of cohesion under the conditions of translation of valency links and activation of oxygen ions, caused by sodium chloride.

**Key words:** enamel; steel; ground; composite; sodium chloride; glass-enamel; cohesion; titanium dioxide.

*მიღებულია დასაბუტად 17.01.13*

# სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის სექცია

შპს 582.739

**ძროხის რემონტის დანამატის სახით სოიოს რძის შერევის შესაძლებლობის  
შესწავლა**

**თ. მეგრელიძე, ვ. ღვაჩლიანი, გ. ნადირაშვილი, გ. გუგულაშვილი, ე. სადალაშვილი\***

კვების ინდუსტრიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: etosadagashvili@gmail.com

**რეზიუმე:** განხილულია ცხოველურ რძეში დანამატის სახით სოიოს რძის გამოყენების შესაძლებლობა. დასაბუთებულია, რომ სოიოს რძის დამატება ძროხის რძეში აუმჯობესებს მის ხარისხს და ანიჭებს განსაკუთრებულ სპეციფიკურ თვისებებს, ასევე იძლევა ეკონომიკურ ეფექტს. განსაზღვრულია ძროხის რძეში დამატებული სოიოს რძის ის ოპტიმალური რაოდენობა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს მიღებული შერეული რძის მაქსიმალურად მაღალი ხარისხი.

**საკვანძო სიტყვები:** სოიოს რძე; ძროხის რძე; შერევა; დანამატი; თხევადი პროდუქტები.

## 1. შესავალი

რძესა და რძის პროდუქტებს ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უკავია ადამიანის კვების პროდუქტებს შორის. რძის თვისებებით და მისი წარმოებით ადამიანი ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან დაინტერესდა, რადგან იგი შეიცავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ისეთ აუცილებელ ორგანულ ნაერთებს, როგორცაა ცხიმები (3,6–6,0 %), ცილები (2,4–4,0 %), ლაქტოზა (4,0–5,5 %), მინერალური ნივთიერებები (0,6–0,8 %), ვიტამინები (A, B, C, D და ა.შ.) და ფერმენტები (კატალაზა, ამილაზა, პროტეაზა, ლიპაზა და ა.შ.). რძის წარმოებისადმი მიძღვნილი პირველი ნაშრომი არის რომაელი მწერლის, ვარონის მიერ ძვ. აღ. I საუკუნეში დაწერილი წიგნი „სოფლის მეურნეობა“, სადაც იგი აღწერს მაღალი ხარისხის რძის მიღების ტექნოლოგიას. რძე და რძის პროდუქტები დღესაც შეუცვლელია ადამი-

ანის კვების რაციონში და ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში.

საქართველოში რძისა და რძის პროდუქტების წარმოება და საკვებად გამოყენება ტრადიციულ ხასიათს ატარებს. ჩვენში ისტორიულად მზადდებოდა და დღესაც კვების მნიშვნელოვან პროდუქტებად რჩება რძე და რძის ისეთი პროდუქტები, როგორცაა ყველი, მაწონი, არაჟანი, ხაჭო და სხვა.

ტრადიციულად, საქართველოში რძის პროდუქტები ცხოველური წარმოშობის საღი რძისაგან მზადდება, რაც მათ მაღალ ხარისხს და საგემონო თვისებებს განაპირობებს. დღეისათვის საქართველოში ძალზე შემცირდა რძის წარმოება, რის გამოც ნატურალური რძისაგან დამზადებული პროდუქტების რაოდენობამაც საგრძნობლად იკლო. მნიშვნელოვნად შემცირდა ადგილზე დამზადებული მაღალი ხარისხის კარაქის რაოდენობა. ამდენად, დღეისათვის საქართველოში ნატურალური რძისა და რძის პროდუქტების დეფიციტის შევსება ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

ცხოველური რძის მნიშვნელოვან დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს მასში ლაქტოზას (4,0–5,5 %) არსებობა, რაც ძალზე აუცილებელი პროდუქტია მცირეწლოვანი ბავშვებისათვის.

უამრავ სიკეთესთან ერთად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცხოველური წარმოშობის რძე შეიცავს დიდი რაოდენობით ქოლესტერინს, რაც ადიდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს. გარდა ამისა, ბავშვებში, განსაკუთრებით ჩვილ ბავშვებში, უკანასკნელ ხანებში იმატა ძროხის რძისადმი შეუგუებლობამ და ამ მიზეზით განპირობებულმა პათოლოგიებისა და

ალერგიების ფართო სპექტრმა ცილოვანი დეფიციტის სახით.

## 2. ძირითადი ნაწილი

აღნიშნულ მოვლენებთან ბრძოლის ყველაზე მარტივი და მისაღები მეთოდია ძროხის რძეში სოიოს მარცვლისაგან დამზადებული რძის საჭირო რაოდენობის შერევა, როგორც ქოლესტერინის დონის შემცირებისა და საჭირო ელემენტებით ძროხის რძის გამდიდრების საშუალება.

სოიოს რძე ადამიანის ჯანმრთელობისათვის ძალზე სასარგებლო პროდუქტია. მასში მაღალია ცილების (36–48%), ცხიმების (18–26%), ნახშირწყლების (20%–მდე) და ვიტამინების (A, D, C, E, B<sub>2</sub> და სხვ.) შემცველობა. სამაგიეროდ, სოიოს რძე საერთოდ არ შეიცავს ქოლესტერინს. იგი არ შეიცავს აგრეთვე ლაქტოზასაც.

სოიოს და მისი შემცველი პროდუქტების სისტემატურად მიღების შედეგად სისხლში ქვეითდება ქოლესტერინის დონე და, შესაბამისად, მცირდება გულის იშემიური დაავადებების რისკი. სოიოსაგან წარმოებული პროდუქტები შეიცავს ანტიოქსიდანტებს – უჯრედების თავისუფალი რადიკალებისაგან დამცავ ნივთიერებებს; ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმის იმუნური სისტემის გაძლიერებას და ოსტეოპოროზის თავიდან აცილებას (ძვლის მასის შენარჩუნებას), ასევე საგრძნობლად ამცირებს დიაბეტით დაავადებული ადამიანების სისხლში შაქრის კონცენტრაციის დონეს და ხელს უწყობს ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარების რისკის შემცირებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის ორგანიზმზე სოიოს ცილების დადებითი ზემოქმედება. სოიოს ცილების ხარისხი გაცილებით უკეთესია სხვა მარცვლოვანი კულტურების ცილებზე და ძალზე ახლოსაა ცხოველური წარმოშობის ცილების ღირსებებთან. ადამიანის ორგანიზმი სოიოს ცილებს გაცილებით უფრო ადვილად შეითვისებს, ვიდრე ცხოველურს. მათი მიღება სასარგებლოა იმ ადამიანებისთვისაც კი, რომლებსაც თირკმლების უკმარისობა აწუხებთ. სოიოს პროდუქტების მიღებაში რაიმე სახის შეზღუდვები არ არსებობს. ასევე არ არსებობს უკუჩვენებები. მათ მართ ინდივიდუალური შეუწყობლობაც ნაკლებად მოსალოდნელია.

როგორც ვხედავთ, სოიოს რძე და ძროხის რძე ადამიანის ჯანმრთელობისათვის აუცილებელი პროდუქტებია. ორივე მდიდარი შედგენილობისაა. ამასთან, ძროხის რძე შეიცავს ადამიანისათვის აუცილებელ პროდუქტს (ლაქტოზას), ასევე მაგნი

პროდუქტსაც (ქოლესტერინს). სოიოს რძეში კი არ გვხვდება არც ლაქტოზა და არც ქოლესტერინი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ძროხის რძეში დანამატის სახით სოიოს რძის გამოყენება შეამცირებს ძროხის რძეში არსებული ქოლესტერინის საერთო რაოდენობას და ამით ხელს შეუწყობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შემცირებას. შერეული რძის გამოყენების შემთხვევაში ადამიანების საკვებ რაციონში გაჩნდება სოიოს მარცვლისაგან წარმოებული პროდუქტია, რაც აშშ-ის საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის ადმინისტრაციის (FDA) მიერ მოწოდებული რეკომენდაციით იძლევა “ციხიმების, ნატრიუმის და ქოლესტერინის შემცველობის შემცირების” საშუალებას ადამიანის ორგანიზმში.

ძროხის რძეში სოიოს რძის შერევა სასარგებლოა ეკონომიკური თვალსაზრისითაც, რადგან სოიოს რძე ძროხის რძესთან შედარებით 1,5–2-ჯერ უფრო იაფია.

შეიძლება ითქვას, რომ სოიოს გამოყენება კვების პროდუქტების დანამატის სახით სიახლე არ არის. ცნობილია, მაგალითად, სოიოს ფქვილის დამატება პურისა და საკონდიტრო წარმოებაში [1]; ძეხვეულის წარმოებაში გამოყენებული სოიოს ფარში (ოკარა), რომლებიც აუმჯობესებს პროდუქციის კვებით ღირებულებას, კალორიულობას და გემოს [2].

მცენარეული რძის და ცხოველური რძის შერევა ძალზე მარტივად განხორციელდება ნებისმიერი კონსტრუქციის თხევადი პროდუქტების შემრევ მოწყობილობაში, სადაც მიეწოდება შერევისათვის განკუთვნილი სოიოს და ცხოველური რძის საჭირო რაოდენობა. თვით შესარევი კომპონენტების რაოდენობა კი დამოკიდებულია მათ ქიმიურ შედგენილობასა და ენერგეტიკულ ღირებულებაზე, აგრეთვე შერეული რძის დანიშნულებაზე.

შერევის წინ საჭიროა სოიოს რძის და ცხოველური რძის ქიმიური შედგენილობის და ენერგეტიკული ღირებულების დადგენა. კერძოდ, განისაზღვრება მშრალი ნივთიერებების რაოდენობა, კომპონენტების ქიმიური შემცველობა (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, მიკროელემენტები და სხვა), ორივე კომპონენტის ენერგეტიკული ღირებულება (კკალ ან ჯოული 100 გ პროდუქტზე). ამის შემდეგ შერეული რძის დანიშნულების მიხედვით ანუ იმის მიხედვით, თუ რომელი შემადგენელი ელემენტის მომატება ან შემცირებაა საჭირო მიღებულ ნარევეში,



განისაზღვრება ორივე სახეობის რძის ის მასები, რომლებიც ექვემდებარება შერევის ნარევიში ნებისმიერი კონკრეტული ნივთიერების (ცილები, ცხიმები და სხვ.) გამოსათვლელად შეიძლება გამოიყენოთ ფორმულა:

$$V_{\text{ნარევი}} = \frac{M_{\text{ცხ}}V_{\text{ცხ}} + M_{\text{ს}}V_{\text{ს}}}{M_{\text{ცხ}} + M_{\text{ს}}}, \%,$$

სადაც  $V_{\text{ნარევი}}$  ნარევიში საჭირო კონკრეტული ნივთიერების შემცველობაა, %;  $V_{\text{ცხ}}$  – ამავე ქიმიური ნივთიერების შემცველობა ცხოველურ რძეში, %;  $V_{\text{ს}}$  – ამავე ქიმიური ნივთიერების შემცველობა სოიოს რძეში, %;  $M_{\text{ცხ}}$  – ცხოველური რძის მასა, კგ;  $M_{\text{ს}}$  – სოიოს რძის მასა, კგ.

შერევის შედეგად მიიღება რძე, რომელიც გაძიდებული იქნება სასურველი ქიმიური ელემენტებით ან რომელშიც შემცირებული იქნება ამა თუ იმ, მოხმარების კონკრეტული შემთხვევისათვის არასასურველი, ელემენტების რაოდენობა.

გარდა ქიმიური ელემენტებით სიმდიდრისა, რძეს, როგორც კვების პროდუქტს, მოეთხოვება სასურველი გემო და არომატი. ჩვეულებრივ, ცხოველურ რძეს საქართველოს მოსახლეობა უძველესი დროიდან იყენებს და მის მიმართ უკვე ჩამოუყალიბდა საგემოვნო მოთხოვნები. მაგრამ, სოიოს და მისგან წარმოებულ რძეს აქვს ლებნიანი მცენარეებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური გემო და არომატი. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში სოიოს და მისგან წარმოებული კვების პროდუქტებს საკმაოდ მცირე ხნის ისტორია აქვს, მოსახლეობის ნაწილისათვის ეს დამახასიათებელი გემო და არომატი შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს. სოიოს რძისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური გემო და არომატი შეიძლება გადავიდეს შერეულ რძეში და ამით შეამციროს მომხმარებელთა წრე.


ამიტომ, სოიოს რძის ცხოველურ რძეში დანამატად გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა კომპონენტების შერევის ისეთი თანაფარდობის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის მისაღები გემოს და არომატის მქონე შერეული რძის წარმოებას.

მისაღები გემოსა და არომატის მქონე შერეული რძის წარმოებისათვის მცენარეული და ცხოველური კომპონენტების ოპტიმალური თანაფარდობის დადგენის მიზნით, ჩვენ მიერ, ჩატარებულ იქნა სხვადასხვა შედგენილობის შერეული რძის ორგანოლექტიკური მახასიათებლების კვლევა. კვლევის მიზანი იყო სოიოს რძის იმ მაქსიმალური რაოდენობის დადგენა, რომლის შერევა არ გამოიწვევდა მიღებული ნარევის არასასიამოვნო ორგანოლექტიკური მახასიათებლების წარმოქმნას.

ცვლების დროს სოიოს რძეს ვამზადებდით ცნობილი ტექნოლოგიის მიხედვით [3, 4]. ცხოველური რძის შესყიდვა ხდებოდა სოფლის მოსახლეობისაგან. ამის შემდეგ, წარმოებდა ორივე (მცენარეული და ცხოველური) რძის ქიმიური შედგენილობის კვლევა, რათა დაგვედგინა მათი ვარგისობა და შესაბამისობა არსებულ სტანდარტებთან.

ორივე რძის პარტიდან ხდებოდა ნარევის მომზადება სხვადასხვა თანაფარდობით, კერძოდ, სოიოს რძის შემცველობით 5, 10, 15, 20, 25, 30, 35, 40, 45, 50 %. ყველა ნიმუში ერთნაირ პირობებში ერთად ყოფნდებოდა 5–6 სთ განმავლობაში 15–18°C ტემპერატურაზე და შემდეგ ხდებოდა ყოველი სინჯის ორგანოლექტიკური მახასიათებლების (კონსისტენცია, არომატი, ფერი, სუნი, გემო) კვლევა.

კვლევის შედეგების მიხედვით ხდებოდა სოიოს რძის სხვადასხვა შემცველობის ყოველი ნიმუშისათვის კონსისტენციის, არომატის, ფერის, სუნის და გემოს შესაბამისი გრაფიკების აგება (ნახაზი).



შერეული რძის ორგანოლექტიკური მაჩვენებლები სოიოს რძის სხვადასხვა თანაფარდობის პირობებში:  
 1 – ფერი, 2 – კონსისტენცია, 3 – სუნი, 4 – გემო, 5 – არომატი

როგორც ნახაზიდან ჩანს, შერეული რძის ფერი და კონსისტენცია თითქმის უცვლელია. მათი გაუარესება შეინიშნება 45–50 %-იანი ნარევის შემთხვევაში. თუმცა ეს ცვლილება საკმაოდ მცირეა და მომხმარებლისათვის პრაქტიკულად შეუმჩნეველი.

ჩვენ მიერ შესწავლილი დანარჩენი ორგანოლექტიკური მაჩვენებლები (სუნი, გემო და არომატი) საკმაოდ მნიშვნელოვნად იცვლება.



ამასთან, ყველაზე ნაკლებად იცვლება შერეული რძის სუნი (მრუდი 3), ყველაზე მეტად კი უარესდება მისი არომატი (მრუდი 5).

ჩატარებული ცდების შედეგების (ნახაზი) ანალიზი გვიჩვენებს, რომ შერეულ რძეში ლებნიანებისათვის დამახასიათებელი სუნი, გემო და არომატი მით უფრო ნაკლებია, რაც უფრო მცირეა მასში დანამატის (სოიოს რძის) შემცველობა. დანამატის შემცველობის გაზრდით შერეულ რძეში სპეციფიკური სუნი, გემო და არომატი მატულობს. შესაბამისად, უნდა არსებობდეს ცხოველური რძის და მცენარეული რძის რაღაც მისაღები ოპტიმალური თანაფარდობა, რომლის დროსაც შერეული რძის ორგანოლექტიკური მახასიათებლები ყველაზე უფრო მისაღები იქნება. ნახაზზე ასეთ თანაფარდობას წარმოადგენს სოიოს რძის 20–25 %-იანი შემცველობა. სოიოს რძის რაოდენობის შემდგომი გადიდება (30 % და მეტი) განაპირობებს შერეულ რძეში ლებნიანებისათვის დამახასიათებელი თავისებური გემოს, სუნის და არომატის მკვეთრ გადიდებას. ასეთი შერევა, საჭიროების შემთხვევაში (კერძოდ, სოიოს რძისათვის დამახასიათებელი რომელიმე თვისების გაძლიერებისათვის), საეხებით დასაშვებია. მაგრამ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მიღებულ შერეულ რძეს ექნება დამახასიათებელი სპეციფიკური ორგანოლექტიკური თავისებურებანი (სუნი, გემო და არომატი).

დანამატის სახით სოიოს რძის გამოყენების ეკონომიკური ეფექტურობის გამოსათვლელად გაეთვალისწინოთ, რომ ძროხის რძის ღირებულება შეადგენს 2,0 ლარს, ხოლო სოიოს რძისა – 1,3 ლარს. სოიოს რძის 20 %-იანი შემცველობის 100 ლიტრი შერეული რძის მისაღებად საჭიროა 80 ლიტრი ძროხის და 20 ლიტრი სოიოს რძე. შესაბამისად, მოგება იქნება:

$$2 \times 100 - (2 \times 80 + 1,3 \times 20) = 14 \text{ ლარი.}$$

მიღებული თანხიდან შერევისა და ქიმიური ანალიზისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით მთლიანი მოგება 100 ლიტრ შერეულ რძეზე დაახლოებით 9–10 ლარი იქნება.

თანხა დიდი არ არის, მაგრამ ძირითადი მოგება, ჩვენი აზრით, გამოიხატება ქოლესტერინის შემცირებული რაოდენობის, ანტიოქსიდანტების, იმუნური სისტემის გამაძლიერებელი, ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარების რისკის შემცირების

და ოსტეოპოროზის თავიდან აცილების უნარის მქონე რძის მიღების შესაძლებლობაში.

### 3. დასკვნა

ცხოველურ რძეში დანამატის სახით სოიოს რძის გამოყენების შესაძლებლობის დადგენის მიზნით ჩატარებული ცდების საშუალებით განსაზღვრულია აღნიშნული კომპონენტების შერევის ისეთი თანაფარდობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის მისაღები სუნის, გემოს და არომატის მქონე შერეული რძის წარმოებას. ასეთი თანაფარდობა სოიოს რძის 20–25 %-იანი შემცველობაა. სოიოს რძის რაოდენობის შემდგომი გადიდება განაპირობებს შერეულ რძეში სოიოსათვის დამახასიათებელი თავისებური ორგანოლექტიკური მახასიათებლების გადიდებას. ასეთი შერევა დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია სოიოს რძისათვის დამახასიათებელი რომელიმე სასარგებლო თვისების გაძლიერება. მაგრამ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში მიღებულ რძეს დამახასიათებელი სპეციფიკური ორგანოლექტიკური თავისებურებანი ექნება.

### ლიტერატურა

1. გ. ცინცაძე, თ. მეგრელიძე, ე. სადალაშვილი. სოიოს ფქვილის გამოყენება პურის ცხობისას // მეცნიერება და ტენოლოგიები № 79. თბილისი, 2005, გვ. 102–103.
2. თ. ღვაჩლიანი. სოიოს რძის მიღების რეკომენდებული პარამეტრების ექსპერიმენტული შესწავლა // ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა № 2(14). თბილისი, 2009 წ.
3. თ. მეგრელიძე, ბ. ღვაჩლიანი, ვ. ღვაჩლიანი, გ. გუგულაშვილი, ე. სადალაშვილი. სოიოს მარცვლიდან რძის ექსტრაქციის პროცესის ექსპერიმენტული შესწავლა // საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერნეტ-კონფერენცია „ინოვაციური პროცესები და ტექნოლოგიები“. ქუთაისი, 2011–04–18. 60–64 გვ.
4. თ. მეგრელიძე, ბ. ღვაჩლიანი, ვ. ღვაჩლიანი, ე. სადალაშვილი, გ. გუგულაშვილი. სოიოს რძის ადულების პროცესის ექსპერიმენტული შესწავლა // საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიებისა და ტექნიკის სრულყოფა“. ქუთაისი: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი–გრანტი GNSF/ST/08/7-493. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011 წ. მაისი. 267–271 გვ.

UDC 582.739

**STUDY OF THE POSSIBILITY OF SOY-BEAN MILK ADDITION IN COW-MILK****T. Megrelidze, V. Gvachliani, G. Nadirashvili, G. Gugulashvili, E. Sadagashvili**

Department of food industry, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is considered the possibility of soy-bean milk addition in cow-milk. There is proved, that soy-bean milk addition in animals milk improves its quality and gives particular specific properties, also gives the economical effect. There is study the soy-bean milk optimal quantity in cow milk, which can give the best quality of received mixed milk.

**Key words:** soy-bean milk; cow- milk; mixed; addition; liquid products.

УДК 582.739

**ИССЛЕДОВАНИЕ ВОЗМОЖНОСТИ ИСПОЛЬЗОВАНИЯ СОЕВОГО МОЛОКА В ВИДЕ ДОБАВКИ В КОРОВЬЕ МОЛОКО****Мегрелидзе Т.Я., Гвачлиани В.В., Надирашвили Г.А., Гугулашвили Г.Л., Садагашвили Э.З.**

Департамент пищевой индустрии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Рассмотрена возможность использования соевого молока в виде добавки в коровье молоко. Установлено, что добавление соевого молока в коровье молоко повышает качество последнего и придает ему особые специфические свойства, а также дает определенный экономический эффект. Определено оптимальное соотношение соевого и коровьего молока, которое способно обеспечить максимально высокое качество смешанного молока.

**Ключевые слова:** соевое молоко; коровье молоко; смешение; добавки; жидкие продукты.

*მიღებულია დასაბუჯდად 15.01.13*

შპს 664.681

**ცხოვრილი დამატებული ახალი მქანნიზმი****თ. მეგრელიძე, ვ. ნადირაშვილი, გ. სადაღაშვილი\*, ლ. პაპაუა, გ. გუგულაშვილი**

კვების ინდუსტრიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: e\_sadagashvili@gtu.ge

**რეზიუმე:** წარმოდგენილია ახალი მქანნიზმი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცხოვრილის ან ცომის სასურველი ზომებისა და ფორმის ნაჭრებად დასაჭრელად. მქანნიზმი ახორციელებს პროდუქტის წინასწარ დაჭერას თათების დახმარებით, შემდეგ მის დაჭრას და მიღებული ნაჭრების გათავისუფლებას დაჭრის

დასრულების შემდეგ. ეს უზრუნველყოფს დაჭრის შემდეგ მიღებული ნაჭრების ფორმებისა და ზომების მაღალ სიზუსტეს და დაჭრის ხარისხის ამაღლებას.

**საკვანძო სიტყვები:** ცომი; ცხოვრილი; დაჭრა; გამოცხოვა; მქანნიზმი.

**1. შესავალი**

ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის დასამზადებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის მაღალხარისხოვანი ნედლეული: პურის ფქვილი, შაქარი, თაფლი, კარაქი და სხვა ცხიმები, კვერცხისა და რძის პროდუქტები, ხილ-კენკრის სანოვაგეები, საკვები მჟავები, ესენციები, ქიმიური გამწვებლები, აგარი, უელატინი და სხვა. ნედლეულის ასეთი ფართო ასორტიმენტი განაპირობებს ცომისა და მზა ნაწარმის მაღალ სიბლანტეს და მნიშვნელოვან ადჰეზიურ თვისებებს [1, 2]. ასეთი თვისებების მქონე პროდუქტების დამუშავება რთულია [2, 3]. მართალია, ცხობის პროცესში მიმდინარე გარდაქმნების შედეგად პროდუქტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები იცვლება, მაგრამ მიღებულ ცხობილში ადჰეზიური თვისებები მაინც იმდენადაა შენარჩუნებული, რომ ადვილი აქვს ცხობილის მიწებებას დამამუშავებელი მოწყობილობის ზედაპირებზე.

**2. ძირითადი ნაწილი**

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა კვების მრეწველობაში და, მით უმეტეს, საკონდიტრო წარმოებაში გამოყენებული ცომისა და ცხობილის დამჭრელი დანების ზედაპირზე მიწებებაა. ჭრის პროცესში ადვილი აქვს დანის გვერდით ზედაპირებზე პროდუქტის მიწებებას. შედეგად დანის მოძრაობის პირობებში ხდება ერთმანეთისაგან ჩამოჭრილი ნაჭრების დაძვრა ერთმანეთის მიმართ. დანის განმეორებითი ზემოქმედება ხდება უკვე დაძვრული ნაჭრების მიმართ, რაც იწვევს ჭრის უთანაბრობას. ჭრის შედეგად მიიღება სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნაჭრები, რაც უარყოფითად აისახება გასაყიდი პროდუქტის სახეზე.


აღნიშნულიდან გამოსავალი საკონდიტრო ცომის ან ცხობილის ხელით დაჭრაა, რაც ადაბლებს წარმოების მექანიზაციის დონეს და ამაღლებს პროდუქციის თვითღირებულებას.

საკონდიტრო ცომისა და ცხობილის დაჭრის მექანიზაციის დაბალი დონის გამო, წარმოებაში ხშირად მიმართავენ ცომის წინასწარ დაჭრას და ცალკეული დაჭრილი ნამზადების ინდივიდუალურ ფორმებში გამოცხობას. ზოგიერთი სახის პროდუქტისათვის ეს საკვებით მისაღებია. ხშირად აღნიშნული წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამის საჭიროება არ არის და ეს დამჭრელი მექანიზმების არარსებობით გამოწვეული მოქმედებაა. ცალკეულ ფორმებში გამოცხობისათვის აუცილებელია დიდი რაოდენობით ყალიბების გამოყენება და თი-

თოეულში ცომის ზუსტად დოზირებული რაოდენობის მოთავსება. ეს ადიღებს მოწყობილობის ლითონტევადობას და აძვირებს პროდუქციას. ამასთან, ცხობის პროცესი ცალკეულ ყალიბებში უფრო არათანაბრად მიმდინარეობს, ვიდრე ერთი მთლიანი ცომის ნაჭრის შემთხვევაში. ამიტომ, ცალკეულ ინდივიდუალურ ყალიბებში ცხობა უარყოფითად მოქმედებს მზა პროდუქციის საერთო ხარისხზეც.

ინდივიდუალურ ფორმებში ცხობისაგან განსხვავებით, უკეთესი და უფრო მისაღებია განხორციელდეს ერთი საერთო მასის მქონე ცომის ნაჭრის ცხობა და მიღებული ერთი ცხობილი დაიჭრას სასურველი ზომისა და ფორმის ნაჭრებად. ეს უზრუნველყოფს ცხობის თანაბრობას მთელ ცხობილში და, აქედან გამომდინარე, მთელი პროდუქციის ერთნაირ ხარისხსაც. მეორე მხრივ, საჭირო ხდება მხოლოდ ერთი დასაყალიბებელი ფორმის გამოყენება, რაც ამცირებს მოწყობილობის ლითონტევადობას და აიაფებს პროდუქციას. ამისათვის კი აუცილებელია ცხობილის დამჭრელი მექანიზმების გამოყენება.

საკონდიტრო ნაწარმის (ცომის ან ცხობილის) დაჭრის პროცესის მექანიზაციის მიზნით დამუშავებულია ცხობილის დამჭრელი მექანიზმის ახალი კონსტრუქცია (ნახაზი).



ცხობილის დამჭრელი მექანიზმის პრინციპული სქემა

მოწყობილობის ძირითად მუშა ორგანოს შეადგენს გრძივი და განივი დანები 1, 2, რომლებიც ჩაწყობილია სპეციალურ დამჭერებში 3. აღნიშნული დანები ქმნის ცხაურას, რომლის ყოველი ფანჯრის შიგა გრძივი და განივი ზომები ტოლია იმ ჩამოსატრელი ნაჭრების გარე ზომებისა, რა ზომაზეც უნდა დაიჭრას ცხობილი. ცხაურას გარე ზომები აიღება დასატრელი

ცხოვრობის გარე ზომების შესაბამისად. დანები 1, 2 დამკვერებში 3 ისეა დამაგრებული, რომ ვერტიკალურად განლაგებული ყველა დანის ქვედა მჭრელი წიბო ერთ საერთო სიბრტყეს ქმნის. თავის მხრივ, დამკვერები 3 აწყობილია ერთ საერთო ჰორიზონტალურ ფილაზე, რომელსაც, ვერტიკალური დანების მიერ შექმნილი, ცხაურას ყოველი ფანჯრის სიმეტრიის ღერძის გასწვრივ განლაგებული აქვს ცილინდრული ფორმის ჭიქები 4. ყოველი ჭიქის ცილინდრულ ზედაპირზე ამოღებულია მიმართველი ვერტიკალური ღარები 5. ჭიქების 4 შიგნით, ღერძული მიმართულებით გადაადგილებით, ჩასმულია ცილინდრები 6. ეს ცილინდრები აღჭურვილია ფიქსატორებით 7, რომლებიც სრიალით გადაადგილდება ჭიქის მიმართველ ღარებში 5. ცილინდრებსა 6 და ჭიქების შიგა ტორსულ ზედაპირებს შორის განლაგებულია ზამბარები 8, რომლებიც აღჭურვილია დაჭიმულობის ძალის სარეგულირებელი ხრახნებით 9. ყოველი ცილინდრის 6 ქვედა ტორსულ ზედაპირზე დამაგრებულია თათი 10, რომლის გარე ზომები 0,5–1,0 მმ-ით ნაკლებია დანების მიერ შექმნილ ცხაურას ფანჯრების შიგა ზომებზე. ფიქსატორები 7 ცილინდრებზე 6 და ღარები 5 ჭიქებზე 4 ისეა განლაგებული, რომ ზამბარის 8 დაჭიმულობის ძალით ქვედა კიდურა მდებარეობაში გადაადგილებული ყოველი თათი 1–2 მმ-ით არის გამოწეული დანების ქვედა მჭრელი წიბოების მიერ შექმნილი საერთო სიბრტყიდან, ხოლო ზამბარის 8 შეკუმშვის ხარჯზე ზედა კიდურა მდებარეობაში ატანილ თათსა და მჭრელი წიბოების მიერ შექმნილ აღნიშნულ სიბრტყეს შორის მანძილი დასატრეული ცხოვრობის სისქეზე 5–10 მმ-ით მეტია.

ჭიქები 4 ზედა ტორსული ნაწილით დამაგრებულია ერთ საერთო ტრავერსზე 11, რომელსაც ამძრავის დახმარებით შეუძლია ვერტიკალური მიმართულებით წინსვლით-უკუსვლითი გადაადგილება. აღწერილი მექანიზმი განლაგებულია მუშა მაგიდის 12 თავზე, რომელსაც აქვს გრძივი 13 და განივი 14 მიმართველები.

ცხოვრობის დამკვერელი მექანიზმი შემდგომად მუშაობს:

დასატრეული ცხოვრობილი მიეწოდება მაგიდას 12. დამკვერელი მექანიზმის მიმართ ცხოვრობის ორიენტირებას უზრუნველყოფს გრძივი 13 და განივი 14 მიმართველები. ცხოვრობის მიმართველების მიმართ ორიენტირების შემდეგ ჩაირთვება დამკვერელი მექანიზმის ამძრავი, რომელიც ახორციელებს ტრავერსას 11 გადაადგილებას ზემო-

დან ქვემოთ და კვლავ უკან დაბრუნებას (დამკვერელ მექანიზმში ამძრავის ნაცვლად შეიძლება გამოყენებული იყოს ტრავერსას ხელით გადაადგილება). რადგან თათები 1–2 მმ-ით უფრო ქვემოთაა განლაგებული, ვიდრე დანების ქვედა წიბოების მიერ შექმნილი მჭრელი ზედაპირი, ამიტომ ცხოვრობის ზედაპირს თავდაპირველად სწორედ აღნიშნული თათები 10 შეეხება. ისინი ზემოდან აწევა ცხოვრობს და არ აძლევს მოძრაობის შესაძლებლობას. თათების დაჭერიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ (1–2 მმ-ის გაგლას მექანიზმი ძალზე მცირე დროს მონადომებს) ცხოვრობის ზედაპირს უკვე ეხება დანების მჭრელი წიბოები და იწყება ჭრის ოპერაცია. დანების ქვემოთ გადაადგილება არ განაპირობებს თათების პარალელურ გადაადგილებას, რადგან ამ დროს იკუმშება ზამბარები 8. ამის გამო, უძრავი თათების პირობებში ხორციელდება დანების ზემოდან ქვემოთ გადაადგილება და ცხოვრობის დაჭრა იმ ზომის ნატრებად, რა ზომის ფანჯრებიც აქვს დანების მიერ შექმნილ ცხაურას. ცხოვრობის დაჭრა მიმდინარეობს დანების მიერ ქვედა კიდურა მდებარეობის მიღწევამდე ანუ მაგიდის 12 ზედაპირთან დანების მჭრელი წიბოების შეხებამდე, რაც უზრუნველყოფს ცხოვრობის დაჭრის გარანტიას. შემდეგ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტრავერსა 11 იწყებს ქვემოდან ზემოთ გადაადგილებას და ხდება დანების გამოყვანა ცხოვრობიდან. მაგრამ, დანების ზემოთ გადაადგილებას არ მოჰყვება თათების მაშინვე გადაადგილება, რადგან ისინი, ზამბარების 8 დაჭიმულობის გამო, კვლავ ცხოვრობის უკვე დაჭრილი ნატრების ზედაპირზე რჩება. თუ დანების ზედაპირებზე ადგილი ჰქონდა ცხოვრობის მიწებებას, ეს არ გამოიწვევს მიწებებული მასის დანასთან ერთად ზემოთ გადაადგილებას, რადგან ამას ხელს შეუშლის დაჭრილ ნატრებზე ზემოდან დაჭერილი თათები 10. შესაბამისად, გამორიცხულია ცხოვრობის ჩამოჭრილი ნატრების დაჭრა ერთმანეთის მიმართ. ტრავერსა 11 განაგრძობს ზემოთ მოძრაობას და დანების ზემოთ გადაადგილების პარალელურად გამოჰყავს ისინი ცხოვრობის არიდან. მას შემდეგ, რაც დანები გამოვა ცხოვრობიდან, ტრავერსას შემდგომი ზემოთ მოძრაობის პროცესში ფიქსატორები 7 მიადწევს მიმართველი ღარების 5 ზედა კიდურა მდებარეობას და ცილინდრებს 6 გაიყოლებს მათზე დამაგრებულ თათებთან 10 ერთად. თათების მოცილება დაჭრილი ნატრებიდან ხდება დანების გამოსვლის შემდეგ, რადგან თათები 1–2 მმ-ით უფრო ქვემოთაა განლაგებუ-



ლი, ვიდრე დანების მჭრელი წიბოების მიერ შექმნილი ზედაპირი. ამიტომ, თათების მოცილება უკვე აღარ გამოიწვევს მაგიდაზე განლაგებული ცხობილის ნაჭრების მოძრაობას და ერთმანეთის მიმართ დაძვრას.

კვების მრეწველობაში გამოყენებულ ცომის და ცხობილის დამჭრელ მექანიზმებში განივი და გრძივი მჭრელი დანები ერთმანეთში არ შედის. ამის გამო, ერთმანეთის გვერდით არსებულ მეზობელ დანებს შორის, კონსტრუქციული აუცილებლობიდან გამომდინარე, ყოველთვის არის გარკვეული მანძილი. ეს მანძილი განაპირობებს დაჭრით მიღებულ ნაჭრებს შორის ზემოაღნიშნული მანძილის ტოლი ზომის მქონე ნარჩენების წარმოშობას.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ კონსტრუქციაში კი გრძივი და განივი დანები ისეა დამზადებული, რომ ნაწილობრივ შედის ერთმანეთში. ეს გამოირიცხავს მექანიზმის დამჭრელ თავებს შორის მანძილების დატოვების აუცილებლობას. ამიტომ როგორც განივი, ასევე გრძივი მიმართულებით დაჭრის პროცესში ცალკეულ ნაჭრებს შორის შეიჭრება მხოლოდ დანის მჭრელი პირი. დანის მოცილების შემდეგ მიიღება ერთმანეთისაგან თხელი დანის სისქის ტოლი მანძილით დაშორებული ნაჭრები სხვა, დამატებითი ნარჩენების გარეშე. ნამცხვრის ნარჩენები წარმოიქმნება მხოლოდ მთლიანი ნაჭრის პერიფერიაზე. ეს განპირობებულია, ერთი მხრივ, მიღებული ნაჭრების სწორი ფორმებისა და ზომების მიღწევის აუცილებლობით, ხოლო, მეორე მხრივ, ნამცხვრის მთლიანი დასაჭრელი ნაჭრების ცხობისას ზუსტი ზომების მიღწევის შეუძლებლობით. თუმცა, თუ ცხობისას შესაძლებელი გახდება მთლიანი ნამცხვრის ზომების მაღალი სიზუსტით დაცვა, მაშინ დაჭრის შედეგად

ნამცხვრის ნარჩენების წარმოქმნა მთლიანად გამოირიცხება მის პერიფერიულ ნაწილზეც.

### 3. დასკვნა

ამრიგად, წარმოდგენილი დამჭრელი მექანიზმი უზრუნველყოფს მთლიანი ცხობილის დაჭრას მექანიზმის ერთი სვლის გამოყენებით. ამასთან, დამჭერი თათები გამოირიცხავს მთლიანი ცხობილის და ასევე მისგან მიღებული ნაჭრების დაძვრა-გადაადგილებას ერთმანეთის მიმართ როგორც ჭრის პროცესში, ასევე მისი დასრულების შემდეგ. ეს უზრუნველყოფს ჭრის მაღალ ხარისხს და მიღებული ნაჭრების ზომებისა და ფორმების ერთგვაროვნებას, რაც დადებითად აისახება პროდუქციის სასაქონლო სახეზე.

### ლიტერატურა

1. ე. სადალაშვილი, ს. მღებრიშვილი. მკვებავი ბუნკერის გამოსასვლელი ფანჯრის მინიმალური ზომების დადგენა მაღალი სიბლანტის მქონე საკვები მასებისათვის // სტუ-ის შრომები, № 4 (474). თბილისი, 2009 წ., გვ. 119–122.
2. თ. მეგრელიძე, ბ. ღვაჩლიანი, ს. მღებრიშვილი, ე. სადალაშვილი, ვ. ღვაჩლიანი, გ. გუგულაშვილი. ცხობილზე კრემის წამსმელი ახალი მექანიზმი // საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერნეტ-კონფერენცია „ინოვაციური პროცესები და ტექნოლოგიები“. ქუთაისი, 2011–04–18. 60–64 გვ.
3. თ. მეგრელიძე, ს. მღებრიშვილი, გ. გუგულაშვილი, ე. სადალაშვილი, ლ. გუგულაშვილი. ცხობილზე კრემის წამსმელი გორგოლაჭის ოპტიმალური დიამეტრის განსაზღვრა // სტუ-ის შრომები, № 6 (478). თბილისი, 2011 წ., გვ. 119–122.

UDC 664.681

## THE NEW MECHANISM FOR CUTTING THE BISCUITS ON PIECES

T. Megrelidze, G. Nadirashvili, E. Sadaghashvili, L. Papava, G. Gugulashvili

Department of food Industry, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There it is presented the new mechanism, which may be used for cutting the biscuits or paste on desirable form and measure pieces. This mechanism realizes the product preliminary press, following cut and received pieces let out only after finish this cutting process. It guaranteed the received pieces form and measures high exactness end cutting quality elevation.

**Key words:** dough; biscuit; baking; cut; mechanism.

УДК 664.681

**НОВЫЙ МЕХАНИЗМ ДЛЯ РЕЗКИ БИСКВИТОВ****Мегрелидзе Т.Я., Надирашвили Г.А., Садагашвили Э.З., Папава Л.П., Гугулашвили Г.Л.**

Департамент пищевой промышленности, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Представлена конструкция нового механизма, которая может быть использована для нарезки теста или выпеченного бисквита на куски нужных размеров и формы. Данный механизм осуществляет резку предварительно удержанного продукта и дальнейшее освобождение нарезанных кусков только после полного окончания процесса резки. Это обеспечивает высокую точность размеров нарезанных кусков и повышение качества резки.

**Ключевые слова:** тесто; бисквит; выпекание; резка; механизм.

*მიღებულია დასაბეჭდად 15.01.13*

შპს 656.4

**საზოგადოებრივი ტრანსპორტის უზრუნველყოფის ქალაქის სოციალურ სივრცეში****ბ. სოსელია, მ. ზუბიაშვილი, ნ. კიკნაძე\***

ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის მეცნიერების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: r.kiknadze@alltours.ge

**რეზიუმე:** საქალაქო მასობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტის (სმსტ) განვითარების ახალი ეტაპის არსია თანამედროვე ტექნიკის უმაღლეს დონეზე აყვანა, სმს ტრანსპორტის ტრადიციული სახეების - ტრამვაის, ტროლეიბუსის, ავტობუსის, მეტროპოლიტენის და მოძრავი შემადგენლობის კონსტრუქციის განვითარება.

**საკვანძო სიტყვები:** საქალაქო; მასობრივი; საზოგადოებრივი; ტრანსპორტი; ავტომატიზაცია; გამტარუნარიანობა; მუნიციპალური; კომერციული; ტექნოლოგიური; სამარშრუტო; არასამარშრუტო; კომფორტი; ოპერატიულობა; მგზავრნაკადები; ავტომობილიზაცია; კონკურენტული; სტრატეგია; ფუნქციონირება.

**1. შესავალი**

საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტის (სმსტ) ფუნქციონირების საკითხი არსებითად და-

კავშირებულია მის სოციოლოგიურ ანალიზთან ქალაქის სივრცეში. ფუნქციონირებს რა, როგორც სოციალური ინსტიტუტი, სსტ მოწოდებულია საზოგადოება უზრუნველყოს იაფი, მოხერხებული და ეკოლოგიური მობილურობით. ის ქალაქის განვითარების აუცილებელი ელემენტია და მისი მომსახურების, არსებობისა და ცხოვრების დონის უზრუნველყოფის სოციალური რესურსი.

**2. ძირითადი ნაწილი**

სს ტრანსპორტის განვითარების ისტორიაში ცნობილია ხუთი პერიოდი - ცხენის, ორთქლის, ელექტრული წვეის, საავტომობილო და თანამედროვე ელექტრული ტექნიკის და ავტომატიზაციის დანერგვის ფონზე შექმნილი სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პერიოდი.

აღამიანი ცხენის წევას გადასაადგილებლად იყენებდა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ბოლო მეოთხედიდან მე-19 საუკუნის შუა პერიოდამდე ქალაქების ზრდასთან ერთად დადგა შიდასაქა-



ლაქო სამგზავრო ტრანსპორტის შექმნის აუცილებლობა. იმ დროის ქალაქებში ჯერ კიდევ მცირე იყო სამგზავრო ნაკადები, მაგრამ მათი ზრდის შედეგად მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მსხვილი ქალაქების ვიწრო ქუჩები გადატვირთული აღმოჩნდა ცხენის წვეის ტრანსპორტით. ამასთან დაკავშირებით, საქალაქო ტრანსპორტზე საჭირო გახდა იმ დროისათვის რკინიგზის ტრანსპორტზე უკვე ცნობილი ორთქლის წვეის გამოყენება.

ცხენის წვეასთან შედარებით ორთქლის წვეა გამოირჩეოდა უფრო მაღალი ეკონომიურობითა და გამტარუნარიანობით, თუმცა ძალიან აბინძურებდა ჰაერს, იყო ხანძარსაშიში და ჰქონდა დაბალი დინამიკური მახვენებლები.

ელექტრული წვეის პერიოდი მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო. ტრამვაის და მეტროპოლიტენის ელექტრულ წვეაზე გადაყვანამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სადგურებისა და გვირაბების საინტარიული მდგომარეობა.

საქალაქო ტრანსპორტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც ეროვნული მეურნეობის განვითარების, ასევე მოსახლეობის უსაფრთხო და სწრაფი გადაადგილების თვალსაზრისით. გადაადგილებაზე დროის დანახარჯების შემცირება მოსახლეობას საშუალებას აძლევს დაზოგილი დრო გამოიყენოს როგორც პირადი, ისე ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ.

სამგზავრო გადაყვანა სრულდება ტრანსპორტის ყველა სახეობით, ძირითადად ავტობუსებით და სამარშრუტო ტაქსებით. ტექნოლოგიური თავისებურებიდან გამომდინარე, სამგზავრო გადაყვანა იყოფა: მუნიციპალურ (სახელმწიფო), კომერციულ და ტექნოლოგიურ გადაყვანებად. მუნიციპალური სამგზავრო გადაყვანა სრულდება მუნიციპალური შეკვეთების მიხედვით. ასეთი ტიპის საწარმო მიეკუთვნება მუნიციპალურ (სახელმწიფო) კუთვნილებაში არსებულ სატრანსპორტო ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის ექსპლუატაციას. სსტ-ის საფუძველს ქმნის მუნიციპალური სექტორი. იგი გადაყვანებს ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ორგანიზებულ მუნიციპალურ მარშრუტებზე. რამდენადაც სოციალურად ორიენტირებულ ტარიფებს მუნიციპალურ მარშრუტებზე აწესებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ასეთი გადაყვანები მთლიანად ან ნაწილობრივ ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან მუნიციპალური შეკვეთის შესრულების გაანგარიშების წესით. სსტ-ის კომერციულ სექტორში გადაყვანის ორგანიზაციას დამოუკიდებლად ასრულებს

გადამყვანები. ისინი ავსებენ მუნიციპალურ გადაყვანებს და ფუნქციონირებენ იმ მიზნით, რომ გადაყვანმა, მგზავრებთან შეთანხმების პირობების შესაბამისად, მიიღოს გარკვეული სარგებლობა. ტექნოლოგიური სამგზავრო გადაყვანა კი ხორციელდება ორგანიზაციების ან მეწარმეთა მიერ, რომლის დროსაც მგზავრს სარგებლობა უხდება სხვა სახის ტრანსპორტითაც.

საერთო სარგებლობის საქალაქო ტრანსპორტით სამგზავრო გადაყვანა სრულდება პროფესიულ ან კომერციულ საფუძველზე. კომერციული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული სამგზავრო გადაადგილება ჩაითვლება საერთო სარგებლობის ტრანსპორტით შესრულებულ გადაყვანად, თუ ის კანონის ან, სხვა სამართლებრივი აქტის შესაბამისად, ამ ორგანიზაციის ლიცენზიიდან გამომდინარეობს და მას ავალდებულებს, რომ ნებისმიერი მოქალაქის ან იურიდიული პირის მომართვის შემთხვევაში განახორციელოს სამგზავრო გადაყვანა და ბარგის გადატანა. გადაყვანის ხელშეკრულება არის საჯარო. გადაყვანს არა აქვს უფლება გადაყვანაზე უარი უთხრას პირს, რომელმაც მას მიმართა ამის შესახებ.

ამჟამად არსებობს ტრანსპორტის შემდეგი სახეობები: სახმელეთო, მეტროპოლიტენი, წყლის, საჰაერო, მილსადენი და საბაგირო.

ყველაზე უფრო მასობრივ სამგზავრო გადაყვანებს ასრულებს საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტი, რომელიც არის სამარშრუტო (ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი, მეტროპოლიტენი, ელექტრომატარებელი, საბაგირო გზა, ფუნიკულიორის ვაგონი) და არასამარშრუტო (მოქალაქეთა მსუბუქი ავტომობილები, ტაქსები და სამოსამსახუროდ შეკვეთილი და სამოსამსახურო ავტობუსები, მოტოციკლები, არამექანიკური სატრანსპორტო საშუალებები).

სსტ-ით განხორციელებულ გადაყვანათა საერთო მოცულობაში სჭარბობს ავტობუსებით შესრულებული სამარშრუტო გადაზიდვები.

სსტ-ით მგზავრთა გადაყვანა ლოკალიზებულია ქალაქის საზღვრებში. პრაქტიკულად ყველა პატარა ქალაქსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტში საავტომობილო მარშრუტები ერთდროულად გადის შესაბამისი დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე და ემსახურება საგარეუბნო ზონას. ზოგიერთ შემთხვევაში ტრამვაის და ტროლეიბუსის მარშრუტებიც გრძელდება ქალაქის ფარგლებს გარეთ. ამიტომ, ტერმინი „საქალაქო“ აერთიანებს ორ მნიშვნელობას - შიდასაქალაქო და საგარეუბნო.

თბილისში მეტრო 1966 წლიდან ფუნქციონირებს. ეს არის ყველაზე მოხერხებული სატრანს-

პორტო კომპლექსი, რომლის საშუალებითაც, სხვა ტრანსპორტთან შედარებით, მაქსიმალური სიჩქარით არის შესაძლებელი დაშორებულ რაიონებში მოხვედრა.

